საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
3 – 9 თებერვალი, 2016
№4 (333)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ამერიკელი «მეგობრები», დემოკრატიას კი არა, დემოტრაკიას 6 გვიშენებენ»

## ხარი ხართან რომ დააბა... 3



«ამერიკელები ხომ, თითქმის ორი ათეული წელია, ქართველ ჯარისკაცებს წვრთნიან და, იარაღის გამოყენებასა და სამხედროებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებთან ერთად, ისეთ მაგალითებსაც გადასცემენ, რომლის მსგავსიც მსოფლიოში «თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის» მებრძოლებს არაერთხელ ჩაუდენიათ»

## «ჩვენი ხელისუფლება, ავლაბრის რეზიდენციასა და კანცელარიაში კი არა, ამერიკის საელჩოში ზის»



«დღეს არც ერთი საკითხი არ წყდება თბილისში, აბსოლუტურად სუვერენიტეტდაკარგული ხელისუფლება საქართველოსთვის სასარგებლო თუნდაც ერთ პატარა ნაბიჯსაც ვერ დგამს» 7



## «ლაშა ბუღაძე ვირზე უკუღმა უნდა შესვა... მსახიობები, სპორტსმენები, რეჟისორები მნვადზე მოყრილი ქინძები არიან» 8

## «მიუშვით ბუღა ბუღაზე! – აცხადებს ლაშა ბუღაძე...» 13





## როგორია ნამდვილი ქართული ოცნება? 4

«სანამ მაღალჩინოსანს ან მასთან დაკავშირებულ ბიზნესმენს ექნება იმის განცდა, რომ გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯის თუ საფასურის სანაცვლოდ მან შეიძლება ინდულგენცია მიიღოს, ამ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება»

## «ეს მარიონეტები იქამდე იმაიმუნებენ, სანამ განრისხებული ხალხი იარაღზე არ იტაცებს ხელს» 14




«აღმოსავლური პარტნიორობა 2 ფიასკოთი დასრულდა»

ვირუსი ზიკა მსოფლიოს 2 ემუქრება

«აღარაფერი 9 შეგვრჩა, დემოკრატიას გადავაყოლეთ ყველაფერი»

«საააკაშვილი სულ იმას გაიძახოდა, აი, ჩვენ რომ 11 ნავთობი გვქონდეს, ნავთობი რომ გვქონდესო... კი, მაგრამ, მანგანუმი რომ გაქვს?!»

18 კოსოვო, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს აფეთქდეს

22 13 წლის ქართველმა ვუნდერკინდმა მეცნიერები გააკვირვა

## «ანტიმართლმადიდებლების მთავარი მიზანია, ერი დაიშალოს პატარ-პატარა ჯგუფებად და გახდეს იოლად სამართავი» 10

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## იტალიაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

**რომში ათიათასობით იტალიელმა ოჯახის დღე აღნიშნა და გააპროტესტა მთავრობის მიერ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ.** ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის საკანონმდებლო პროექტი იტალიის პარლამენტს გასულ კვირას წარედგინა და მას კენჭი თებერვალში უნდა ეყაროს. პარლამენტარების ნაწილს იმედი აქვს, რომ ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების პროექტს ხმები არ ეყოფა და, შესაბამისად, არ დაკანონდება. გეიოჯახების წინააღმდეგია რომის კათოლიკური ეკლესიაც. გასულ კვირას რომის პაპმა განაცხადა, რომ ტრადიციული ოჯახი ის ოჯახია, როგორიც ღმერთს სურდა.



## ტრამპმა ბრიუსელი გველგესლების ბუდეს შეადარა

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ტელეარხ Fox News-ის ეთერში ევროპაში მიგრანტთა კრიზისზე საუბრისას ბრიუსელს გველგესლების ბუდე უწოდა. „ჩადით ბრიუსელში. მე იქ 20 წლის წინათ ვიყავი და ყველაფერი ლამაზი იყო. ახლა კი ბრიუსელში ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა გველგესლების ბუდეში ცხოვრება“,** — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

## გერმანიას მიგრანტებისთვის 50 მილიარდი ევრო დასჭირდება

**2016-2017 წლებში გერმანიას მიგრანტებისთვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად 50 მილიარდი ევრო დასჭირდება — ეს დასკვნა გამოიტანა კელნის ინსტიტუტის ეკონომიკურ კვლევათა განყოფილებამ, — წერს Deutsche Welle.** კონკრეტულად, 2016 წლის განმავლობაში — 27,6 მილიარდი ევრო, ხოლო 2017 წელს — 22,1 მილიარდი ევრო, — აზუსტებენ ეკონომისტები. საცხოვრებელი ადგილი, კვება და სხვა მსგავსი პირობების შექმნა გერმანიის ბიუჯეტს ყოველ მიგრანტზე წელიწადში 12 ათასი ევრო დაუჯდება, — ვარაუდობენ მკვლევარები. კიდევ 3,3 ათასი ევრო დასჭირება ენის კურსებისა და ინტეგრაციული კურსებისათვის. ამგვარად, თითოეული მიგრანტის შენახვა წელიწადში 15 ათასი ევრო დაჯდება.



## ვირუსი ზიკა მსოფლიოს ემუქრება

**ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ვირუსი, რომელიც ციებ-ცხელებას იწვევს, საერთაშორისო მასშტაბის საფრთხე ხდება.**

ექსპერტთა შეფასებით, ვირუსი სწრაფად ვრცელდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და საშინელ კვალს ტოვებს, რადგან დღეს ამ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის განცხადებით, ვირუსი ზიკა, რომელიც პირველად 1947 წელს უგანდაში ზიკას ტყეში აღმოუჩინეს მაკაკებს (ადამიანებს — 1968 წელს ნიგერიაში), ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ფეხმძიმე ქალებს, რადგან შეუძლია, ნაყოფში გენეტიკური დეფექტები გამოიწვიოს. ვირუსი გადააქვს კოღოებს.

## პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: აღმოსავლური პარტნიორობა ფიასკოთი დასრულდა



**პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ განაცხადა, რომ პროექტი „აღმოსავლური პარტნიორობა“ ფიასკოს განიცდის და არ იმსახურებს მაღალ შეფასებას, რადგან პროგრამამ მასში ჩართულ ქვეყნებს — უკრაინას, ბელარუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს — ევროკავშირში შესვლის შანსი ვერ მისცა. ხსენებულ ქვეყნებს კი რუსეთსა და ევროკავშირს შორის ბუფერული ზონის ფუნქცია აკისრიათ.**

„ამ ქვეყნებისთვის აღმოსავლური პარტნიორობა ქმნიდა ილუზიას, მაგრამ არ ქმნიდა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას. წინა მთავრობების წარმოებული პოლიტიკა კატასტროფით დასრულდა, რადგან ევრომაიდანმა ის ეჭვქვეშ დააყენა“, — განაცხადა პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ 2013 წელს კიევში მაიდანზე ადამიანები ევროკავშირთან გაერთიანების სურვილით გამოვიდნენ და არა მეორეხარისხოვანი როლის შესასრულებლად. „ამიტომ არ შეიძლება, ვუწოდოთ პროგრამას წარმატებული. მათ (უკრაინელებმა) ეჭვი შეიტანეს პარტნიორობაში და წევრობა მოისურვეს“, — დასძინა ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ.

„აღმოსავლური პარტნიორობა“ — ეს არის 2009 წელს პოლონეთისა და შვედეთის მიერ შექმნილი პროგრამა, რომელიც მიმართულია ევროკავშირსა და ექვს ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებისკენ, მათ შორის არის საქართველოც.

# ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟამ ოქროს მარაგის 73% დაკარგა

## რეპატრიაცია გრძელდება: გერმანიამ ნიუ იორკიდან და პარიზიდან 366 ტონა ოქრო დაიბრუნა



**ძვირფასი ლითონების მსოფლიოში უდიდესმა სავაჭრო ბირჟამ — New York COMEX-მა, საწყობებში რეგისტრირებული ოქროს მარაგის მორიგი შემცირების შესახებ განაცხადა.**

მარაგის მოულოდნელად ამოღების შედეგად **COMEX**-ის ოქროს მარაგი 73 პროცენტით შემცირდა და დღეს 74 ათას უნციას აღწევს. წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ოქროს მარაგი 14-ჯერ შემცირდა. მაშინ, როცა ბირჟაზე არსებული კონტრაქტების მიხედვით, მოთხოვნა 40 მილიონ უნციას აღწევს. ამრიგად, 2016 წლის იანვარის ბოლოს ნავაჭრი ფიუჩერსების 99,81 პროცენტი ფიზიკური ლითონით არ იყო უზრუნველყოფილი. დაუყონებლივ მიწოდებით დადებული 542 კონტრაქტიდან, საბაზისო აქტივებით მხოლოდ ერთის შესრულებაა შესაძლებელი. რეგისტრირებული ოქროს მარაგის სწრაფი კლება 2013 წლის შემოდგომიდან დაიწყო. 2014 წლის დასაწყისში ფიუჩერსების დაფარვის შეფარდება დაეცა და 1:100-თან შეადგინა. გერმანიის ბუნდესბანკმა კი ოქროს ზოდების 2015 წლის რეპატრიაციის პროგრამის შესახებ ახალი მოხსენება გამოაქვეყნა. გერმანიამ, როგორც ჩანს, დასახულ მიზანს მიაღწია და დღეს ფრანკფურტი არის ქალაქი, რომელში ბუნდესბანკის ოქროს უდიდესი მარაგია თავმოყრილი.

შარშან გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა ფრანკფურტში დააბრუნა 210 ტ ოქრო, მათგან 110 — პარიზიდან, 100 — ნიუ იორკიდან.

2013 წელს დაიწყო 300 ტ ოქროს დაბრუნების პროგრამა ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის საცავებიდან. გერმანელებს განზრახული აქვთ, 374 ტ ოქრო დაიბრუნონ საფრანგეთის ბანკის საცავებიდან. პროგრამა, რომელიც 2020 წელს უნდა დასრულდეს, საკმაოდ უცნაურია: აღნიშნული 674 ტ ოქროს დაბრუნება გერმანიას რამდენიმე დღეში შეეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნდესბანკისთვის დაწესებულია შეზღუდვები, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებრიობამ არაფერი იცის.

**ამჟამად გერმანიის ოქრო ინახება შემდეგ ადგილებში:**

*** 1347,4 ტ, ანუ 39,9% — ნიუ იორკში;**

*** 196,4 ტ, ანუ 5,8% — პარიზში;**

*** 434,7 ტ, ანუ 12,9% — ლონდონში;**

*** 1402,5 ტ, ანუ 41,5% — ფრანკფურტში.**

აღსანიშნავია, რომ კრიზისის პერიოდში ოქრო ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უკანასკნელი დამცველია, აგრეთვე, სახელმწიფოს სუვერენიტეტის.

**დასავლეთი, ბოლოს და ბოლოს, ათვითცნობიერებს რა ხდება უკრაინაში.**

## ფრანგი რეჟისორის ფილმმა ევრომაიდანს ნიღაბი ჩამოხსნა

**ბევრის აზრით, ოფიციალურ კიევს მოუწევს იმასთან შეგუება, რომ დასავლეთში სულ უფრო მეტი სიმართლე გაჟონავს უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე.**



უკრაინის საელჩო საფრანგეთში კვლავ შეეცადა, მიეჩქმალა სიმართლე ქვეყანაში მოწყობილი რევოლუციის შესახებ, რომელიც ასახულია ფრანგი რეჟისორის — **პოლ მარეირას** ფილმში.

ფილმის ავტორის აზრით კი, „ევროპაში სიმართლეს არავინ ამბობდა, სიმართლე არავინ იცოდა, მათ შორის, მეც, როდესაც ჩამოვედი, გავოგნდი — ევროპის ცენტრში 45 კაცი მოკლეს და ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა“.

ფრანგმა ტელეარხმა Canal+მა, უკრაინის ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად, მაინც გაუშვა სატელევიზიო ეთერში პოლ მარეირას ფილმი-გამოძიება **„რევოლუციის ნიღბები“,** რომელშიც მოთხრობილია სრული სიმართლე მაიდანზე გამართული საპროტესტო აქციებისა და ოდესის პროფკავშირების სახლში გამობუგული ადამიანების შესახებ.

## ქართული სასწავლებლები განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტების ტოპასეულში ვერ მოხვდნენ

**ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტების ტოპასეულის გამოსავლენად კვლევა ბრიტანულმა ორგანიზაციამ Quacquarelli Symonds-მა (QS) ჩაატარა.** კვლევაში მონაწილეობდა ალბანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბოსნიის, ხორვატიის ესტონეთის, უნგრეთის, კოსოვოს, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის რუმინეთის, თურქეთის, უკრაინის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლები. პირველ ადგილზე გავიდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეორეზე — ჩეხეთის კარლოვის სახელობის უნივერისტეტი. ასეულში მოხვდა რუსეთის 26 უმაღლესი სასწავლებელი, 10-10 — ჩეხეთისა და თურქეთის, 9 — პოლონეთის, 8 — ყაზახეთის, 6-6 — უკრაინისა და უნგრეთის. სამწუხაროდ, ამ სარეიტინგო სიაში ვერც ერთი ქართული უმაღლესი სასწავლებელი ვერ მოხვდა.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხარი ხართან რომ დააბა...

**გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესმა კომისარმა ზეიდ რაად ალ ჰუსეინმა უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში საერთაშორისო სამხედრო ძალების წარმომადგენელთა მხრიდან არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობის გამო.**

გაეროს უმაღლესი კომისრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლებმა ორი გოგონა გააუპატიურეს, ხოლო სამ არასრულწლოვანს სექსუალური კავშირისთვის ფული გადაუხადეს. დანაშაულის ჩამდენი ზოგიერთი სამხედროს ეროვნება დაუზუსტებელია, თუმცა სექსუალური ძალადობის სამი მსხვერპლი ამბობს, რომ მოძალადენი ქართული კონტინგენტის წევრები იყვნენ. ძალადობის მსხვერპლი ოთხი გოგონა 14-დან 16 წლამდე იყო. ამას გარდა, 7 წლის ბიჭი და 9 წლის გოგო ფრანგი სამხედროების მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე ლაპარაკობენ. ბავშვები ყვებიან, რომ ფრანგი სამხედროები მათ ორალური სექსის სანაცვლოდ ორცხობილას სთავაზობდნენ. ყველა ინციდენტი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგის აეროპორტთან მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკში და მის მახლობლად მოხდა.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის განცხადების შემდეგ საქართველოს გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა **ვახტანგ კაპანაძემ** თქვა, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უპირველესი ამოცანაა, უმოკლეს დროში გამოიძიოს ფაქტები და პასუხისმგებლობა დაეკისროთ კონკრეტულ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ქართველი სამხედრო მოსამსახურისთვის ულირსი საქციელი, შეურაცხყვეს ქართველი სამხედროების სახელი და ღირსება“. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ პოტენციური ექვიტანილია მისიაში მონაწილე თითოეული სამხედრო მოსამსახურე, მათი რაოდენობა კი 160-ია.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მომხდარ სექსუალურ ძალადობაში ქართველი სამხედროების სავარაუდო მონაწილეობაზე გავრცელებული ინფორმაციას გამოეხმაურა საქართველოში აშშ-ის ელჩი **იან კელი**, რომელმაც მოკავშირე ქვეყნის სამხედროები დაიცვა და განაცხადა, რომ **„ქართველი სამხედროების მიმართ დადებითი დამოკიდებულება ბრალდების დადასტურების შემთხვევაში შენარჩუნდება მათ მიერ საერთაშორისო მისიებში შეტანილი წვლილის გამო“.**

აშშ-ის ელჩის მხრიდან ქართველი სამხედროების დაცვა გასაკვირი არ არის, **ამერიკელები ხომ, თითქმის ორი ათეული წელია, ქართველ ჯარისკაცებს წვრთნიან და, იარაღის გამოყენებასა და სამხედროებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებთან ერთად, ისეთ მაგალითებსაც გადასცემენ, რომლის მსგავსიც მსოფლიოში „თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის“ მებრძოლებს არაერთხელ ჩაუდენიათ არა მხოლოდ ვიეტნამში, ლაოსში, იაპონიაში, ერაყსა თუ ავღანეთში, არამედ თავიანთ ქვეყანაში და თავიანთ რიგებში.**

აი, რამდენიმე მაგალითი:

*** გერმანული გამოცემა „შპიგელის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და შემდგომ წლებში ამერიკელებმა გერმანიაში 190 ათასი ქალი გააუპატიურეს.**

* 1968 წლის 16 მარტს ვიეტნამში, დასახლებულ პუნქტ **სონგმიში** ამერიკელმა სამხედროებმა ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს — მოკლეს 173 ბავშვი, 183 ქალი (17 ორსული), 144 მამაკაცი. რამდენიმე ქალი კი, ვიდრე მოკლავდნენ, არაერთხელ გააუპატიურეს.

*** 1995 წელს კუნძულ ოკინავაზე (იაპონია) სამმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა მცირეწლოვანი მოსწავლე, რის გამოც ქუჩაში 90 ათასი იაპონელი გამოვიდა. 45 ათასი დანაშაულიდან, რომლებიც ამერიკელმა მოსამსახურეებმა ჩაიდინეს იაპონიაში, მათ შორის გაუპატიურება და მკვლელობა, არც ერთი(!) არ დასრულებულა პატიმრობით.**

* 2004 წელს კოლუმბიაში, ბელგარში, ამერიკელმა სამხედროებმა 53 არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურეს. სექსუალური ძალადობის სცენები კი ვიდეოფირზე აღბეჭდეს და პორნოფილმებად ჰყიდდნენ. იმავე ბელგარში ამერიკელმა სამხედროებმა: მაიკლ კოენმა და სეზარ რუისმა 12 წლის გოგონა ჯერ ნარკოტიკით გაჭყიპეს, შემდეგ კი გააუპატიურეს. ამერიკელი სამხედროები, კოლუმბიის ხელისუფლების მოთხოვნის მიუხედავად, არ დასჯილან. სულ კი ამერიკელებმა კოლუმბიაში 90 ქალი გააუპატიურეს.

*** 2006 წლის 12 მარტს დასახლებულ პუნქტ ელ მაჰმუდიაში (ერაყი) 5 ამერიკელი სამხედრო — ჯეიმს ბარკერი, პოლ კორტეზი, ჯესი სპილმანი, ბრაინ ჰოვარდი და სტივენ გრინი — შეიჭრა ერაყელის ოჯახში და გააუპატიურა 14 წლის აბირ ყასემ ალ-ჯანაბი, შემდეგ კი გოგონა მშობლებთან და 6 წლის დასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმა.**

* 2012 წელს ამერიკელმა ჯარისკაცმა **ლენგ სოკმა**, რომელიც სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში მდებარე ამერიკულ ბაზაზე მსახურობდა, სამხრეთ კორეელი კოლეგა(!) გააუპატიურა.

ლაპარაკი აღარ არის იმ მხეცობებზე, რომლებიც ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს ვიეტნამში, ლაოსში, კორეასა და სხვა ქვეყნებში. ამერიკელთა სისასტიკის გამომხატველია მათი ქცევა აბუგრეიბსა თუ გუანტანამოს საპყრობილეში.

**თუმცა ამერიკელი სამხედროები არც თავისიანებს ინდობენ:**

*** 2014 წელს რამშტაინში (გერმანია) განლაგებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრომ ტრენტ სმიტმა ხელმძღვანელებს განუცხადა, რომ ბაზაზე სამსახურის დაწყებისთანავე მასზე სექსუალურად იძალადა სერჟანტმა, იმის შემდეგ კი, რაც მომხდარზე განაცხადა, სმიტის ცხოვრება კოშმარად იქცა.**

* ფორტ-ბენინგში (ჯორჯიის შტატი) ჯარისკაცი **გრეგ ჟელუდოვი** თანაპოლკელებმა საწოლზე დააბეს და გააუპატიურეს შეძახილებით: „აშშ-ში უფროსები ჰომოსექსუალები არიან!“.

*** 2012 წლის ნოემბერში სამხედრო ბაზა „ფორტ ბრეგში“ გაასამართლეს გენერალი ჯეფრი სინკლერი, რომელიც არმიაში 30 წლის განმავლობაში მსახურობდა. მას ბრალი დასდეს ქვეშევრდომთა გაუპატიურებაში.**

* რეჟისორმა **კირბი დიკმა** გადაიღო დოკუმენტური ფილმი „აშშ-ის არმიაში სექსუალური ძალადობის ეპიდემიის შესახებ“, სახელწოდებით „უხილავი ომი“. ფილმში მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ის არმიაში ქალი სამხედროების 20 პროცენტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ მათი 80% არაფერს ამბობს მომხდარზე.

*** ამერიკელ სამხედროებს შორის გამორჩეული პერსონაჟია ბრენდონ მორგანი, რომელმაც ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ აეროპორტში შეყვარებულის დანახვისას თავი ვერ შეიკავა და პირდაპირ ზედ შეახტა. ანალოგიური რამ, ოღონდ ქალის მონაწილეობით, შეემთხვა, ლესბოსელ მეზღვაურ მარისა გაეტას, რომელიც გემიდან ნაპირზე გადმოსვლისას, აგრეთვე, მეზღვაურ ქალ სიტლალიკ სნელს ჩაეკონა.**

* სკანდალური იყო აშშ-ის სწრაფი რეაგირების ჯგუფის (ამ ჯგუფმა მოკლა „ალ ქაიდას“ ლიდერი უსამა ბინ ლადენი) წევრის, „ზღვის ლომის“, **კრის ბეკის** ისტორია, რომელმაც მოულოდნელად სქესი შეიცვალა და **კრისტინა ბეკად** იქცა, შემდეგ კი დაწერა წიგნი „ომის პრინცესა“.

ზემომოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, როგორი გახრწნილია სხვა ქვეყნებში დემოკრატიის დამკვიდრების ნიღბით მოქმედი აშშ-ის არმია და, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლები ძალადობენ მოსახლეობაზე, რომლის დასაცავადაც არიან გაგზავნილნი, გამონაკლისი არც ქართველი ჯარისკაცები არიან — ისინი ხომ იმას იმეორებენ, რასაც „უფროსი მეგობრები“, ათწლეულებია, დაუსჯელად სჩადიან.

ნათქვამია: **ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო...**

**ნიკა კორინთელი**



ამერიკელები ვიეტნამში



წამება აბუ გრეიბის (ერაყი) საპყრობილეში

**აშშ-ის ელჩის მხრიდან ქართველი სამხედროების დაცვა გასაკვირი არ არის, ამერიკელები ხომ, თითქმის ორი ათეული წელია, ქართველ ჯარისკაცებს წვრთნიან და, იარაღის გამოყენებასა და სამხედროებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებთან ერთად, ისეთ მაგალითებსაც გადასცემენ, რომლის მსგავსიც მსოფლიოში «თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის» მებრძოლებს არაერთხელ ჩაუდენიათ არა მხოლოდ ვიეტნამში, ლაოსში, იაპონიაში, ერაყსა თუ ავღანეთში, არამედ თავიანთ ქვეყანაში და თავიანთ რიგებში**



ბრენდონ მორგანი და მისი სიყვარული



მარისა გაეტა და მისი პარტნიორი

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს ისინი სავსებით კმაყოფილი ჩანან, ვინაიდან ივანიშვილთან თავისებური არაფორმალური პაქტი აკავშირებთ (რომელიც, შესაძლოა, გაცილებით ადრე დაიდო, სანამ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადებდა), — დაცულია მათი მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი, ფული და ქონება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში ის მოპოვებულია თაღლითურ აუქციონებსა და ტენდერებზე ან ბანალურად მოპარულია. მათ, ვინც ხედავს, რომ ეს ადამიანები არა მხოლოდ ინარჩუნებენ პოზიციებს, არამედ საეჭვო მაქინაციების გამოყენებით განაგრძობენ გამდიდრებას, პროტესტის განცდა უჩნდებათ.**

# როგორია ნამდვილი ქართული ოცნება?

**გიორგი კვირიკაშვილმა მუშაობა აქტიურად დაიწყო, მთავრობის ახალი ინიციატივების შესახებ თითქმის ყოველდღიურად ვიგებთ. მათი ნაწილი აშკარად წინასაარჩევნო ხასიათისაა, მაგრამ ზოგიერთი ივანიშვილის თანმიმდევრულ ოპონენტებსაც კი მოეწონა. როგორც ჩანს, ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ შექმნილი ვითარების გაჯანსაღება და ერთგვარი „გარდაქმნის" დაწყება ამომრჩეველთათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მაგრამ, ალბათ, მნიშვნელოვანია, დავადგინოთ, კონკრეტულად რა ცვლილებებზე ოცნებობს მოსახლეობა და შეუძლია თუ არა მთავრობას, მათი გატარება უზრუნველყოს. რეალურ რეფორმებს გვთავაზობენ თუ მოჩვენებითს?**



**სანამ მაღალჩინოსანს ან მასთან დაკავშირებულ ბიზნესმენს ექნება იმის განცდა, რომ გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯის თუ საფასურის სანაცვლოდ მან შეიძლება ინდულგენცია მიიღოს, ამ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება**

ფრაზები „არაფერი შეცვლილა" და „მაინც არაფერი შეიცვლება" ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. **შესაძლოა იმიტომ, რომ უსამართლობა ახალი ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში კვლავინდებურად ერთ-ერთ ადგილს იკავებს, მოსახლეობის დიდი ნაწილი მორიგ რეფორმებს ფრიად პესიმისტურად უყურებს და პოლიტიკური პროცესების მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ავლენს.**

ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას რომან „ლეოპარდში" არის ერთი იდეა, რომელმაც ჩვენთვის ამ სიტუაციაში შეიძლება გასაღების როლი შეასრულოს. ეს რომანი სიცილიის ცხოვრებას აღწერს, თუმცა მთელ რიგ ეპიზოდებში საქართველოსთან პარალელების გავლების შესაძლებლობას გვაძლევს. ახალგაზრდა თავადი ფალკონერი ამბობს: „თუ გვინდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ყველაფერი უნდა შევცვალოთ". შემდეგ, ნათესავებისთვის ერთობ მოულოდნელად, გარიბალდის რაზმს უერთდება, რათა ახალ, გაერთიანებულ იტალიაში თავისი ოჯახისთვის ისეთივე მაღალი სტატუსი უზრუნველყოს, როგორიც ძველ სიცილიაში არისტოკრატიული წარმომავლობის გამო ეკუთვნოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ელიტის ყველაზე ფრთხილი და წინდახედული ნაწილი რაღაც მომენტში იმავე დასკვნამდე მივიდა: **„თუ გვინდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ყველაფერი უნდა შევცვალოთ".**

შეცვალეს კიდეც, თანაც ორჯერ — პირველად, როდესაც საჭირო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოძერწვა, „უპატრონო" ქონების პრივატიზება და ძველი (სპეციფიკური საბჭოთა) გავლენის კონვერტაცია ძალაუფლებასა და ფულში. მეორედ კი ეს „ვარდების რევოლუციის" პერიოდში მოხდა, როდესაც დღის წესრიგში დადგა სწრაფი (და, შესაბამისად, მტკივნეული) რეფორმების გატარება, რომლებიც საქართველოს თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებრიობის სტანდარტებს მიუახლოებდა და, რაც მთავარია, შექმნიდა ძლიერ ინსტიტუტებს იმისთვის, რომ „პირველ ტაიმში" მიტაცებულ აქტივებს მომავალში საფრთხე არ შექმნოდა.

ამ მოდელის ფარგლებში **„ნაციონალური მოძრაობა" მხოლოდ ინსტრუმენტის როლს ასრულებს, რომელიც სანაგვეზე მოისროლეს მას შემდეგ, რაც ძირითადი მისია შეასრულა და სისხლში გაისვარა.** იგივე, ადრინდელ პერიოდთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას ეროვნული მოძრაობის მთელ რიგ ჯგუფებზეც — მათ რაღაც პერიოდში ლანცეტის (ან ჩაქუჩის, კონკრეტულ ეპიზოდს გააჩნია) ფუნქცია შეასრულეს. **ის, ვინც ჩასწვდა თამაშის არსს, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს, დღეს „საპატიო პენსიაზეა", ხოლო მათი უმრავლესობა, ვინც თამაშის წესების შეცვლა გადაწყვიტა, ან სასაფლაოზეა, ან 100%-ით მარგინალიზებულია.**

იმ უაღრესად რთულ, სისხლიან პერიოდში კონტროლი პროცესებზე ხშირად იკარგებოდა. საქართველოში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ვერ მოხერხდა ფართო კონსენსუსის მიღწევა ახალი სახელმწიფოს ფორმირების პრინციპებზე. უხეშად რომ ვთქვათ, „ყველა თავისას უბერავდა". ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ მთავარი დამნაშავე ამაში **ჯუმბერ პატიაშვილია,** რომელმაც, ბალტიის კომუნისტი ლიდერებისგან განსხვავებით, ვერ გაიაზრა „ფალკონერის აქსიომა" და შეუქცევადი პროცესების შეჩერება გადაწყვიტა. თუმცა აქვე, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მთელი რიგი ჯგუფები ელიტაში მასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდნენ და შევარდნაძის ერთგულები რჩებოდნენ. რომ არა მათი დაპირისპირება, გამორცხული არ არის, 9 აპრილიც არ მომხდარიყო და მრავალი სხვა უბედურებაც (აფხაზეთის ომის რა მოგახსენოთ). მეორედ პროცესები პრაქტიკულად უმართავი მაშინ გახდა, როდესაც ვერ მოხერხდა სამოქალაქო ომის თავიდან აცილება. ყველა ასეთი „გზაჯვარედინის" ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ იმ კოშმარულ პერიოდთან „ვარდების რევოლუცია", უბრალოდ, საბავშვო ბალია.

სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვიდოდა, თუ მას სასათბურე პირობებს არ შეუქმნიდნენ და ავანსცენაზე არ გაატარებდნენ. იმ პერიოდში ძველმა ელიტამ გადაწყვიტა, საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რეგიონის მიმართ ვაშინგტონის მზარდი ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავარაუდოდ, **ვიქტორ იანუკოვიჩის** ბედს გაიზიარებდა და თამაშიდან ამოვარდებოდა. ეს იყო სავსებით პრაგმატული გადაწყვეტილება „პირველ ტაიმში" შეძენილი მძიმე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცდილების საფუძველზე. სხვათა შორის, **სააკაშვილმა იცოდა, რომ მთელ რიგ ოჯახებში მას უყურებდნენ მხოლოდ როგორც სულელ, ხმაურიან მარიონეტს და, გამორიცხული არაა, რომ ეს ყველაზე მეტად აგიჟებდა. ბევრ მის მიმდევარს კი მტკივნეული აღმოჩენა, რომელიც იწყება ისტერიკული შეძახილით „ჩვენ გამოგვიყენეს!", ჯერ კიდევ წინ აქვს, თუმცა ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი.**

ვინაიდან „ოჯახები" ვახსენეთ, ალბათ, ხაზი იმასაც უნდა გავუსვათ, რომ მათი წარმომადგენლები უპრობლემოდ გადადიან ერთი სახელისუფლო პარტიიდან მეორეში, იკავებენ საკვანძო თანამდებობებს (არა იმდენად მაღალს, რამდენადაც საკვანძოს), გადადიან კერძო სექტორში და პოზიციებს იქ იუმჯობესებენ, თანაც ყოველივე ამას საჭირო მომენტში აკეთებენ, სანამ მორიგი „ტიტანიკი" (კომპარტია იქნება, „მოქკავშირი" თუ „ნაცმოძრაობა") ჩაძირვას დაიწყებს. დღეს ისინი სავსებით კმაყოფილი ჩანან, ვინაიდან **ივანიშვილთან** თავისებური არაფორმალური პაქტი აკავშირებთ (რომელიც, შესაძლოა, გაცილებით ადრე დაიდო, ვიდრე მან პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა), — დაცულია მათი მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი, ფული და ქონება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში ის მოპოვებულია თაღლითურ აუქციონებსა და ტენდერებზე ან ბანალურად მოპარულია.

მათ, ვინც ხედავს, რომ ეს ადამიანები არა მხოლოდ ინარჩუნებენ პოზიციებს, არამედ განაგრძობენ გამდიდრებას საეჭვო მაქინაციების გამოყენებით, პროტესტის განცდა უჩნდებათ. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ხშირად გაისმის ფრაზა „არაფერი იცვლება". ალბათ, ესაა თანამედროვე საქართველოს მთავარი სისუსტე, — მოსახლეობის დიდი ნაწილი ელიტას და მის დღევანდელ მდგომარეობას ლეგიტიმურად არ თვლის და მიიჩნევს, რომ ამ ადამიანების მწვერვალზე ყოფნა უსამართლოა.

**ეს ძალზე რთული სიტუაციაა, რადგან დღეს (რეალისტურად თუ ვიმსჯელებთ) ვერც პრივატიზაციის შედეგების ტოტალური გადახედვა მოხდება, ვერც მაღალჩინოსანი დამნაშავეების საყოველთაო დასჯა (ცალკეული „ჭანჭიკების" გარდა), ვერც ფარდობითი სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება ღატაკ ქვეყანაში, სადაც მოყვასის ძარცვა ლამის ძირითად ცხოვრებისეულ სტრატეგიად ითვლება. მით უფრო დამამცირებელია მთელი რიგი მოქალაქეებისთვის ხელისუფლების ის წინასაარჩევნო აქტიურობა, რომელსაც შეიძლება „ელექტორატის მოფერება" ან სულაც „ფქვილის დარიგება" ვუწოდოთ.** მათ სულ სხვა ტიპის ცვლილებები სჭირდებათ.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს უსამართლობა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და, ადრე თუ გვიან, პოლიტიკური სპექტრის მარცხენა ფლანგზე გამოჩნდება ძალა, რომელიც აიყოლიებს ფართო მასებს და ძველის ნანგრევებზე გაცილებით სამართლიან სისტემას შექმნის. კაცმა რომ თქვას, პროცესები ამ მრავატანჯულ მარცხენა ფლანგზე თვითდინებაზე მიშვებული არაა და ნაკლებად სავარაუდოა, იქ ვინმე მოულოდნელად აღმოცენდეს. მაგრამ ეს რომც მოხდეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, ვინ იდგება წინა რიგებში წითელი (ვარდისფერი, შავი, რა მნიშვნელობა აქვს) დროშებით. სწორედ ისინი, თავისი პრინციპით „თუ გვინდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ყველაფერი უნდა შევცვალოთ". ქვეყნის გაჯანსაღება ასეთ პირობებში ვერ მოხდება.

რა შეძლება გაკეთდეს ამ სიტუაციაში? **პანაცეა არ არსებობს, მაგრამ, ალბათ, საჭიროა მუდმივი ზეწოლა ხელისუფლებაზე კანონის უზენაესობის პრინციპის საყოველთაო და უპირობო დამკვიდრების მოთხოვნით. ამის გარეშე საუბარი ნებისმიერ ცვლილებაზე აზრს კარგავს. სანამ მაღალჩინოსანს ან მასთან დაკავშირებულ ბიზნესმენს ექნება იმის განცდა, რომ გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯის თუ საფასურის სანაცვლოდ მან შეიძლება ინდულგენცია მიიღოს, ამ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება და კვლავინდებურად იარსებებს ორი კანონი — ერთი ღარიბებისთვის და მეორე მდიდრებისთვის. მოსახლეობაში გაიზრდება ნიჰილიზმი და გაუცხოება საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, რასაც გარე ძალები აუცილებლად გამოიყენებენ.**

ვინაიდან ეს წერილი იტალიელი მწერლის ციტირებით დავიწყეთ, ალბათ, ლოგიკური იქნება იტალიელი პოლიტიკოსის **სიდნეი სონინოს** სიტყვებით დავასრულოთ: „მოსახლეობის უმრავლესობა, 90 პროცენტზე მეტი... ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გაუცხოებას გრძნობს; ის საკუთარ თავს სახელმწიფოს მიერ დამორჩილებულად აღიქვამს, იძულებულია, მისთვის ფული და სისხლი გაიღოს, მაგრამ არ განიხილავს საკუთარ თავს სახელმწიფოს ცოცხალ და ორგანულ ნაწილად და არ გამოხატავს არანაირ ინტერესს მისი არსებობისა და განვითარების მიმართ". სონინომ ზუსტად აღწერა სიტუაცია, რომელიც მალევე იტალიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახდა.

**საინტერესოა, რა ნაყოფს გამოიღებს თითქმის იდენტური სიტუაცია საქართველოში?!**

**ვის მოსწონს „აბესალომი და ეთერი“, ვინ დაესწრო განახლებული ოპერის გახსნას, ვის ეცვა ქურქი თუ ქულაჯა, საქართველოს ისტორიას არ დააინტერესებს, ისევე, როგორც მავანის თვალსაზრისი ილიასა და მის ევროპელობაზე. მთავარია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი აღდგენილია, სეზონს კვლავ ფალიაშვილის ოპერა ხსნის და ესმით თუ არა, ხვდებიან, რომ მასზე დასწრება პრესტიჟულია.**



**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპერის მოყვარულთა ყრილობა

**წლების განმავლობაში დაკეტილი ოპერისა და ბალეტის თეატრი ჩვენს ზეპურ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მისი რეკონსტრუქციის შემდეგ საზეიმო გახსნა დაიგეგმა და გაირკვა, რომ გახსნაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. ეს დახურული ჩვენება „საბჭოთა“ მემკვიდრეობასაც შეადარეს, თუმცა იმჟამად ამგვარ ჩვენებებს პრემიერა კი არა, გენერალური რეპეტიცია ერქვა და მას, ცეკას მდივნების გარდა, სტუდენტებიც ვესწრებოდით. მოსაწვევის მაგივრობას სტუდბილეთი გვიწევდა. ეს ისე, სამართლიანობისთვის, თორემ პრივილეგიური მდგომარეობა არც დღეს გაუუქმებია ვინმეს და, მით უფრო, არც გუშინ, როცა დღეს ოპერაში არშეშვების გამო პროტესტის გამომხატველებს ხელისუფლებაში (ან ხელისუფლებასთან) ყოფნისას არც ხუთნიშნა ხელფასები მოუკლიათ და არც ბიუჯეტის ხარჯზე დროსტარება.**



მეორენი ცხოველების უფლებადამცველთა რიგებში სასწრაფოდ ჩაეწერენ და ოპერის წინ წითელ ხალიჩაზე გავლილ ქალბატონებს ქურქების გამო დაესხნენ თავს. იმის დათვლაც სცადეს, რამდენი ცხოველის მოკვლა და გატყავება დასჭირდებოდა ამ ქალბატონების შემოსვას. ცნობისთვის: **ამ პერსონებს გაცილებით მარტივად შეეძლოთ ეანგარიშათ, რამდენი ქურქის ყიდვა (შესაბამისად, რამდენი ცხოველის მოკვლა-გატყავება) შეიძლებოდა იმ საბიუჯეტო სახსრებით, რომელიც, მაგალითად, თბილისის იმჟამინდელი მერის — გიგი უგულავას აწ უკვე ყოფილი მეუღლის უცხოეთში მშობიარობაზე და ნაცნობ-მეგობრების წაყვანაზე დაიხარჯა.**

რაკი უგულავა ვახსენე, ისიც უნდა გავიხსენო, რომ 2011 წელს „ოპერის მეგობართა საბჭო“ შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი თავდაცვის ყოფილი მინისტრი და უეცრად გაბიზნესმენებული **დავით კეზერაშვილი** იყო, თუმცა მერიასთან სტრატეგიული ურთიერთობების გამო, ფონდის ხელმძღვანელობა სწორედ გიგი უგულავას ჩააბარეს. კეზერაშვილი საბჭოს თავმჯდომარეობას დასჯერდა და დაპირება დადო, რომ „თბილისის ოპერის მეგობართა საბჭოში აკუმულირებული თანხები საგანმანათლებლო პროექტებს, მუსიკოსების და დასის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსების საზღვარგარეთ სტაჟირებას, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე გამგზავრებას, საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობას, საოპერო თეატრებთან ურთიერთობების დამყარებას, მუსიკალური საკრავების ტექნიკურ მომსახურებას და სხვა“ კეთილშობილურ მიზნებს მოხმარდებოდა.

არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ **ამ მიზნების მისაღწევად კეზერაშვილს ერთი თეთრიც არ დაუხარჯავს, ხოლო ოპერაზე, როგორც მაშინ, ახლაც სწორედ ბიძინა ივანიშვილის თანხები დაიხარჯა. თუ არადა, გამოაქვეყნონ, რა გაიღო ან უგულავამ, ან კეზერაშვილმა! არც ერთი, არც მეორე, ოპერაში, ამ შემთხვევის გარდა, არავის შეუნიშნავს, ხოლო კეზერაშვილმა ვერ უპასუხა კითხვასაც კი — ვინ დაწერა „ნაბუქო“? ებრაელ კაცს ნაბუქოდონოსორისა და ებრაელთა ტყვეობის ამსახველ ამ ოპერაზე წარმოდგენა რომ არა აქვს, ამას არც მინისტრობა უშველის და არც ბიზნესმენობა!**

მართალს ამბობს ჩვენი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი მუსიკოსი და სამუსიკო ხელოვნების ჭეშმარიტი მცოდნე **თამრიკო ჭოხონელიძე: „კრიტერიუმებმა გამაკვირვა... მომიტევეთ, მაგრამ იქ იყვნენ ის ადამიანებიც, რომლებიც ამ ნაწარმოების მესამე მთავარ პერსონაჟსაც ვერ დაგისახელებდნენ, არათუ მის მუსიკალურ მხარეს გაგიშიფრავდნენ... ..ასე რომ, ძალიანაც ნუ გავიგიჟებთ თავს, რომ იქ სწორედ ის „ელიტა“ იყო, რომელიც უნდა ყოფილიყო და რომელსაც კარგად ესმის ოპერა!“**

თამრიკო ჭოხონელიძეც „სელექციის“ მსხვერპლი აღმოჩნდა — პირველ დღეებში ის არავის მიუწვევია. ცხადია, ეწყინებოდა, როცა ტელეეკრანიდან გაუაზრებლად ნათქვამს მოისმენდა: „იქ მოხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც ამის ღირსნიაო!“. საერთოდ, **ვინ წყვეტს, ვინ რისი ღირსია ამ ქვეყანაში? და ვინც ამას წყვეტს, თვითონ ის რისი ღირსია?** წყენის მიუხედავად, თამრიკო ჭოხონელიძეს სახე არ დაუკარგავს: „აუცილებლად წავალ... ძალიან მიყვარს ეს ოპერა და ძალზე ვგულშემატკივრობ ზოგადად ქართულ ოპერას, თითოეულ ნიჭიერ მომღერალს და ყოველთვის ვიქნები იმ გულშემატკივართა რიგებში, ვინც შეუპოვრად იდგება და იბრძოლებს ქართული კულტურის, ქართველთა გემოვნების ზრდისა და, ზოგადად, ქართველების წარმატებების სადარაჯოზე“!

მისგან განსხვავებით, ოპერის წინ განაწყენებული „ნაციონალური“ სახეები შეიკრიბნენ და გააპროტესტეს, რომ მათ სპექტაკლზე დასწრების საშუალება არ მიეცათ, რადგან სპექტაკლზე მოხვედრა მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი და ბილეთები არ გაყიდულა. მერე „წინწყარო“ იმღერეს (არ გამოუვიდათ, მაგრამ სცადეს) და განაცხადეს, რომ „დღეს დაარსდა თბილისის ოპერის მოყვარულთა საზოგადოება ოფიციალურად“. ოფიციალურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **ხუთი წლის წინათ დაფუძნებული „ოპერის მეგობართა საბჭო“ არ გახსენებიათ, თორემ, ალბათ, მისი ფონდის თავმჯდომარის — გიგი უგულავას პლაკატებსაც მოიტანდნენ და „პოლიტპატიმრის“ გათავისუფლებასაც მოითხოვდნენ.**

„ოპერის მეგობრებმა“ იქვე დაიქადნეს: „მიზანი შესრულებულია. ჩვენ აღვნიშნეთ, მოვუსმინეთ ძალიან ბევრ საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს. იყო შეკრებილი მართლა მუსიკის მოყვარული ძალიან კარგი საზოგადოება. ისიც კი ვთქვით, რომ მომავალში რაც უნდა ბევრი მოსაწვევი იყოს და ბევრი ბილეთი გაიყიდოს, სეზონს აქ გავხსნით ხოლმე, ეს ხუმრობით“. დაიმახსოვრეთ და მომავალი სეზონის გახსნისას მათი „სიმღერა“ არ გამოტოვოთ! რატომღაც პროფესიონალ მომღერალს — თამრიკო ჭოხონელიძეს თავშიც არ მოსვლია ოპერის წინ სიმღერით პროტესტის გამოხატვა, არადა, **გია ჭანტურიასა** და **ზაზა ბიბილაშვილზე** უკეთ, რამენაირად, ნამდვილად იმღერებდა.

„ოპერის მოყვარულთა საზოგადოების“ ამ წევრთა მეგობარმა და თანამოაზრემ — „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** ცივი წყალი გადაასხა „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენაზე დასწრების მსურველთ: „ღირდეს მაინც რამედ ეს უსაშინლესი ოპერა „აბესალომ და ეთერი“, თრეში ნამდვილი. საერთოდაც, კარგი ქართული ოპერა არც არსებობს. მეტიც, ქართული კლასიკური მუსიკაა ზოგადად ძალიან, ძალიან სუსტი, განსაკუთრებით, მსოფლიოში საუკეთესო (გადაუჭარბებლად) ფოლკლორული მუსიკის ფონზე“.

**თრეში ისეთი უნდა, როგორიც ოპერის წინ „წინწყაროს“ ფსევდონიმით წარმოადგინეს მისმა მეგობრებმა, სწორედ „მსოფლიოში საუკეთესო (გადაუჭარბებლად) ფოლკლორული მუსიკის ფონზე“, მაგრამ რას არ გაგაკეთებინებს პოლიტიკური რევანშის სურვილი.**

გვარამიას სტატუსს მორიგი აღშფოთება მოჰყვა სოციალურ ქსელში. ზოგი სტატუსის ავტორის აზრს 100%-ით იზიარებდა, ზოგისთვის კი ეს შეურაცხყოფის ტოლფასი იყო. კამათი ისეთ კრიტიკულ ფაზაში შევიდა, რომ გვარამიას „ფეისბუქის“ გვერდზე ამ თემაზე კიდევ ერთი სტატუსი გამოჩნდა:

„ხალხი, რომელიც ვერ იტანს მუსიკის კრიტიკას მხოლოდ იმის გამო, რომ ის ქართულია, არის შავრაზმელი და არაფრით განსხვავდება ეკლესიას თუ ცრუ პატრიოტიზმს მიკედლებული შავრაზმელებისგან. ასეთი სექტანტები საშიშნი არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა და ვერაფრით, ხაზს ვუსვამ, ვერაფრით ვერ იქნებიან გულწრფელი პროევროატლანტისტები.

P.S. სრულიად დარწმუნებული ვარ თან, გაწიწმატებულთა უმრავლესობას მოსმენილიც არ აქვს აბესალომი. ისე, იცავს, ქართულია და სკოლაში ასწავლეს, რომ დიადია“...

**ნიკა გვარამიამ, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ზაქარია ფალიაშვილი კათოლიკე იყო, თორემ ამ სიტყვებს არ აკადრებდა — მათ წრეში, საზოგადოდ, ქართულის და მართლმადიდებლურის კრიტიკაა დაშვებული (ეს ისე, შავრაზმელობასთან დაკავშირებით!). იმაზე ნუღარ შევჩერდებით, რომ მუსიკის კრიტიკას კომპეტენცია სჭირდება, სხვა დანარჩენი „მომწონს-არ მომწონს“ დილეტანტობაა და სხვა არაფერი.**

მოკლედ, მთელი ეს ალიაქოთი განახლებული ოპერის გახსნის ირგვლივ „ოპერის მოყვარული ნაციონალების“ ამღერების თანხლებით, გინდა თუ არ გინდა, თითქმის სამოცი წლის წინ გადაღებული არაჩვეულებრივი კომედიის „ჟაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ გახსენებს.

ჟანრის კანონთა გათვალისწინებით, მათ უკან ბანერი უნდა ყოფილიყო გაშლილი წარწერით: „სალამი იტალიური ოპერის მოყვარულთა მეათე ყრილობის მონაწილეებს!“ (ფრაზა ფილმიდან „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“) **ჩართვაში ოდესიდან მიხეილ სააკაშვილს უნდა წარმოეთქვა მისასალმებელი სიტყვა და „კოლომბო თეთრი გეტრებისთვის“ მიელოცა დაბადების დღე, თუმცა კოლომბომ, კარგა ხანია, თავს უშველა და, სავარაუდოდ, „ნაციონალური სალაროს“ ფულით პარიზის ოპერას ეხმარება. ოპერის მოჩვენებად ქცეული სააკაშვილი კი, ავტომატიანებით დატენილი ტორტის არქონის პირობებში ველარ ახერხებს, ძალად შეაყვაროს რაიმე გუშინდელ ხელქვეითებს.**

როგორი არატოლერანტულია მაინც ჩვენი საზოგადოება! იგი არ მიუტევებს ოდნავ გადაცდენასაც კი, როცა მის ეროვნულ სიამაყეს ეხებიან, ან სანუკვარს ულანძღავენ. მას აღარ აინტერესებს დაგვიანებული დითირამბები ილიას მიმართ, რაკი მათმა ავტორმა ოდესღაც თქვა, რომ ილიას საშუალო დონის მწერლად განიხილავს. ორიოდე თვის წინათ ლევან ბერძენიშვილმა რადიო „შოკოლადის“ ეთერში ილია ქართველ მეფეებსა და პრეზიდენტებზე მაღლა დააყენა, რადგან ერთნი მემკვიდრეობით იღებდნენ ტახტს, მეორენი კი ხალხის მიერ იყვნენ არჩეულნი, ხოლო ილიამ ეს ადგილი იმით დაიმკვიდრა, რომ სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩენილ საქართველოს ეროვნულ ცნობიერებას ულვიძებდა.

ბერძენიშვილი ლაპარაკობდა, როგორ ვერ აპატიეს თანამედროვე ქართველებმა ილიას, რომ მიძინებულთ აღვიძებდა და ნერვებს უშლიდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს „ვერ აპატიეს“ საკუთარ თავზე გადააქვს ბერძენიშვილს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოებას ბევრი რამ და ბევრისთვისაც უპატიებია, ოღონდ გააჩნია, ვის რა ეპატიება და როდის.

იმავე გადაცემაში **ლევან ბერძენიშვილმა იმაზეც იქილიკა, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ რუს მეფეს, უნივერსიტეტის მაგივრად, საარტილერიო სასწავლებლის გახსნა თხოვა და საგანგებოდ შეგვახსენა მისი აბრევიატურა — ТАУ (ТБИЛИССКОЕ АРТИЛЛЕРИЙСКОЕ УЧИЛИЩЕ). არადა, საქართველოს ისტორიას ისიც კარგად ახსოვს, როგორ ქილიკობდნენ ზუსტად ასე მოღალატეები: ქართველებს მეზარბაზნეები არ ჰყავთო!**

საბჭოთა ეპოქაში იყო ასეთი ანეკდოტი: კითხვაზე — ვინ იყო ბრეჟნევი, ისტორია ასეთ პასუხს იძლევა – უმნიშვნელო პოლიტიკური მოღვაწე ალა პუგაჩოვას ეპოქაში! ჩვენი გმირების შემთხვევაში რას იტყვის ისტორია, ამას დიდი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა არ უნდა სჭირდებოდეს.

**ვის მოსწონს „აბესალომ და ეთერი“, ვინ დაესწრო განახლებული ოპერის გახსნას, ვის ეცვა ქურქი თუ ქულაჯა, საქართველოს ისტორიას არ დააინტერესებს, ისევე, როგორც მავანის თვალსაზრისი ილიასა და მის ევროპელობაზე. მთავარია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი აღდგენილია, სეზონს კვლავ ფალიაშვილის ოპერა ხსნის და ესმით თუ არა, ხვდებიან, რომ მასზე დასწრება პრესტიჟულია.** ზოგს, შესაძლოა, ოპერის მადაც გაეხსნას და მელომანადაც ჩამოყალიბდეს. ისე, „აბესალომ და ეთერის“ დამწუნებელმა ვერ მიუთითა სააკაშვილს, რომ საქართველოს ჰიმნის მუსიკა მაინცდამაინც ზაქარია ფალიაშვილისთვის არ უნდა შეეკვეთა? ეჰ, ნიკა, ნიკა! ზაქარია ხან თრეშია და ხან გენიალური?!

ამასობაში ოპერაში ახალი წესები ამოქმედდა, საპრეზიდენტო ლოჟა საერთოდ გაუქმდა და ამ ადგილს არა ოფიციალური პირები, არამედ საპატიო სტუმრები დაიკავებენ. სხვათა შორის, საზეიმო გახსნას არც პრეზიდენტი, არც ივანიშვილი, არც ღარიბაშვილი არ დასწრებიან. გამოდის, რომ „წინწყაროთი“ ნაცსახეებმა **მედეა ამირანაშვილს** გაუპროტესტეს სპექტაკლზე დასწრება (პრეზიდენტის ლოჟაში). ოპერის მოყვარულებო! აბონემენტი აიღეთ ან ლოჟა იყიდეთ, თორემ ამის შემდეგაც ოპერაში შემსვლელები რომ არ ხართ, ცნობილი ამბავია. ისე, მთელ **ამ ალიაქოთს ერთი პოზიტივიც ჰქონდა: ნინა წკრიალაშვილს ოპერის გახსნაზე მისვლა გონებაშიც არ გაუვლია. მადლობა მას ამისთვის და იმისთვისაც, რომ „წინწყაროს“ შესრულებას არ შეეჭიდა.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ახალი შავი ჭირი მოსდებია მსოფლიოს ლგბტ-პედერასტიის სახით. თუმცა რატომ შავი? — უფრო უპრიანია, ცისფერი ჭირი ვუწოდოთ დასავლეთში შობილ ლგბტ სექტას, რომელიც გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კულტურული ცივილიზაციისთვის, ვიდრე ბოლშევიკური ათეიზმი იყო, რადგან ბოლშევიკები მხოლოდ ღმერთის არსებობას უარყოფდნენ, თორემ სამშობლო, ეროვნება, ოჯახი, საზოგადოდ, ზნეობა და სხვა მრავალი, რაზეც დგას ნებისმიერი საზოგადოება, ბოლშევიკებისთვისაც წმინდათაწმინდა იყო. ბოლშევიკები იმას მაინც არ ქადაგებდნენ, ბიძაშვილი მოიყვანე ცოლად და თანაც — მამრიო...**

# ამერიკელი «მეგობრები», დემოკრატიას კი არა, დემოტრაკიას გვიშენებენ

**„აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“ — ასე იწყება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ 1848 წელს შექმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმს ევროპის პროლეტარიატის ხელით დაღუპვა ელოდა. ამის შემდეგ კარლ მარქსმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „კაპიტალი“. ერთსაც და მეორესაც იმჟამინდელმა მაძღარ-დავარცხნილმა ევროპამ, როგორც იტყვიან, წაუყრუა, სამაგიეროდ ყურად იღო ევროპაში მოღვაწე გიორგი პლეხანოვმა. მან მარქს-ენგელსის „მანიფესტიცა“ და „კაპიტალიც“ რუსეთის იმპერიაში შემოიტანა, თუმცა, ერთი შეხედვით, უპერსპექტივოდ, რადგან მარქს-ენგელსის თეორია (კაპიტალიზმის დამხობა) პრაქტიკაში ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატს (მუშათა კლასს) უნდა განეხორციელებინა. პროლეტარიატი კი, როგორც ასეთი, აგრარული ეკონომიკის რუსეთში პრაქტიკულად არ არსებობდა.**



**ალბათ, ამიტომ წაუყრუეს რომანოვებმაც და მხოლოდ მაშინ შეფუცხუნდნენ, როდესაც მარქსიზმი გალენინიზმდა და ეს ათეისტური ფილოსოფია ეგზემასავით მოედო დედამიწის 1/6 ნაწილზე გადაჭიმულ რუსეთის მართლმადიდებლურ იმპერიას, მაგრამ გვიანღა, რადგანაც ამ „გვიანღამ“ ამოწყვიტა რომანოვების მართლმადიდებელი მონარქია, დაშალა რუსეთის თვალუწვდენელი იმპერია და, რომ არა სტალინის გენიით განადგურებული მასონ-ტროცკისტები, რის შემდეგაც რომანოვების რუსეთის იმპერია სსრკ-ის უფრო დიდი, თანაც ბირთვული იმპერიით ჩაანაცვლა, დღეს აღარც პუტინის რუსეთის იმპერია იქნებოდა, რომელიც არა მხოლოდ გეოპოლიტიკის გამო გაჩხერია ყელში ამერიკას, არამედ...**

**აი, სწორედ ამ საკითხზე გვექნება ქვემოთ საუბარი და ზემოთ თქმული მხოლოდ ქვემოთ სათქმელთან პარალელის გასავლებად დამჭირდა.**

დღეს ახალი შავი ჭირი მოსდებია მსოფლიოს ლგბტ-პედერასტიის სახით. თუმცა რატომ შავი? — უფრო უპრიანია, ცისფერი ჭირი ვუწოდოთ დასავლეთში შობილ ლგბტ სექტას, რომელიც გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კულტურული ცივილიზაციისთვის, ვიდრე ბოლშევიკური ათეიზმი იყო, რადგანაც ბოლშევიკები მხოლოდ ღმერთის არსებობას უარყოფდნენ, თორემ სამშობლო, ეროვნება, ოჯახი, საზოგადოდ, ზნეობა და სხვა მრავალი, რაზეც დგას ნებისმიერი საზოგადოება, ბოლშევიკებისთვისაც წმინდათაწმინდა იყო. ბოლშევიკები იმას მაინც არ ქადაგებდნენ, ბიძაშვილი მოიყვანე ცოლად და თანაც — მამრიო...

ლგბტ სექტის მშობელი ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაბატონდა დასავლეთში, სწორედ იმის უარყოფაზეა დაფუძნებული, რასაც ბოლშევიკებიც კი პატივს სცემდნენ.

**იქამდეც კი მივიდნენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ახალშობილ ბავშვს დაბადების მოწმობაში სქესს აღარ უწერენ...**

გავიხსენოთ, როგორ მივიდა დასავლური ცივილიზაცია იქამდე, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად ჩაეთვალა, როგორიც მზის ამოსვლა-ჩასვლაა.

**ეს ყველაფერი გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკაში დაიწყო ე.წ. ჰიპური მოძრაობის სახით, რომელიც ე.წ. თავისუფალ სიყვარულს, ნარკოტიკების ლეგალიზაციას და სხვა ცოდვების დაკანონებას ითხოვდა!**

პირველს კიდევ რა უშავდა, ბოლოს და ბოლოს, ქალ-ვაჟის სექსის თავისუფლებაზე იყო საუბარი, მაგრამ სწორედ ასეთი თავისუფლებიდან მივიდნენ ჰომოსექსუალური გარყვნილების ავადმყოფობების სიიდან ამოღების მოთხოვნამდე 1972 წელს, რომელსაც იმხანად ჯერ კიდევ პურიტანული ამერიკის საზოგადოებამ, მარქსიზმ-ლენინიზმისა და ევროპა-რუსეთისა არ იყოს, წაუყრუა. ამან შედეგად ის მოიტანა, რომ სულ რაღაც 20 წელიწადში **გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღასრულა პედერასტების მოთხოვნა და ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა სიიდან ამოიღო (სხვათა შორის, იმავე ორგანიზაციამ ახლახან, არც მეტი არც ნაკლები, სიყვარული შეიტანა დაავადებათა ნუსხაში), რის შემდეგაც დაიწყო პედერასტების ტრიუმფალური სვლა არა მხოლოდ ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისთვის „ცივილიზირებულ დასავლეთში“, არამედ ევროპა-ამერიკის ხელისუფლებების მაღალი ეშელონებისკენაც.**

დასავლეთში დღეს არსებული ნეოლიბერალური ხელისუფლებები სხვა არაფერია, თუ არა პედერასტების ან მათდამი ლოიალურად განწყობილთა მმართველობა.

ანუ უმცირესობა მართავს უმრავლესობას და არა პირიქით, რაც დემოკრატიის ანაბანაა. რა გაეწყობა, ასეთია დღეს მათი დემოკრატია და ამიტომ **დღეს იქ აღარავის უკვირს, ქალაქების მერები, დეპუტატები, მინისტრები, პრეზიდენტებიც კი ლესბოსელ-ჰომოსექსუალები რომ არიან!**

**ბარაკ ობამამ** პრეზიდენტად პირველი ვადით არჩევისას პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ გააუქმა რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონი, რომელიც აშშ-ის ჯარში ჰომოსექსუალების მსახურებას კრძალავდა.

ახლა **პენტაგონს ლესბოსელი გენერალიც კი ჰყავს და, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი პედერასტი და ლესბოსელი მსახურობს შედარებით დაბალ დონეებზე.**

შემდეგ იმჟამინდელმა სახმდივანმა და დღეს დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატმა **ჰილარი კლინტონმა** განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მსოფლიო მასშტაბით ლგბტ-თა უფლებების დაცვა იქნებაო, რაზეც პრეზიდენტმა ობამამ კვერი დაუკრა — აშშ-ის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში ლგბტ-თა უფლებების დაცვის ხარისხზე იქნება დამოკიდებულიო და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

*** რიგაში ბალტიისპირეთის ქვეყნების პედერასტთა აღლუმს წინ მიუძღოდნენ ამ ქვეყნებში აშშ-ის ელჩები, ამ სურათს რიგითი ლატვიელები უილაჯოდ, ცრემლიანი თვალებით უყურებდნენ.**

*** 2011 წლის 17 მაისი კი საქართველოში პედერასტთა გაჯეჯილების პირველი მცდელობის თარიღია. ჰაინრიხ ბიოლის ფონდს შეფარებულმა ქართველმა პედერასტებმა, რომელთაც წინ ფარად მიუძღოდა ორი ამერიკელი პედერასტი, რუსთაველის გამზირზე ჩავლა სცადეს, მაგრამ რიგითმა თბილისელებმა, რომელთა შორის მეც გახლდით, ზემელზე შეაჩერეთ სოდომისტთა მარში.**

2012 წლის 17 მაისს სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაბედა იმავეს გამეორება, რადგან ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ისედაც „წყალშეყენებულ“ ნაცებს, ლგბტ-თა უფლებების დასაცავად აღარ ცხელოდათ.

**2013 წლის 17 მაისს** კი, დასავლეთში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების კომპრომეტაციის მიზნით, ნაცებმა მწვანე შუქი აუნთეს თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებულ პედერასტებს და, ათასობით თვითმობილიზებული მოქალაქის მიუხედავად, კვლავ სცადეს ბინძური გეიაღლუმის ჩატარება, მაგრამ ქუჩაში გამოსულმა ქართველებმა რუსთაველის პროსპექტის და, საზოგადოდ, სრულიად საქართველოს წაბილწვის უფლება არ მისცეს დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებულ სოდომისტებს.

სამაგიეროდ, **თბილისში აკრედიტებული დასავლეთის სახელმწიფოთა საელჩოები (რომლებიც წლების განმავლობაში ფართოდ დახუჭული თვალებით უმზერდნენ სააკაშვილის სისხლიან-სადისტურ რეჟიმს) მეორე დღესვე გამოვიდნენ პარლამენტის შენობის წინ და „ტაბურეტკიანი მღვდლების“ მკაცრად დასჯა მოითხოვეს(?!).**

იმავე დღეებში საქართველოს პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის დაცვის დღედ. მან მრევლს ამ დღეს ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტაციების გამართვისკენ მოუწოდა და, აბა, მომავალში რაღას გაბედავდნენ ქართველი პედერასტები, მაგრამ...

**„ქართული ოცნებისა“ და ჭორვილის ბაგაზე დაბმული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის „უწმინდესი პატრიარქის“, სამების აღმშენებლის — ბიძინა ივანიშვილის კატეგორიული მოთხოვნით, საქართველოს ცვედანმა პარლამენტმა ერთხმად მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ჩვენმა მართლაც უწმინდესმა პატრიარქმა საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა!**

ეს კანონი ერთგვარი შენელებული ნაღმია და სწორედ ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ კანონზე დგას მთელი დასავლური ლგბტ, გნებავთ — „დემო(ტ)რაკია“!

**პირველ ეტაპზე უწყინარ ტოლერანტობას (ანუ რა გინდათ, რას გვერჩით, ნუ დაგვჩაგრავთო) ითხოვენ პედერასტები, შემდეგ — ანტიდისკრიმინაციული კანონით გულმოცემულები — თანასწორობას და მესამე ეტაპზე — პრივილეგიებს!**

ახლახან სწორედ მესამე ეტაპი გაიარა დასავლეთმა...

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებისას თუ ამერიკის მხოლოდ 7 შტატში იყო ლეგალიზებული ერთნაირსქესიანთა ქორწინებები, შარშანს აქეთ მთელი აშშ გაპედერასტდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი** ამ „სიკეთის“ სრულიად მსოფლიოში, პირველ რიგში, მოკავშირე ქვეყნებში გავრცელებით დაგვემუქრა. ასე რომ, საქართველოს ფხიზლად ყოფნა მართებს, როგორც აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირეს, და სწორედ ეს გახდა წინამდებარე წერილის შექმნის მოტივაცია.

საქართველოში მცხოვრებმა პედერასტებმა, როგორც ჩანს, გეიაღლუმების ჩატარების გზაზე უარი თქვეს და ლგბტ-თა უფლებების დაცვის „სამართლებრივ გზას“ დაადგნენ: სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით.

ჩემი აზრით, **საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელის განხილვის პროცესს გააჭიანურებს, რადგან წელს საარჩევნო წელია და „ქართული ოცნება“ (წაიკითხე — ივანიშვილი) ვერ გარისკავს ქართველი საზოგადოების გამწარებას. მაგრამ ჩაივლის არჩევნები და, თუ პარლამენტში ისევ ნეოლიბერალების სიჭარბე იქნება, საკონსტიტუციო სასამართლოს, პრეზიდენტისა და პარლამენტის გადაწყვეტილება ისეთი იქნება, როგორიც აშშ-ს სურს!**

წერილის თავში ამერიკის ყელში რუსეთის გაჩხერა ვახსენე და, დიახაც, **გეოპოლიტიკის გარდა, რუსეთის დაშლა იმიტომაც სურთ, რომ ლგბტ-თა ცისარტყელის ბაირაღი მსოფლიოს 1/6 ნაწილზე, კრემლის თავზე ააფრიალონ, რადგან რუსეთია ერთადერთი ზესახელმწიფო, რომლისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია 21-ე საუკუნის ცისფერი ჭირი და ამ კატეგორიულობას ზურგს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უმაგრებს. თუნდაც მხოლოდ ამის გამო უნდა შევიცვალოთ საგარეო ორიენტაცია და რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე გავხდეთ, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ სარგებელსა და სოხუმ-ცხინვალის დაბრუნების პერსპექტივაზე.**

ახლა მაინც მოვეგოთ გონს, რადგან ბრიყვთათვისაც კი ცხადია, რომ ჩვენი ამერიკელი „მეგობრები“, მეოთხედი საუკუნეა, დემოკრატიას კი არა, თურმე დემო(ტ)რაკიას გვიშენებდნენ...

წერილს, რომელიც კომუნისტური მანიფესტით დავიწყე, საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის, ერეკლე მეორეს, „მანიფესტით“ დავასრულებ:

„ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა-დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება — დ.მ.) დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“ **(წყარო: კორნელი კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი 1, თავი — კანონიკა, გვ. 522).**

პატარა კახივით სასტიკი ვერ ვიქნებით 21-ე საუკუნეში, ამიტომ „ჯაჯაებითა“ არა, მაგრამ თითო პანღური არ აწყენდა ახურებულ უკანალებში სოდომის ცოდვის პროპაგანდისტებს.

„ჭკუით, ქართველებო“, ნუ წავუყრუებთ!

**დავით მხეიძე**

„ერთი უნიკალური იარაღი, რომელიც აშშ-მა შექმნა, არის ტერორისტული ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. ამაში ჩათრეული აღმოჩნდა ჩვენი მეზობელი თურქეთიც და ამ ვითარებაში საქართველოსთვის გამოსავალი მხოლოდ ოპტიმალური გზის მოძებნაა. ასეთი გზა კი, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, არის დასავლეთთან პარტნიორულ ურთიერთობებზე უარის თქმა და რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკის მხარდაჭერა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვალერი კვარაცხელია:

# ჩვენი ხელისუფლება, ავლაბრის რეზიდენციასა და კანცელარიაში კი არა, ამერიკის საელჩოში ზის

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რამდენიმე დღის წინათ საქართველო, ფაქტობრივად, ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულა. „მოსკოვს აქვს მტკიცებულება, რომ ისლამური რადიკალური დაჯგუფება, ე.წ. ისლამური სახელმწიფო თავისი მიზნებისთვის პანკისის ხეობას იყენებს, კონკრეტულად კი პანკისის ხეობა ამ დაჯგუფების მებრძოლების თავშესაფარია“, — განაცხადა ლავროვმა. რას მასწავებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, ელის თუ არა ქვეყანას მორიგი საფრთხე რუსეთისგან და როგორ უნდა მოიქცეს ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება? — „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია ესაუბრა.**

— პანკისის თემაზე ლავროვის განცხადებას წინ უძღვოდა რუსეთის განცხადებები სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, მაგრამ ისიც ითქვა, რომ, ვინაიდან ორ ქვეყანას შორის 2008 წლის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები აღარ არსებობს, ამაზე ფიქრი და მუშაობაა საჭირო. ეს არის ძალიან საინტრესო და საჭირო გზავნილი როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ასევე ქართველი ხალხისთვის, რომელსაც ხელისუფლება ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს.

იქვე ახსენეს პანკისის საკითხი. **პანკისის პრობლემა რომ არსებობს, ეს დღეს ყველამ იცის. ვინაიდან ეს არ არის ახალი თემა — უკვე წლებია, ამაზე საუბრობენ.** როდესაც ჩეჩნეთის საკითხი იდგა რუსეთის წინაშე, პანკისის ხეობა ჯერ კიდევ მაშინ იყო რუსეთისთვის მტკივნეული თემა. ვინაიდან სწორედ **პანკისის ხეობიდან შედიოდა რუსეთში მის საწინააღმდეგოდ მომუშავე როგორც სამხედრო ტექნიკა, ასევე ცოცხალი ძალა, ფინანსები და იარაღი, ანუ საქართველოს ტერიტორიას იყენებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.** ახლა ამ ყველაფერს დაემატა ახლო აღმოსავლეთში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. წარმოიდგინეთ, რასთან გვაქვს საქმე. ტერორისტულმა დაჯგუფებამ პრეტენზია განაცხადა სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე და ისიც ხომ ვიცით, რომ პანკისიდან მართლაც მიდიან მებრძოლები „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდასაჭერად. ანგარებით აკეთებენ ამას თუ სხვა მოტივი ამოძრავებთ, ფაქტია, რომ ასე ხდება და ისიც კარგად ვიცით, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ დღეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არ იბრძვიან, მიდიან მთელი მსოფლიოდან: რუსეთიდან, ევროპიდან და შედეგ თავიანთ სახელმწიფოებში ქმნიან დაჯგუფებებს, ქსელებს და, სადაც ხელი მიუწვდებათ, ბინძურ ტერორისტულ საქმიანობასავრცელებენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოდან წასული ადამიანებიც თავისთავად ქმნიან გარკვეულ საფრთხეს, თანაც ეს ხდება რუსეთის საზღვართან, რის გამოც რუსეთს ძალიან მგრძნობიარე დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი.

**— ეს რუსეთს აძლევს მიზეზს, საქართველოში ჯარი შემოიყვანოს?**

— რუსეთს მიზეზს აძლევს კი არა, ის ვალდებულიცა, ასეთ რაღაცებზე რეაქცია ჰქონდეს. რადგან რუსეთის სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ წერია, რომ მათ შეუძლიათ ქვეყნის საზღვრებს გარეთ სამხედრო მოქმედება, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება.

საქართველოს ეს საკითხი ორი მიმართულებით უქმნის საფრთხეს: ჯერ ერთი, რუსეთთან შეიძლება კვლავ დაპირისპირებულნი აღმოვჩნდეთ, რადგან საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო წინა ხელისუფლებისგან და ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ის არის დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორი, ხოლო რუსეთი მტერი და ოკუპანტია. ამიტომ, თუ რუსეთი იგრძნობს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მას რაიმე საფრთხე ემუქრება, რუსეთთან დაპირისპირება, რა თქმა უნდა, რეალურ სახეს შეიძენს.

არის მეორე საფრთხეც: ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს დახაზული აქვს თავისი რუკა, რომელშიც შესულია საქართველოც, კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, ამიტომ, **თუ ჩვენ რუსეთის ინტერესებს დავუპირისპირდებით, ხოლო რუსეთის ინტერესები „ისლამურ სახელმწიფოში“ ვერ გაიმარჯვებს, „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენის ქვეშ აღმოვჩნდებით და ჩვენთვის ამაზე მეტი საფრთხე რაღა უნდა იყოს?!**

## «თუ ჩვენ რუსეთის ინტერესებს დავუპირისპირდებით, ხოლო რუსეთის ინტერესები «ისლამურ სახელმწიფოში» ვერ გაიმარჯვებს, «ისლამური სახელმწიფოს» გავლენის ქვეშ აღმოვჩნდებით და ჩვენთვის ამაზე მეტი საფრთხე რაღა უნდა იყოს!»

თუმცა, ისიც ხომ ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა?! ის შეიქმნა აშშ-ის უშუალო მონდომებითა და მეცადინეობით. ჩვენ ვხედავთ უგუნურებას პოლიტიკაში, როდესაც ქვეყანა ნებისმიერი მეთოდით ცდილობს, მოიპოვოს გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოზე. ამისთვის **ერთ-ერთი უნიკალური იარაღი, რომელიც აშშ-მა შექმნა, არის ტერორისტული ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. ამაში ჩათრეული აღმოჩნდა ჩვენი მეზობელი თურქეთიც და ამ ვითარებაში საქართველოსთვის გამოსავალი მხოლოდ ოპტიმალური გზის მოძებნაა. ასეთი გზა კი, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, არის დასავლეთთან პარტნიორულ ურთიერთობებზე უარის თქმა და რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკის მხარდაჭერა.** ამის გარეშე საქართველოს უზარმაზარი პრობლემები შეექმნება და არამხოლოდ რუსეთის მხრიდან... ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველომ, რომელიც ისედაც სამ ნაწილადაა დაშლილი და უახლოეს მომავალში, შესაძლოა, უარესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

**— საქართველოს პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, თვით ამერიკის ელჩიც კი ამბობენ, რომ პანკისის ხეობაში არანაირი ტერორისტული ბაზა არ არის.**

— ერთადერთი, ვინც ჩავიდა პანკისის ხეობაში აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებთან ერთად, იყო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. **იქ შეხვდნენ მოსახლეობის მცირერიცხოვან ჯგუფს და განაცხადეს, რომ იქ არავითარი ტერორისტები არ არიან. თითქოს ტერორისტები იქ ბირჟაზე ელოდებოდნენ. ეს არის საკითხის ყოველგვარი შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე გაკეთებული უპასუხისმგებლო განცხადება. აბა, რას იტყვიან აშშ-ისა და ევროპის ელჩები, რომლებიც დაპირისპირებულები არიან რუსეთთან?** მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ პანკისში სერიოზული პრობლემებია და მათი წაყრუება და სირაქლემის პოზაში ყოფნა კარგს არაფერს მოგვიტანს?! **ხელისუფლებაში ყოფნა უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, მაგრამ ეს ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს გათვითცნობიერებული. მათთვის თანამდებობაზე ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებაა, საკუთარი კეთილდღეობის მოწყობა. მათ უნდა დაიკისრონ პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე და პასუხი უნდა აგონ ყველა შედეგზე, რომლებიც მათი უგუნური ქმედების შედეგად დადგება,** ამიტომ არ შეიძლება ასეთ უმძიმეს თემებს ასე ქარაფშუტულად ეპყრობოდეს ქვეყნის ხელისუფლება.

საქართველოს ხელისუფლებას ოდნავი გონიერება რომ ჰქონდეს, ჯერ — პუტინის და მოგვიანებით ლავროვის განცხადების შემდეგ უნდა დაეწყო სერიოზული მუშაობა, განეხილა ეს საკითხი, დაემუშავებინა, მოეწვია საზოგადოების წევრები და უნდა ყოფილიყო საპასუხო რეაქცია. ჩვენ კი მივიღეთ სრულიად გაუაზრებელი რეაქცია შაბლონებისა და სტერეოტიპების დონეზე. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ხელისუფლების წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, სანამ ქვეყნის ტერიტორია ოკუპირებულია, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი არ შეიძლებაო. იმავეს იმეორებენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, პრემიერი და პრეზიდენტი...

**— დიახ, საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე რუსეთს არ დაელაპარაკება. არასწორია ასეთი პოზიცია?**

— რა თქმა უნდა, არასწორია. პრობლემა ჩვენ გვაქვს და ამიტომ ყველა შესაძლო შემთხვევაში დიალოგი უნდა დავიწყოთ, გავარკვიოთ, რა არის რუსეთის ინტერესი, რა ჩვენი და ვეძებოთ არა კონფრონტაციის, არამედ პრობლემების დაძლევისა და გადაწყვეტის გზები.

მარგველაშვილმა ისიც განაცხადა, ლავროვს ქვეყნის პირველი პირი არ უნდა შეხვდესო. ჯერ ერთი, მან ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ყველა ქვეყნის პირველი პირი ხვდება სხვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ეს მიღებული პრაქტიკაა და, **როდესაც მარგველაშვილი, რომელიც პირველ პირად განიხილავს თავს, აცხადებს, რომ არ შეხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რადგან რანგით არ შეეფერება, სიბეცე და საერთაშორისო პოლიტიკის სრული უცოდინარობაა.** არ შეიძლება ასეთი ამპარტავნული, ქედმაღლური დამოკიდებულება. მაგრამ ვინ გვეუბნება, რომ, გინდა თუ არა, ლავროვს შეხვდითო? პირველი პირები შეხვდნენ ერთმანეთს, რა პრობლემაა?!

**— საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთის პირველი პირების მხრიდან რამდენჯერმე გაისმა განცხადებები დიალოგის დაწყების თაობაზე, რატომ ვერ დგამს საპასუხო ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლება.**

— რა უნდა უთხრას საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს? სათქმელი არ აქვს! ამას გარდა, **საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მათი „დირექტორები“ არ აძლევენ რუსეთის ხელისუფალთან შეხვედრის უფლებას. ჩვენი ხელისუფლება, ავლაბრის რეზიდენციასა და კანცელარიაში კი არა, დიდ დილომში ზის. საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის ელჩთან შეუთანხმებლად ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამს.** ასეთი რამ რომ წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ხვალ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზოს, მზად ვართ, ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რომ დაგიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიებიო, რა გგონიათ, მიიღებენ ამ წინადადებას? **გაიქცევიან დოლომში და იქ დაიწყებენ გარკვევას, — ასეთ უცნაურ რაღაცას გვეუბნება რუსეთი და როგორ მოვიქცეთ, თქვენ გადაწყვიტეთო.** აბსოლუტურად არაფრის უფლება არ აქვს ამ ხელისუფლებას.

**— ანუ, საქართველო ვერც ერთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ იღებს?**

— **საქართველო დღეს უფროა დამოკიდებული გარე ძალებზე, ვიდრე თუნდაც საბჭოთა პერიოდში.** რა თქმა უნდა, იმ დროს სერიოზულ გადაწყვეტილებებს მოსკოვი იღებდა და ყველა მნიშვნელოვან საკითხს მასთან ათანხმებდნენ, მაგრამ იყო საკითხები, რომლებიც თბილისში წყდებოდა. დღეს კი არც ერთი საკითხი არ წყდება თბილისში. აბსოლუტურად სუვერენიტეტდაკარგული ხელისუფლება, საქართველოსთვის სასარგებლო თუნდაც ერთ პატარა ნაბიჯსაც ვერ დგამს.

**— ბატონო ვალერი, კიდევ ერთი პრობლემური საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაა. რამდენიმე დღის წინათ თურქეთმა რუსეთი საზღვრის დარღვევაში დაადანაშაულა და თურქეთის საჰაერო ძალებმა ავიაბაზებზე განგაშიც გამოაცხადეს. მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტის გამწვავება ორ მეზობელ ქვეყანას შორის და როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე?**

— რაც შეეხება თურქეთის განცხადებებს, ამას წინათ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი ხომ ჩამოაგდეს, რატომ ახლაც იგივე არ გაიმეორეს? ან არ ყოფილა მსგავსი ფაქტი, ან იყო და ველარ გაბედეს, თუმცა კონფლიქტის გამწვავება, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია. რადგან ვისმენთ აშშ-ის განცხადებებს, რომელიც ყველაფერში რუსებს ადანაშაულებს, თუმცა დღემდე არც ერთი რეალური სამხილი არ გამოუქვეყნებია. რუსეთის წინააღმდეგ აგრესია თანდათან მწვავდება, რადგან მათ დაინახეს, რომ რუსეთის დაშლა და დაჩოქება მათთვის მიუღწეველ ამოცანად დარჩა, თუმცა პუტინის მოსვლამდე ახლოს იყვნენ ამ სურვილებთან. საქართველოზე ეს სიტუაცია ცუდად აისახება. **მსოფლიო მესამე მსოფლიო ომისკენ მიექანება, ამიტომ, როგორც აღვნიშნე, აუცილებელია ყველაზე ოპტიმალური გზის გამონახვა, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით რატომღაც არ ვფიქრობთ.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სწრაფვა ნატოსკენ სისულელეა, ჩვენ იქ არავინ მიგვიღებს, თუნდაც მიგვიღონ, რას ველოდებით? ნატო ქართველი ერის ცხვირწინ ჩამოკიდებული პიტნაა. ნატო ჩვენი მშველელი ვერ იქნება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნატოელი ჯარისკაცი — ბელგიელი, ჰოლანდიელი, იტალიელი — სოხუმთან, ტამიშთან, თამარაშენთან, ცხინვალთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოლებს, დიდი სისულელე და დეგენერატობაა“.



ვაჟა ოთარაშვილი:

# ლაშა ბუღაძე ვირზე უკუღმა უნდა შესვა... მსახიობები, სპორტსმენები, რეჟისორები მწვადზე მოყრილი ქინძები არიან

**საქართველო წინასაარჩევნი ფაზაში შედის და დაძაბულობაც იზრდება. „ქართული ოცნების“ პოლიტიკითა და კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების ლიდერებისგან იმედგაცრუებული ქართველი საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავს. საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები რესპუბლიკური პარტიის აღზევებას ეწინააღმდეგებიან და ხშირად სიბრაზესაც ვერ მალავენ.**
**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პოეტი ვაჟა ოთარაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ვაჟა, „ქართული ოცნების“ ახალ საპარლამენტო სიაზე ბევრს საუბრობენ. ამბობენ, რომ ყველაზე მეტი ამბიცია რესპუბლიკელებს აქვთ. ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, გვაქვს რესურსი, პარლამენტი ჩვენი წევრებით დავაკამპლექტოთო...**

— **თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, შადიმანებისა და ფარსადანების სიმრავლე ყოველთვის იყო, ამიტომაც სამშობლოს ისეთი გამყიდველები, როგორებიც არიან ცოლ-ქმარი უსუფაშვილი და ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები, ზაქარეიშვილი, აგულაშვილი და კიდევ სხვა რესპუბლიკელები, 150-ნი ნამდვილად იქნებიან და ეჭვიც არ მეპარება, რომ ბერძენიშვილი ქვეყნის მოღალატეთა რესურსს გულისხმობს.**

რესპუბლიკური პარტია „ნაცხროვის“ იდეოლოგიის გამგრძელებელია და პოლიტიკურ ასპარეზს ისევე უნდა ჩამოშორდეს, როგორც „ნაცმოძრაობა“.

**— ეს არც ისე ადვილი საქმეა. ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის მფარველობის ქვეშ არიან...**

— ბიძინა იავნიშვილს წარმოდგენა არ აქვს, ბედმა რომელი ქვეყნის პირველკაცობა არგუნა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის რეალობას ვერ აღიქვამს. მისი მილიარდები ერთ მხარესაა, ხოლო ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო — სხვა მხარეს. ივანიშვილმა სწორი გზა უნდა აირჩიოს.

**— მან არჩევანი არ გააკეთა, ალბათ, არც გააკეთებს...**

— მაშინ ჩვენ გავაკეთებინებთ და როგორღაც ავუსხნით, რომ სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზე. ივანიშვილს არ ვურჩევ, რესპუბლიკურ პარტიას ანაცვალოს თავისი ავტორიტეტი, რომლის გამოც ნდობა გამოუცხადა ქართველმა ხალხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ავტორიტეტი თოვლის ფიფქივით გაქრება და საგინებელ-საწყევარი გახდება. **რესპუბლიკელებისთვის სასათბურე პირობების შექმნა ივანიშვილის უდიდესი დანაშაულია ქართველი საზოგადოების წინაშე. ეს თითქმის იმ არაადამიანობის ტოლფასია, რომელსაც „ნაცხროვა“ წლების განმავლობაში ამჟღავნებდა.** მისი ამ საქციელის გამო „ქართული ოცნება“ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება, და თუ ასე არ მოხდა, კიდევ უფრო დიდ სისასტიკეს ვიხილავთ, ვიდრე აქამდე გვინახავს.

**— თვლით, რომ ბიძინა ივანიშვილი ამას გააზრებულად არ აკეთებს და ვიღაცას შეცდომაში შეჰყავს?**

— ვფიქრობ, დავალებას ასრულებს, მის კაპიტალს ხომ სხვებიც განაგებენ?! იქნებ, ფულის დაკარგვის ეშინია და ამიტომაც მარიონეტია ვიღაცის ხელში...

**ივანიშვილის სამი წლის მოღვაწეობამ გვიჩვენა, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანი არ არის, რადგან, ასე რომ ყოფილიყო, მხარს არ დაუჭერდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, მხარში არ ამოუდგებოდა რესპუბლიკურ პარტიას და საერთოდაც, გადახედეთ, მის არაადეკვატურ განცხადებებს.**

ივანიშვილი არ არის ღრმად განსწავლული, მან არ იცის 9 ნეტარება, რომელთაგან უპირველესია სიმართლისთვის ბრძოლა. ის თეოლოგიაში რომ ერკვეოდეს, პოლიტიკურ ნაბიჯებს სამართლიანობის დამკვიდრებით დაიწყებდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ვადა იწურება და არაფერი გაკეთებულა, შედეგს ვიმკით კიდეც.

ვინ არის ამ ქვეყანაში ბედნიერი? — მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები. **ბიძინა ივანიშვილი და მისი ფირმები ნახულობენ ხეირს, იგებენ ტენდერებს და ფულს თვითონ თქვლეფენ. ქუჩაში არც გაუხედავთ, არ აინტერესებთ, რამდენი ათასი ადამიანი, ოჯახი შიმშილობს. შიმშილობენ პედაგოგები, პროფესორები, გლეხები, მაგრამ ივანიშვილს ეს არ აინტერესებს.**

**ამბობენ, ტაძარი ააშენაო, მერე რა, ტაძარი რომ ააშენა? რაღაც დაწესებულება გადახურა? სამაგიეროდ, სახელმწიფო დაინგრა.**



**«ივანიშვილის სამი წლის მოღვაწეობამ გვიჩვენა, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანი არ არის, რადგან, ასე რომ ყოფილიყო, მხარს არ დაუჭერდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, მხარში არ ამოუდგებოდა რესპუბლიკურ პარტიას და საერთოდაც, გადახედეთ, მის არაადეკვატურ განცხადებებს»**

**— ივანიშვილზე ამბობენ, ინტელიგენცია იყიდა და ამიტომ მის ქმედებაზე ხმას არვინ იღებსო.**

— ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ქართული ინტელიგენცია სულ იყიდებოდა, მათ შორის, კომუნისტების პერიოდშიც, მაგრამ ჩვენს დროში ინტელიგენციის მოსყიდვის თუ ყიდვის ტენდენცია ყოფილმა პრემიერმა **ზურაბ ჟვანიამ** განაახლა. სწორედ მან მოისყიდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი და გულზე მჯიღი არტყმევინა. საერთოდაც, ყველა ე.წ. ლიბერალური სიბინძურის შემომტანი საქართველოში ზურაბ ჟვანიაა. მრცხვენია, რომ ის დიდუბის პანთეონში ბუმბერაზი ადამიანების გვერდით არის დასაფლავებული.

ვისაც ჩვენ ინტელიგენციას ვუწოდებთ, ინტელიგენციის ნაწილად ვერ აღვიქვამ. ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებსაც მართლა შეუძლიათ ფასეულის შექმნა და მათ უჭირთ, ასეთ ადამიანებს შესაძლებელია, რომ დაეხმარონ, მაგრამ არ მოისყიდონ.

**— ანტიდისკრიმინაციული კანონს, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ შემდეგი ნაბიჯები აუცილებლად მოჰყვებოდა. დღეს უკვე დავდექით ფაქტის წინაშე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში განაცხადი შეიტანეს ლგბტ-თემის წარმომადგენლმა, ისინი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვენ.**

— ვერც კი წარმომიდგენია, რომ ვინმემ გაბედოს და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას მხარი დაუჭიროს, მაგრამ, თუ მსგავსი რამ მაინც მოხდება, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება.

**— ლგბტ-თემის მოთხოვნას მხარი მწერალმა ლაშა ბუღაძემ დაუჭირა.**

— **ლაშა ბუღაძე იმ კაცის შვილი არ არის, ფურთხების პერფომანსი რომ მოაწყო? ლაშა ბუღაძე გამყიდველია, ანტიქართველი, წმინდანების მაგინებელი, მისი მოსმენა და ტელევიზიით გამოყვანა არ შეიძლება.** ახალგაზრდებისთვის თუ ბუღაძე ავტორიტეტია. ეს სწორედ სააკაშვილისა და ამ ხელისუფლების დროინდელი განათლების მინისტრების — შაშკინის, ლომაიასა და სანიკიძის დამსახურებაა. **ნორმალური ქვეყანა რომ გვქონდეს, ლაშა ბუღაძე ვირზე უკუღმა უნდა შესვა და ხალხს მისთვის სახეში აფურთხებინო. ხელისუფლებას გამყიდველი მწერლებისა და პოეტების მთელი ჯოგი ჰყავს.**

არავინ გაბედოს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, თორემ წიხლის ცემით გამოვყრით მთელს პარლამენტს ქუჩაში, ხალხი თვითონ აიღებს ხელში მმართველობას და მილიარდერი ოლიგარქი სახტად დარჩება.

**— საქართველოში ეკონომიკური კრიზისია. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის გამომწვევი მიზეზი?**

— ამის მიზეზი ის არის ის, რომ ხელისუფლებამ ეროვნული წარმოების ასაღორძინებლად არაფერი გააკეთა, სწორი პოლიტიკა ვერ გაატარა.

ჩინელი, ამერიკელი თუ ირანელი ბიზნესმენების ამ ქვეყანაში შემოსვლა ეკონომიკას ფეხზე ვერ დააყენებს, ამით მხოლოდ იმას ვახერხებთ, რომ საკუთარ მოქალაქეებს იაფ მუშახელად ვაქცევთ.

ვფიქრობ, ეკონომიკური სტაგნაცია მიზანმიმართულად ხდება, რათა საქართველოდან ქართველები გაიქცნენ და სხვები მოვიდნენ. ხომ იცით, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან.

**— ასეთ ვითარებაში ვისი ან რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— უფლის იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ისტორიული პარალელების გავლებით, რუსეთთან დაპირისპირება ხელს არ მოგვცემს.

**1878-1921 წლებში სამხრეთ საქართველო — ტაოკლარჯეთი, არტანუჯი, ხანძთა ჩვენ შემადგენლობაში იყო, ეს რუსებმა და ქართველმა ოფიცრებმა ერთად შეძლეს.**

რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად, საქართველო პარტნიორს ვერ აირჩევს, მეზობელი ქვეყნის ინტერესების გაუთვალისწინებლობამ სადამდე მიგვიყვანა, ვხედავთ. თურქეთი ჩვენი ისტორიული მტერია, ჩვენ კი მასთან მეგობრობას ვიჩემებთ, ამას ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

**სწრაფვა ნატოსკენ სისულელეა, ჩვენ იქ არავინ მიგვიღებს, თუნდაც მიგვიღონ, რას ველოდებით? ნატო ქართველი ერის ცხვირწინ ჩამოკიდებული პიტნაა. ნატო ჩვენი მშველელი ვერ იქნება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნატოელი ჯარისკაცი – ბელგიელი, ჰოლანდიელი, იტალიელი — სოხუმთან, ტამიშთან, თამარაშენთან, ცხინვალთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოლებს, დიდი სისულელე და დეგენერატობაა.**

ნატო კოლოსალური ფულის შოვნის წყაროა, ვიღაც ფულს შოულობს, ხოლო საქართველო ტერიტორიებს კარგავს. იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობაზე იზრუნონ, ბაზარი მოუპოვონ, ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მისცენ, ჯანდაბისკენ გვიკრეს თავი, არადა, შეეძლოთ რუსეთის ბაზრის ათვისება, ქართველი გლეხისთვის ნაცნობი ბაზრის.

ევროპა რუსეთის მიმართ სიმპათიით არის განწყობილი. მაგალითად, საფრანგეთში შეხვდებით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პლაკატებს წარწერით „პუტინი — ფრანგი ხალხის მეგობარი“.

**დღეს მსოფლიოს მმართველი ორგანიზაციები მართლმადიდებლობას ებრძვიან, განადგურებულია საბერძნეთი, იუგოსლავია, უკრაინა... საქართველოს წინააღმდეგაც მომართულია იგივე ნაღმი, „ქართველთყლაპიებს“ ჩვენი რწმენა აღიზიანებთ და სურთ, თავს სიბინძურეები მოგვახვიონ. შემსრულებლები კი ამ ქვეყანაში ოხრად ჰყავთ — ვაჭარაძეები, ბუღაძეები...** ქადაგებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების „სიკეთეებზე“. ზემოთ საკონსტიტუციო სასამართლო ვახსენეთ. ვინ არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე? — მიშა სააკაშვილის კაცი. ეს ივანიშვილმაც იცის და მშვენივრადაც არის მასთან შეხმატკბილებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **პაპუაშვილმა** სამშვილიანი ოჯახი გამოაგდო სახლიდან, ოჯახის უფროსი აწამეს და ეს ნაძირალა თვითონ შევიდა იქ საცხოვრებლად. ასეთი ადამიანები საჯარო სამსახურებში ოხრად არიან, ხელისუფლებაში „მიშა 2“ მოვიდა. **მსახიობები, სპორტსმენები, რეჟისორები მწვადზე მოყრილი ქინძები არიან.**

**— საარჩევნო წელია. როგორი არჩევნები გველის?**

— ვიმედოვნებ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ კარგ შედეგს მიაღწევს, ხალხის იმედი გვაქვს, მაგრამ გაყალბებასაც ველოდებით. ასევე, დიდი იმედი გვაქვს მედიასაშუალებების, ისეთის, როგორიც თქვენი გაზეთია. მჯერა, ხალხს გააგებინებთ, რომ მომავალ არჩევნებში „ოცნებისთვის“ ხმის მიცემა სირცხვილია, უჩინმაჩინის ქუდით მოარული ოლიგარქი კი ვიღაცის მარიონეტია.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხან-მოურავი ქრისტიანი, პატრიოტი და გამორჩეული პოლიტიკური მსოფლმხედველობის ადამიანია. ის პრინციპული და ნიჭიერი კაცია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩამოვწერეთ უდიდესი პროფესორ-მასწავლებლები და, ვინც წერა-კითხვა იცოდა, პროფესორები დავარქვით; ვინც ხმამაღლა იყვირა, ის პირველკაცად ვაქციეთ. არაპროფესიონელებმა, თავხედებმა ქვეყანა შეჭამეს. სტუდენტს მოტივაცია არ აქვს, რომ ცოდნას დაეუფლოს, რადგან ხედავს, ვინც ხმაურობს, წარმატებულიც ის არის, ცოდნა საჭირო არ არის“.

ტარიელ სუხიაშვილი:

# ალარაფერი შეგვრჩა, დემოკრატიას გადავაყოლეთ ყველაფერი

**რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ერთგული მკითხველი, თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენელი, ინჟინერი ტარიელ სუხიაშვილი გვესტუმრა, რომელიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საკუთარ თვალსაზრისს გვიზიარებს.**

**— ბატონო ტარიელ, „ქართულმა ოცნებამ“ ოთხ წელიწადში მოახერხა, ამომრჩევლის იმედი გაეცრუებინა. თქვენც იმედგაცრუებულთა კატეგორიას მიეკუთვნებით?**

— იმედგაცრუებულთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რადგან „ქართული ოცნების“ იმედი არასდროს მქონია. ცხოვრებისეული გამოცდილება მაძლევს საშუალებას, რომ, მხოლოდ მოსმენის კი არა, განსჯის უნარიც მქონდეს. მათი არც ერთი დაპირება არ შესრულდა და ვიცოდი, რომ არ შესრულდებოდა.

**— როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობაში მილიონობით ლარი ჩაიდო და მიწებიც დამუშავდა...**

— არც ერთი პროექტი არ იყო სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად შედეგზე ორიენტირებული. მოსავლის მოყვანაც არაფერს ნიშნავს, თუ ბაზარი არ გვექნება. ნაბიჯები, რომლებიც რუსეთისკენ გადაიდგა, საკმარისი არ არის, ზღვაში წვეთია.

**ხშირად გვესმის, — მოჯადოებულ წრეზე დავდივართო. ჩვენ მოჯადოებულ წრეზე კი არ დავდივართ, სწორხაზოვნად მივემართებით უფსკრულისკენ. ვერავინ შეძლებს, გაიხსენოს, რომელი წელი იყო წინა წელზე უკეთესი. ქართველებში უიმედობამ დაისადგურა.**

**— ქართველს იმედი ყოველთვის აქვს. არჩევნებზე სიხარულით მივდივართ და არჩევანსაც ვაკეთებთ...**

— არჩევნებს, რომელშიც მოსახლეობის მხოლოდ 20% მონაწილეობს, არჩევნებად არ ვთვლი. საქართველოში მხოლოდ ერთი ძალა მოქმედებს, ორი გუნდია, მაგრამ ძალა ერთია. სახელების ცვლილება არაფერს ნიშნავს. ქვეყნის განვითარებისთვის კი, სულ ცოტა, ორი ძალა მაინც არის საჭირო. ვიღაცამ რაღაცაზე ხომ უნდა იკამათოს? ჭეშმარიტებამდე ხომ უნდა მივიდეს კამათი? ასეთი რამ ჩვენში არ ხდება.

ვითარების ასე შემობრუნებას არ ველოდი, მაგრამ ოდნავ მაინც უნდა შეცვლილიყო რაღაც?

**— იქნებ ქართველი პოლიტიკოსები გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფალნი არ არიან?**

— თუ ასეა, პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდნენ. თავისუფალი არავინ არის, სტალინზეც ზემოქმდებდნენ, მაგრამ... უბრალოდ, ნიჭი, უნარი და გამბედაობა უნდა ჰქონდეთ, წინააღმდეგობა რომ გასწიონ.

25 წელია, ქვეყანას ორიენტაცია არ აქვს. **გვეუბნებიან, დემოკრატიას ვაშენებთო, მაგრამ ვინმემ ახსნა, რა არის ეს დემოკრატია, რომელსაც ყველაფერი ვანაცვალეთ? აღარაფერი შეგვრჩა, სულიერი და მატერიალური ფასეულობები აღარ გვაქვს, დემოკრატიას გადავაყოლეთ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, განათლება.**

ქვეყნის შენების ძირითადი კრიტერიუმი არის დაპურებული მოსახლეობა და მისი უსაფრთხოება. მატერიალური დოვლათის შექმნა და ხალხის დაცვა უნდა იყოს ხელისუფლების საზრუნავი.

დოვლათი რომ შეიქმნას, ბაზარი უნდა იყოს. საქართველოს შეეძლო, ავტონომიურ რეჟიმზე ემუშავა. გვქონდა ენერგეტიკა — ამიერკავკასიას ვამარაგებდით; გვქონდა შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ელმავალმშენებლობა, თვითმფრინავებს ვუშვებდით — სუ-25-ს. სხვა ქვეყნებმა ყველაფერი შეინარჩუნეს, ჩვენთან კი განადგურდა. კონკურენცია ვერ გავწიეთ, უხარისხოაო, — ვიძახეთ...

უმაღლესი დონის სოფლის მეურნეობა გვქონდა. საქართველოდან ყველაფერი გადიოდა, მაგრამ მეურნეობები დაიშალა, მოისპო, უცხო ქვეყნიდან შემოსულმა ხილმა წალეკა ბაზარი, ამიტომ ქართველმა გლეხმა ხეების მოვლა ვეღარ შეძლო და მეურნეობაც გაუჩანაგდა. ახლა ეს ისევ რომ აალორძინო, 10-12 წელი დასჭირდება.

წლები გადის და არავისგან მომისმენია, რა როლი აქვს საბაჟო სამსახურს, არადა, საბაჟოს ფუნქციაა, დაიცვას საკუთარი ბაზარი და ერკვეოდეს ყველაფრის ფასში. **მებაჟემ უნდა იცოდეს, რა ჯდება თავის ქვეყანაში ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება და რა უჯდება შემომტან ქვეყანას. ფასიც ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს. როგორ შეიძლება, საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტზე იაფი იყოს შემოსული პროდუქტი?** ეს პრობლემა საბჭოთა კავშირის შემდეგ დადგა.

საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ინტელექტუალური და ტექნიკური პოტენციალი ერთნაირი გვქონდა, რაც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გვქონოდა. ეს კავშირი არ უნდა გაგვეწყვიტა. ჩვენ კი რა ვქენით? ყველას ზურგი შევაქციეთ და პირი უცხო ქვეყნისკენ ვიბრუნეთ. ინტელექტით არ ჩამოვრჩებოდით მათ, მაგრამ ტექნიკით ვეღარ დავეწიეთ. ბოლოს **ინტელექტუალური პოტენციალიც აღარ შეგვრჩა, რაც კატასტროფაა.**

**მეცნიერების უდიდესი სკოლები გვქონდა და მაინც ყველას ჩამოვრჩებით. ძალიან ადრე ჩამოვწერეთ უდიდესი პროფესორ-მასწავლებლები და, ვინც წერა-კითხვა იცოდა, პროფესორები დავარქვით; ვინც ხმამაღლა იყვირა, ის პირველკაცად ვაქციეთ. არაპროფესიონელებმა, თავხედებმა ქვეყანა შეჭამეს. სტუდენტს მოტივაცია არ აქვს, რომ ცოდნას დაეუფლოს, რადგან ხედავს, ვინც ხმაურობს, წარმატებულიც ის არის, ცოდნა საჭირო არ არის.**




**«ხშირად გვესმის, — მოჯადოებულ წრეზე დავდივართო. ჩვენ მოჯადოებულ წრეზე კი არ დავდივართ, სწორხაზოვნად მივემართებით უფსკრულისკენ. ვერავინ შეძლებს, გაიხსენოს, რომელი წელი იყო წინა წელზე უკეთესი. ქართველებში უიმედობამ დაისადგურა»**



ჩვენი პირველი პირების ნალაპარაკევი რომ დაწეროთ, შინაარს ვერ გაიგებთ. გაგიკვირდებათ, ნუთუ, რამდენიმე საათის განმავლობაში ამას ვუსმენდიო?! **ახალგაზრდები ფიქრობენ, დეგენერატები თუ სხედან ასეთ თანამდებობებზე, მაშინ რისთვისღა უნდა ვისწავლოო?!**

მაოცებს ხალხის მოლოდინი, თვეში რამდენიმე საწარმო უნდა აშენდესო. დავუშვათ აეშენებინათ, მერე რას აპირებდნენ — წარმოებული პროდუქტი სად მიჰქონდათ, ვისთვის უნდა მიეყიდათ?

**— არც ის პოლიტიკა და კურსი მოგწონთ, რომელსაც ვადგავართ?**

— იქნებ ამიხსნათ, რა გზას ვადგავართ და რა პოლიტიკა გვაქვს? ნატოსკენ ვისწრაფვით? რა არის ნატო? ამ შეკითხვას რომ უპასუხოს ვინმემ, მათ შორის, პოლიტიკოსებმა, ჯერ უნდა გავიგოთ, რა არის ნატო. **ამ ხნის კაცი ვარ, ამდენი წელია, ნატოზე საუბრობენ და არსად, არც ერთ პუბლიკაციაში არ შემხვედრია სწორი და ზუსტი განმარტება, რა არის ნატო და რაში გვარგია.** ვფიქრობ, ნატო აგრესიული სამხედრო ბლოკია, რაც პრაქტიკულად დავინახე კიდეც. ეს ბლოკი ემსახურება ადამიანთა ვიწრო წრის იმპერიულ ამბიციებს. ნატოში არასოდეს მიგვიღებენ, მაგრამ, რომც მიგვიღონ, რა გარანტია გვაქვს, რომ დაგვიცავს, ან ქართველების ბუნებიდან გამომდინარე, რა გვესაქმება აგრესიულ ბლოკში?

ერთდერთი, ვისაც ქართული მიწისთვის უბრძოლია, არის რუსეთი. გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ საქართველოს ომი აღარ ჰქონია, გავმრავლდით, გავძლიერდით და ქართველობა საამაყო იყო.

**— ვის ხედავთ საქართველოს მშველელად და გადამრჩენად? რომელი პოლიტიკოსი მოგწონთ?**

— დასაწყისში აღვნიშნე, რომ ერთი ძალა, როგორიც უნდა იყოს ის, ქვეყნის მშენებლობისთვის საკმარისი არ არის. ამის ნათელი მაგალითი კომუნისტური პარტიაა. უნიკალური პარტია იყო, საუკეთესო პროგრამითა და სტრუქტურით, მაგრამ დაინგრა, დაიშალა...

ვფიქრობ, **ალექსანდრე ჭაჭია** კარგი პოლიტიკოსია, პრაგმატული, ოქროს კოშკების აშენებას არ გვპირდება. **პატრიოტსა და ურაპატრიოტს შორის განსხვავებას ვხედავ, ამიტომ ვფიქრობ, ალექსანდრე ჭაჭია საუკეთესოა. სურვილი მაქვს, რომ ბატონი ალექსანდრე პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთოს.** წამიკითხავს ჭაჭიას შეფასებები ამა თუ იმ საკითხზე და ვთვლი, რომ სწორად აზროვნებს, ამბობს იმას, რაც დღეს ქვეყანას მართლაც სჭირდება.

**«პატრიოტსა და ურაპატრიოტს შორის განსხვავებას ვხედავ, ამიტომ ვფიქრობ, ალექსანდრე ჭაჭია საუკეთესოა. სურვილი მაქვს, რომ ბატონი ალექსანდრე პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთოს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## ბოლო 3 თვეში შვედეთში მიგრანტებმა 5 ათასზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს

**ბოლო 3 თვის განმავლობაში შვედეთში მიგრანტებთან დაკავშირებული 5 ათასზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული აღირიცხა. შვედური მედიის ინფორმაციით, ეს მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობაა, რეალურად კი დანაშაული აღრიცხულზე გაცილებით მეტია.**

გერმანიის მოქალაქეები კი თავდაცვის საშუალებებს იმარაგებენ. ზოგიერთი მათგანი თავდასხმასაც არ ერიდება. ერთი ასეთი ფაქტი რამდენიმე დღის წინათ მიგრანტების დროებითი დასახლების ცენტრთან მოხდა, როდესაც გერმანიის მოქალაქეთა ჯგუფმა ცენტრს ხელყუმბარა ესროლა.

გერმანიაში ანტიმიგრანტული განწყობა ყოველდღიურად იზრდება, რომელიც უკვე ანგელა მერკელის რეიტინგზეც აისახა. გერმანიის კანცლერის გადაყენებას მოქალაქეთა 40% მოითხოვს.



საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერმა უნდა გამოიღვიძოს, თორემ უკვე უფსკრულის პირას ვდგავართ, ერთი ნაბიჯიც და ქართველი ერი აღარ იარსებებს. ისედაც ვერ ვმრავლდებით და ასეთი არანორმალური ოჯახების მომრავლება კატასტროფის ტოლფასი იქნება. არ მინდა, არც ასეთი დემოკრატია, არც ასეთი კარგად ცხოვრება, თავი დაგვანებონ! ქალი ქალი უნდა იყოს, კაცი — კაცი. გაიძახიან, — ევროსტანდარტებიო, მაგრამ, ხალხს როცა უჭირს, მაშინ რატომ არ ახსენდებათ ევროსტანდარტები?**

# «ანტიმართლმადიდებლების მთავარი მიზანია, ერი დაიშალოს პატარ-პატარა ჯგუფებად და გახდეს იოლად სამართავი»

## ათეიზმის მორიგი ეპიდემია ახალგაზრდებში

**ქართველი ახალგაზრდები (და არა მხოლოდ) ურწმუნოების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ათეიზმი, რომელიც, უკვე საუკუნეებია, მკვიდრდება, დღეს განსაკუთრებული გააფთრებით ებრძვის ქრისტიანობას. ათეისტებს სჯერათ, რომ ადამიანი ღვთის ნებით არ არის მოვლენილი დედამიწაზე და თვლიან, რომ ქრისტიანობა ძალადობისკენ უბიძგებს ადამიანებს — ეს თვალსაზრისი მკვიდრდება ქართველ ახალგაზრდებში. არადა, „ტაბურეტკამომარჯვებული მღვდელი“ არ ნიშნავს, რომ ქრისტინობა ძალადობას ქადაგებს, ქრისტიანობა არ არის სკამების სროლა და არც ერთმანეთის ლანძღვა, მისი არსი სიყვარულშია. ჩვენ, მართმადიდებელი ქრისტიანები ვითხოვთ პატივისცემას ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობებისა, რომელთა შეცვლასაც ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდის ზეგავლენით ცდილობს დასავლეთის ფულს დახარბებული ზოგიერთი ათეისტი.**

— არსებობს ღმერთი? — ეს კითხვა უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს დაუსვა, — ღმერთმა შექმნა ყველაფერი?

— დიახ! — უპასუხეს სტუდენტებმა.

— თუკი ღმერთმა შექმნა ყველაფერი, მაშინ ბოროტებაც მან შექმნა, რადგან ბოროტება არსებობს, აქედან გამომდინარე, ღმერთიც ბოროტია.

სტუდენტები გაჩუმდნენ. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ადგა და ჰკითხა:

— პროფესორო, სიცივე არსებობს?

— ეს რა კითხვაა? ცხადია, არსებობს. განა არასდროს შეგციებია?

— არა, სერ. სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონების მიხედვით, ის, რასაც სიცივედ ვთვლით, სითბოს ნაკლებობაა. აბსოლუტური ნული კი სითბოს აბსოლუტური ნაკლებობაა. სიცივე არ არსებობს, ეს სიტყვა იმისთვის გამოვიგონეთ, რომ აღგვეწერა მდგომარეობა, რომელსაც სითბოს ნაკლებობა იწვევს. პროფესორო, არსებობს სიბნელე?

— ცხადია, კი.

— კიდევ ერთხელ ცდებით, სერ. სიბნელე სინათლის ნაკლებობაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე, მაგრამ არა — სიბნელე. თქვენ ვერ გაზომავთ სიბნელეს. სიბნელე ის ცნებაა, რომელიც სინათლის გარეშე ყოფნას აღნიშნავს. სერ, არსებობს ბოროტება?

— რა თქმა უნდა, ეს უკვე ვთქვი. ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ. დანაშაული და ძალადობაა გამეფებული მსოფლიოში.

**— ბოროტება არ არსებობს, სერ. ბოროტება — ეს არის ღმერთისგან დაშორება. ის სიბნელისა და სიცივის მსგავსია. ღმერთს არ შეუქმნია ბოროტება, ბოროტება მდგომარეობაა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი კარგავს ღვთის სიყვარულს.**

ამ სტუდენტის სახელი იყო **ალბერტ აინშტაინი.**

**რწმენის ნაკლებობა — ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რაც ხდება დღეს საქართველოში? ანტიმართლმადიდებლური და ანტიქართული პროპაგანდის გავლენით, საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა უარყოფს ქრისტიანობას და მას მოძალადის იარლიყს აწებებს... რამდენიმე დღის წინათ ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველმა, „სამოქალაქო მონიტორინგის ასოციაციის“ თავჯდომარემ გიორგი ტატიშვილმა (ტრანსგენდერი მაცაცო) საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მოითხოვს სასამართლომ ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც განმარტებულია, რომ „ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა“. მას მხარი აუბა მწერლმა ლაშა ბუღაძემ: თუ გვინდა, ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთ და სექსუალურ უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ ბავშვის აყვანის ისეთივე უფლებები, როგორიც ყველა დანარჩენსო. პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო ბრძოლა საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად, მაგრამ სად მიგვიყვანს დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის მოთხოვნებზე უსიტყვოდ თავის კანტური?**

**საინტერესოა, რას ფიქრობენ ახალგაზრდები თანატოლებში ათეიზმის მომძლავრებაზე...**



**ანი ქევანიშვილი,** თსუ-ს სტუდენტი, 18 წლის:

— თუ მე-19 საუკუნეში ილია მოგვიწოდებდა, რომ ჩვენთვის მთავარი ფასეულობებია: „ენა, მამული, სარწმუნოება“, დღეს, ეს სამი ცნება ნაკლებად აქტუალურია. **დღეს მოდურ ტენდენციად იქცა ათეისტობა, მაგრამ უამრავ ადამიანს, რომლებიც საკუთარ თავს ათეისტს უწოდებენ, საერთოდ არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.** ისინი, უბრალოდ, ექცევიან დასავლეთის მიერ წამოწყებული ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ, ამის შემდეგ საკუთარი სარწმუნოების დაცვა და პატივისცემა სათაკილოა. მყავს ათეისტი მეგობრები, რომლებთანაც რელიგიაზე არ ვსაუბრობ, ჩვენთვის ეს თემა ტაბუდადებულია, რადგან განსხვავებული თვალსაზრისი გვაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთმანეთის შეხედულებებს პატივს ვცემთ.



**ნუცა ჭელიძე,** საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი,19 წლის:

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვარ აღზრდილი და **არ მომწონს, როდესაც ჩემს თანატოლებს უაზრო პროპაგანდით გონებას ურევენ.** თუ არ გავუფრთხილდით იმ ღირებულებებს, რომლებისთვისაც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი და მომავალი თაობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ვხედავ, ბევრი მცდელობაა ათეიზმისკენ გადაბირების, თუმცა იმედი მაქვს, რომ ქართველი ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი გაუფრთხილდება ქრისტიანულ ფასეულობებს. როგორც ინგლისელი ფილოსოფოსი **ფრენსის ბეკონი** იტყოდა: „ათეიზმი არის თხელი ყინული, რომელზეც მხოლოდ ერთი ადამიანი გაივლის, დანარჩენი კი ჩაიძირება“.



**ვერიკო გოჯიაშვილი,** ფსიქოლოგი:

— დღეს ახალგაზრდებში ჩქარი ტემპით იკიდებს ფეხს ათეიზმი. „თეოს“ ბერძნული სიტყვაა და ღმერთს ნიშნავს. ათეიზმი კი ღმერთის უარყოფაა. ნებისმიერი რამის უარყოფა და მტკიცება, რომ ის არ არსებობს, გარკვეული დოზით აგრესიის შემცველია. გზავნილი — „ღმერთი არ არსებობს“ და მისი ქადაგება იგივეა, რაც „მე ღმერთი არ მინდა და შენც არ უნდა გინდოდეს“, რაც თავისთავად აგრესიაა. ეს არის სიყვარულისა და სათნოების უარყოფა, რაც საშიში ტენდენციაა.

**— რა არის ამის გამომწვევი მიზეზი და რა როლს ასრულებს ოჯახი ბავშვის რელიგიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში?**

— ბავშვის აღზრდაში ყველაზე დიდი როლი ოჯახს უკავია. მშობლები ბავშვის მაორიენტირებელი მთავარი ძალაა! რა დატვირთვას ატარებს ტერმინი „სწორი რეაგირება“? — მშობელი უნდა იყოს სიყვარულით, განათლებით, დამაჯერებლობით და სასურველი აზრის რბილად, არააგრესიულად მიწოდების უნარით შეიარაღებული. მაგრამ, თუ ღმერთის უარყოფა ოჯახის იდეოლოგიაა, ამ შემთხვევაში რთულად გვაქვს საქმე. აქ უკვე ფუნდამენტურ ათეისტურ აზროვნებას ვაწყდებით და ცვლილების ბერკეტები გაცილებით სუსტია. ხშირად მშობლები რელიგიურები არიან, რეგულარულად დადიან ეკლესიაში, ლოცულობენ და ყველა რიტუალს ზედმიწევნით ასრულებენ, ასეთ შემთხვევაში ბავშვიც რელიგიური და ეკლესიური გაიზრდება, მაგრამ ზოგჯერ საწინააღმდეგოს შედეგს ვაწყდებით. რა მოხდა? რამ გამოიწვია შვილების პროტესტი? პასუხი ასეთია: ზოგჯერ მშობლები აიძულებენ ბავშვს ეკლესიაში სიარულს, არ მიუტევებენ პატარა გადაცდომას — დილის ან საღამოს ლოცვის გამოტოვებას, აიძულებენ აღსარების ჩაბარებას და ამით ბავშვში წინააღმდეგობის სურვილს აღვივებენ. ამიტომაა მნიშვნელოვანი მშობლის სწორი მიდგომა და რეაგირება.

**— როგორ უნდა ავაცილოთ საფრთხე ქრისტიან ახალგაზრდას,ათეიზმმა რომ არ შეარყიოს მისი ფასეულობები?**

— ადამიანის ტვინში რელიგიის უბნები არსებობს. განურჩევლად ეროვნებისა, ყველა ადამიანს აქვს მოთხოვნა რწმენისა. თუ მას არ სწამს, ეს უბნები ტვინში თავისუფალია და მათ აუცილებლად დაიკავებს სხვა რამ — რწმენის მაგვარი. ხომ გსმენიათ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. ისე როგორც ვაკუუმი მაშინვე შეივსება, როგორც კი პატარა სარკმელს შევაღებთ, რწმენასმოკლებული ტვინიც იწყებს კვებას, თუნდაც ანტირწმენით, ანუ ათეიზმით. **ახალგაზრდებს არწმუნებენ მართლმადიდებლობისა და მისი მქადაგებლების აგრესიულობაში, უსარგებლობაში, ძველმოდურობასა და სამარცხვინოობაში.** ვფიქრობ, აქ არის ბრძოლა გასაჩაღებელი, ტელევიზიები უნდა მიიმართოს ახალგაზრდობის განათლების, სწორი მიმართულებების ჩამოყალიბებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის გაღვივებისკენ.



**რას ფიქრობს ეკლესია ამ საკითხზე? — გვესაუბრება კოზმა და დამიანეს სახელობის ტაძრის დეკანოზი ლევანი:**

— საიდანაც მოდის ათეიზმის ფესვები, რთული გასაგები არ არის. ვისაც საქართველო, ოჯახი, ქართული ტრადიციები უყვარს, ნაკლებადაა მოსალოდნელი ქრისტიანობის უარყოფა. **ანტიმართლმადიდებლობა, ათეიზმი ისეთი ადამიანებისგან მოდის, რომლებსაც სურთ, ახალი ქართველი შექმნან, ანუ ადვილად სამართავი ადამიანი — ურწმუნო, უღმერთო.** ქრისტიანობა მოითხოვს ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულს, საკუთარი მეს უკანა პლანზე გადაწევას და მოყვასისა და საერთო საქმის წინა პლანზე წამოწევას. რომაელებს ჰქონდათ ასეთი გამოთქმა — „დაყავი და იბატონე“. როდესაც ერი ეკლესიის გარშემოა შეკრული, ძნელია, მას რაიმე დაუშავო. **ანტიმართლმადიდებლების მთავარი მიზანია, საერთო აზრი გაქრეს, ერი დაიშალოს პატარ-პატარა ჯგუფებად და გახდეს იოლად სამართავი. ამ ქმედების მსხვერპლი ხდება ახალგაზრდობა, რომელსაც რწმენის გარეშე უზომოდ გაუჭირდება.** უგუნურებაა, პატარა ბავშვს ქუჩაზე გადასვლა ავუკრძალოთ, რათა მანქანამ არ გაიტანოს და მან ჩხუბი დაიწყოს, თითქოს მის უფლებებს ვარღვევთ — აი, დაახლოებით ამ დონემდე დაჰყავთ ყველაფერი. **„მინდა“-ს გამოა, ხალხი ყველაფერს რომ კადრულობს, პირველ რიგში, ჩვენი პოლიტიკოსები, ამიტომაა ფესვგადგმული კორუფცია. ამის მიზეზი სწორედ ისაა, რომ მათ თავიანთი „მინდა“ ვერ მოთოკეს. პირველი, რასაც ეკლესია ებრძვის, სწორედ ეგოიზმია.**

**— რამდენიმე დღის წინათ ტრანსგენდერმა პიროვნებამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სამოქალაქო კოდექსიდან ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, ამოღების შესახებ და, როგორც ჩანს, ეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისკენ გადადგმული ნაბიჯია. რა რისკის წინაშე დგას ქართველი ახალგაზრდობა, თუ ნებადართული გახდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება?**

— ეს ყველაფერი ურწმუნოების შედეგია. ეს არის ინფანტილიზმი. **რომ ვთქვათ, ხელისფულება არაფერ შუაშიაო, აბა, ვინ არის შუაში?** ერმა უნდა გამოიღვიძოს, თორემ უკვე უფსკრულის პირას ვდგავართ, ერთი ნაბიჯიც და ქართველი ერი აღარ იარსებებს. ისედაც ვერ ვმრავლდებით და ასეთი არანორმალური ოჯახების მომრავლება კატასტროფის ტოლფასი იქნება. არ მინდა, არც ასეთი დემოკრატია, არც ასეთი კარგად ცხოვრება, თავი დაგვანებონ! ქალი ქალი უნდა იყოს, კაცი — კაცი. გაიძახიან, — ევროსტანდარტებიო, მაგრამ ხალხს როცა უჭირს, მაშინ რატომ არ ახსენდებათ ევროსტანდარტები? ქართველი ერისთვის მამათმავლობა დამახასიათებელი არასდროს ყოფილა.

**— ხომ არ არის ეს დაკვეთა უცხოეთიდან?**

— ეს ყველაფერი, დაკვეთის კი არა, ხელების გადაგრეხვის ფორმას იღებს. დასავლური ღირებულებების გაუფასურებაც მოხდა. **ანტიმართლმადიდებლების მიზანია, გაამრავლონ მათთვის ლოიალური ხალხი, რომელსაც დაეყრდნობიან, დანიშნავენ თანამდებობებზე და მიაღებინებენ ერის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.**

მოამზადა **ქრისტინე ტოგონიძემ**

**„ჭიათურის მნიშვნელობა კარგად რომ გვქონოდა გათვითცნობიერებული, 300 ათას ტონაზე არ გავჩერდებოდით, იმუშავებდა უფრო მეტის მოსაპოვებლად; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა დაამზადებდა უფრო მეტ პროდუქციას და მსოფლიო ბაზარზე დავიმკვიდრებდით ჩვენს ადგილს“.**

გუშინ, დღეს, ხვალ...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დავით იაკობიძე:

# სააკაშვილი სულ იმას გაიძახოდა, აი, ჩვენ რომ ნავთობი გვქონდეს, ნავთობი რომ გვქონდესო... კი, მაგრამ, მანგანუმი რომ გაქვს?!

**რუბრიკის სტუმარია საქართველოს ლეგენდარული ფინანსთა მინისტრი, ცნობილი ეკონომისტი, პროფესორი დავით იაკობიძე.**

**— ნაახალწლევს დავოსში გამართულმა ყოველწლიურმა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა ხაზგასმით გამოკვეთა, რომ მსოფლიო მეოთხე სამრეწველო რევოლუციის პერიოდში შედის. რას ნიშნავს ეს, ბატონო დავით, საერთოდ და, კერძოდ, ჩვენი ქვეყნისთვის? როგორ ვეწერებით ამ რევოლუციაში?**

— დავოსის ფორუმზე განხილული საკითხების ნუსხა მდიდარი და მრავალფეროვანია, მაგრამ მთავარი მაინც „მეოთხე სამრეწველო რევოლუცია“ იყო, რომლის მამოძრავებელ ძალად წარმოგვიდგება ხელოვნური ინტელექტის, რობოტოტექნიკის, ავტონომიური სატრანსპორტო საშუალებების, ნანოტექნოლოგიურ და თანამედროვე მეცნიერების სხვა სფეროებში მოპოვებული მიღწევები. დიდი ციკლების თეორიის მიხედვით, 2018 წლიდან დაიწყება აღმასვლა ეკონომიკაში. დავოსის წლევანდელმა ფორუმმა სწორედ ეს განაცხადა. 2016 და 2017 წლები იქნება გადასვლისთვის მზადების პერიოდი. გაძლიერდება და განვითარებული გახდება ის ეკონომიკები და ის ბაზრები, რომლებიც მოემზადება ამ სიახლეების დასანერგად.

საქართველოს როგორც ახლა არ აქვს რესურსი, ისევე არ ექნება მომავალში. მაშ, რაზე ვლაპარაკობთ?! პირდაპირ გეტყვით: თუ არ შემიძლია ამ რესურსის დანახვა, არც მექნება. **სააკაშვილი სულ იმას გაიძახოდა, აი, ჩვენ რომ ნავთობი გვქონდეს, ნავთობი რომ გვქონდესო... კი, მაგრამ, მანგანუმი რომ გაქვს — „შავი ქვა“, რომელიც რკინის მადნების შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზე დგას მეტალურგიასა და სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში?!**

მანგანუმს 6 მილიონი ტონის ოდენობით აწარმოებს ჩინეთი, ავსტრალია — 4 მილიონ ტონას, ამდენივეს — სამხრეთ აფრიკა, 2 მილიონ ტონამდე ავიდა გაბონი, 3 მილიონ ტონას აწარმოებს ბრაზილია. ყაზახეთი, რომელიც საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ აწარმოებდა, რადგან შედარებით უხარისხო მადანი ჰქონდა და ძვირიც, ამჟამად 2 მილიონ ტონაზე გავიდა, უკრაინა ერთ მილიონ ტონას აწარმოებს. და ჩვენ, ვინც 800 ათას ტონაზე მეტს ვაწარმოებდით, 300 ათას ტონამდე ჩამოვედით. თანაც, ეს მაჩვენებელი, მგონი, მაინცდამაინც ზუსტი არ არის.

რა ხდება? რატომ ვერ ხედავდა და ვერ ხედავს ამ რესურსს დამოუკიდებელი საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება? კი, ამოქმედდება გლობალური მსოფლიო სისტემა, მაგრამ როგორ იცხოვრებს შენი პენსიონერი, როგორ იმკურნალებს შენი ავადმყოფი, როგორ განათლებას მიიღებს შენი ახალი თაობა, რომელ ენაზე და ა.შ. ამ ყველაფერს კოსმოსიდან ვერავინ გადაგიწყვეტს.

ხომ ასეა? მაშ, ამას უნდა მივხედოთ მეოთხე სამრეწველო რევოლუციის გარდამავალ პერიოდში.

**— ჩვენი რუბრიკის ერთი პერიოდი — „დღეს“ — ჩავთვალოთ, რომ გავიარეთ. მინდა გთხოვოთ მეორეზე გადასვლა (რომელიც რიგით პირველია) — „გუშინ“. და რადგან მანგანუმით დავიწყეთ, ეგებ, ამავე კონკრეტიკით გავნაგრძოთ საუბარი — მანგანუმი, ჭიათურა...**

— გუშინ ამაზე მეტი რომ გვეფიქრა, მანგანუმის წარმოება მაღალ დონეზე გვექნებოდა. საქართველოში იყო მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვამზადებდით ამ დარგის მრავალმხრივ სპეციალისტებს და ა.შ., მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიყავით კონცენტრირებული იმაზე, როგორ უნდა ვამუშაოთ ჭიათურა ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში.

**ჭიათურის მნიშვნელობა კარგად რომ გვქონოდა გათვითცნობიერებული, 300 ათას ტონაზე არ გავჩერდებოდით, იმუშავებდა უფრო მეტის მოსაპოვებლად; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა დაამზადებდა უფრო მეტ პროდუქციას და მსოფლიო ბაზარზე დავიმკვიდრებდით ჩვენს ადგილს.**

ისიც უნდა ვთქვათ, რომ გარდამავალ პერიოდში, როცა ახალგაზრდა ბიზნესმენი **დავით შალიკაშვილი** მართავდა ზესტაფონის „ფეროს“, უამრავი წინააღმდეგობა შეიქნა გადასალახი: ვერ თანხმდებოდნენ მანგანუმის ფასზე, საქმეს აბრკოლებდა არაჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რომელიც კორუფციული ელემენტებით იყო უხვად გაჯერებული და ა.შ. დავით შალიკაშვილს ებრძოდნენ ყოვლად დაუშვებელი მეთოდებით და კიდეც შეიწირეს. ნათელში იყოს მისი სული.

მაგრამ შემდეგ ვისია ჭიათურა, იცით? ვისია „ფერო“?

**— არა, არ ვიცი.**

— მეც მანდა ვარ. ჟურნალისტურ გამოძიებებს რომ ვისმენ, ვრწმუნდები, რომ თქვენი კოლეგები ერთ დახშულ წრეში ტრიალებენ, რაღაც წვრილმან თემებზე ხარჯავენ ძვირფას დროს და მიდის ერთი და იმავეს ღეჭვა. წადი რა, შე მამაცხონებულო, ასეთ პრობლემურ თემებში ჩაიხედე, შენს ქვეყანას უკეთესად შეისწავლი და შენც გაიზრდები, თვალსაწიერს გაიფართოვებ! ამას წინათ **გაგა რაზმაძის** ფილმი აჩვენეს და ითქვა, რომ პირველად აღმოაჩინეს ჭიათურის კინემატოგრაფიული სახე(!). პირველად?! როცა **ნიკოლოზ სანიშვილმა** გადაიღო ფილმი ჭიათურაზე ჯერ კიდევ როდის! შენ კი შენი ქვეყნის ამ სიმდიდრიდან თვითიზოლირებული ხარ! ამ შემთხვევაში ჩემი საყვედური ეკუთვნის მხატვრებსაც, კომპოზიტორებსაც, მწერლებსაც, დრამატურგებსაც, რომლებიც აცხადებენ, რომ ერის ელიტურ ნაწილს წარმოადგენენ. **პოეტი იყო აკაკი წერეთელი, დრამატურგი — შალვა დადიანი. აბა, ნახეთ, რას აკეთებდნენ ჭიათურისთვის და რა თავდადებულები იყვნენ. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ჭიათურამ გააგზავნა სასწავლებლად კონსტანტინე გამსახურდია, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ბიძინა რამიშვილი... ამ ინდუსტრიულმა აკვანმა შექმნა ხელოვანთა ეს ბრწყინვალე თაობა.**

როცა ჩვენს თანამედროვე ამათ კოლეგებს მოვუწოდებდით, მოდით, ერთად ვიმუშაოთ ჭიათურის პრობლემების გადასაწყვეტად, იცით, როგორ ეკიდებოდნენ ჩვენს შეთავაზებებს? ტვინი წაიღეს ამათ თავიანთი ყიყინითო...

**სტალინს, რომელსაც უზარმაზარი რუსეთი ჰყავდა ფეხზე წამოსაყენებელი, ხელი ვეღარ მიუწვდა ჭიათურაზე და ისღა დარჩენოდა, რომ 1925 წლის 12 ივნისს მანგანუმის საბადოს კონცესია გადაეცა ამერიკულ ფირმა „ჰარიმანისთვის“, ყველაზე მოწინავე მეტალურგიული სისტემისთვის. 1900-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში ამოღებული მადნის „ქართული წილი“ 54,4 პროცენტი იყო, 1925 წლისთვის 18,8 პროცენტამდე დაეცა. დღევანდელ ვითარებაზე ზემოთ მოგახსენეთ.**

**ჰარიმანმა რა ჰქმნა?**

**საქმე ისეააწყო, რომ ეს დარგი მომგებიანი გახადა.** შემოსა ხალხი, აქტიურად განაგრძო საბაგირო გზების გაყვანა, ბილიარდი ჩამოიტანა ჭიათურაში, ჩოგბურთის თამაში დაიწყეს აქაურებმა *(ღლიმება)*, ანუ კაპიტალიზმის სისტემური ელემენტი შემოიტანა ჭიათურაში გაგანია ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, „სტალინური დესპოტიზმის“ პირობებში.

ჭიათურაში დაფრთიანებული სპეციალისტების ერთი ნაწილი, რომელიც აქ ვერ გამოვიყენეთ, ახლა საზღვარგარეთ განაგრძობს მუშაობას. მაგალითად დაგისახელებთ გაბონის რესპუბლიკას, ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და სტაბილურ ქვეყანას, რომელიც გამორჩეულია მანგანუმისა და ოქროს საბადოებით.

ისევ იმ შეკითხვას ვუბრუნდები: **ვისია დღეს ჭიათურა? არავითარი გამართლება არ აქვს ჩვენი მთავრობის პოზიციას, რომელიც იხსნის პასუხისმგებლობას და ამას ამართლებს კერძო საკუთრებაში ჩაურევლობის პრინციპით.**

მთავრობა რომ ხარ, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას გაითვალისწინე თუნდაც დასაქმების პრობლემა. ახლა, მაგალითად, 3500 კაცი დარჩა დაუსაქმებელი. შენ რას გააკეთებ? ახალ საწარმოოს გაუხსნი?

**ისეთ რა ეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებ, რომ ამხელა საწარმოს, რომელიც ყოველწლიურად 300 ათას ტონა ნედლ მანგანუმს იძლევა (უფრო მეტის მოპოვება შეუძლია), გაჩერება არ გეხებათ?! როცა კრედიტების, პროცენტების გაზრდა-შემცირების საკითხებს განიხილავენ, მთავრობაში იბარებენ ბანკების პრეზიდენტებს და საზოგადოებრიობა ხედავს, ვინ არიან ეს ადამიანები. აქ რატომ არ ჩანან ხელმძღვანელები? მეორე და მესამე კი არა, მეათე რიგის პირებთან საუბრით რატომ იფარგლება მთავრობა?!**

ამას მარტო ჭიათურაზე კი არ ვამბობ, მადნეულის კომბინატსაც ვგულისხმობ, სხვა საწარმოებსაც, მაგალითად, ცემენტის ქარხნებს, რომელთა ფაქტობრივი პატრონები არიან ვიღაც-ვიღაცები საქართველოდან, აღჭურვილნი დეპუტატის ან რომელიმე სხვა ქვეყნის საპატიო კონსულის სტატუსით, ან, სულაც, — „ჩვენ უჩინონი“ გახლავან! ჩემთვის გაუგებარია, ჭიათურას ასე რომ ჰკრავენ ხელს ქვეყნის მთავრობის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელები.

ჩემს ეჭვს გაგიზიარებთ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში უკრაინა, როგორც გითხარით, აწარმოებს მილიონ ტონა მანგანუმს, ჭიათურა, როგორც ვთქვით, — 300 ათას ტონას. **ნიკოპოლში წარმოებული მანგანუმის შენაერთს ძირითადად გამოიყენებენ მარიუპოლის, კრივოი როგისა და სხვა ქალაქების საწარმოებში. მარიუპოლში ამჟამად საომარი სიტუაციაა, წარმოება ჩავარდნილია, ე.ი. ზესტაფონის ნამზადი ჭარბია, ზედმეტია, აბა, უკრაინაში ხომ არ გააჩერებენ საწარმოო პროცესს?!**

ე.ი. ვიღაც მაინც იღებს გადაწყვეტილებებს ამ რთულ სიტუაციაში.

ვინ? — იკითხავ და გეტყვიან, მაგალითად, რომ ეს ვიღაც მოღვაწეობს ამერიკაში, მაფიოზია. შეგაშინებენ. შიშს თესავენ, ოღონდ ხმა ჩაგაკმენდინონ.

ამას თუ ხედავ შენ, მინისტრი რომ გქვია, არ ჩახვიდე იქ, ჭიათურაში, და თუნდაც სამიოთხი დღე არ „დაკარგო“ იქაური ვითარების შესასწავლად, ე.ი. საკუთარი ფუნქციები მაინცდამაინც კარგად არ გცოდნია.

მინისტრების გუნდზე ვლაპარაკობ, რომლებსაც პირდაპირ ევალება ამ პრობლემების მოგვარება — ეკონომიკის მინისტრ **ქუმსიშვილზე**, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ნოდარ ჯავახიშვილზე, ფინანსთა მინისტრ **ნოდარ ხადურზე**, სოფლის მეურნეობის მინისტრ **ოთარ დანელიაზე** და, რაც მთავარია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ **გიგლა აგულაშვილზე.** აი, მათ სჭირდება თავმოყრა, ფუნქციების შეჯერება.

ერთიც.

ვიცი, რომ შეუძლებელია, მთავრობაში არ იყო და მთავრობას მართავდე, მაგრამ ურჩევდე, წინადადებებს სთავაზობდე, ამას წინ არაფერი უდგას.

იცით, ვისაც ვგულისხმობ. **არ მოვერიდები და პირდაპირ ვიტყვი: ბიძინა ივანიშვილის მამას ცხრა პირი ტყავი აქვს ზურგზე გადამძვრალი მაღაროში მუშაობით, მაღაროში ნაშრომი კაპიკებით გაზარდა შვილები, დავიჯერო, ბიძინა ივანიშვილს ამ ჭიათურის არავითარი სიყვარული არ აქვს?! არ უფიქრია, მამამისი, ბავშვობაში იმ ყველსა და მჭადს რომ აჭმევდა, სად შოულობდა, რა შრომის ფასად?** თან, სად ცხოვრობდა და ფეხით დადიოდა რვა კილომეტრს მაინც ყოველდღიურად, ცვლებში მუშაობდა. ყველა, ვინც ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა, გმირია, ვაჟკაცი ხალხი!

გვერდით გადგე და შორიდან უყურო, რა ხდება იქ?! არ მესმის, ვერ ვიგებ!

**— ჭიათურის კონკრეტიკაზე რომ გადავიდეთ?**

— თუ იმ მოცულობის მანგანუმს ვაწარმოებთ, რამდენსაც ამჟამად (ოდენობის გაზრდას თავი დავანებოთ), ამ პროდუქციას ოფშორების გარეშე თუ გავყიდით, დასაქმების, ბაზრის განვითარების დონე გაცილებით მაღალი გვექნება, ექსპორტ-იმპორტის სალდო გაგვიუმჯობესდება, რაც, საბოლოო ჯამში, სასიკეთოდ აისახება ბიუჯეტზე და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

**«ბიძინა ივანიშვილის მამას ცხრა პირი ტყავი აქვს ზურგზე გადამძვრალი მაღაროში მუშაობით, მაღაროში ნაშრომი კაპიკებით გაზარდა შვილები და დავიჯერო, ივანიშვილს ამ ჭიათურის არავითარი სიყვარული არ აქვს?!»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მხოლოდ ასე და ამ გზით, ბატონმა დავითმა რომ ბრძანა, თორემ ჭიათურა, სადაც ჯერ კიდევ გზაც არის და კვალიც, რკინიგზაც მივიდა და ქალაქიც გაშენდა, შეიძლება, აკაკი წერეთლის ნათქვამის არ იყოს, კვლავ უდაბნოდ იქცეს.**

**ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს ლამის ყველა ქართველი, რომელიც უცხოეთიდან მეკონტაქტება, მწერს ერთსა და იმავე ტექსტს: „აქ ქართველებს, სადაც დავინახავ, ვემალები! ისეთ ნაგავი და ნაძირალა ხალხია ეს ქართველები“. აი, კიდევ ერთი, უკვე „ყოვლისმომცველი“ კლიშე, რომელიც ერთიანად გვაძულებს ყველა ქართველს — მამაკაცსაც და ქალსაც! მინდა, ვიკითხო: სადაა ლოგიკა? სათითაოდ, ცალ-ცალკე ყველანი ეგეთი „კარგები“ ხართ და „სხვა ცუდ“ ქართველებს ემალებით?**

# სად იზრდებით?

## ანუ «ღამურას» მენტალიტეტი «ილიაჭავჭავაძიზმის» ნიღბით

**სწორედ ეს შეკითხვა მინდა დავუსვა იმ ადამიანებს, რომლებიც ძალიან აყოლილნი არიან ბოლო პერიოდში საშიშად გავრცელებულ „მოდას“ — ყოველთვის და ყველგან ლანძღონ, აგინონ, გაათახსირონ და მსოფლიოში ყველაზე საზიზღარ არსებებად დახატონ ქართველები. თუმცა, საკუთარი ერის ლანძღვის „ხელოვნება“ უკვე იმ დონეზეა დახვეწილი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენაში, რომ მას თავისი „ქვემამიმართულებებიც“ კი აქვს.**

ყველაზე დიდი „დინება“ არის, საზოგადოდ, ქართველების, ქართველი ერის, ყოველივე ქართულის ლანძღვა. ამაზე ცოტა მოიგვიანებით შევჩერდეთ.

მოდი, ჯერ დავიწყოთ ყველაზე უფრო აქტიური მიმართულებით, როგორიცაა საოცარი და საშინელი **გათახსირება, გაბანძება, გალანძღვა და გათათხვა ქართველი მამაკაცებისა.** დიახ! აი, ასე გამოკვეთლად და ცალკე — ქართველი მამაკაცებისა.

ჩემი დაკვირვებით, **ეს სენი, ძირითადად, 20-25 წლის დაკომპლექსებულ, უმეტესად უმამოდ გაზრდილ გოგონებს სჭირთ, რომლებზეც ძალიან იოლად ახდენენ გავლენას ე.წ. პრადვინუტი ლიბერალები და მათ გარკვეულ სტერეოტიპულ „კლიშეებს“ უნერგავენ თავში.**

ამგვარად ვიღებთ „სტერეოტიპის მნგრეველთა“ სტეროტიპს, ანუ ისეთ ადამიანებს, რომლებიც „სტერეოტიპის ნგრევის“ ურყევი რწმენით სწორედაც რომ აყალიბებს ახალ, გაცილებით საშიშ და უსაფუძვლო სტერეოტიპს.

მაგალითისთვის გამოდგება ერთ-ერთი, „ჟურნალისტად“ წოდებული გოგონას მიერ დაწერილი და სოციალურ ქსელებში ატაცებული ბლოგ-ტექსტი სახელწოდებით **„გთხოვთ, წამართვათ ქართველობა!“.**

დავიწყოთ იმით, რომ ხსენებულ ტექსტს, საზოგადად, ჟურნალისტიკასთან ძალიან ნაკლები შეხება აქვს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სავსეა „ჟურნალისტის“ ფანტაზიით. კერძოდ, მონათხრობით იმაზე, როგორ დასაჯა ქართველმა მამამ თავისი 15 წლის ქალიშვილი მხოლოდ იმის გამო, რომ მან ქორწინებამდე დაკარგა ქალწულობა.

**აქ მოთხრობილია „სხეულზე სიგარეტების მიწვის“, „ყურის ახევის“, „გლანდების ამოგლეჯისა“ და ისეთი წარმოუდგენელი რაღაცების შესახებ, რომ, წესით, როდესაც ჟურნალისტი მსგავს კრიმინალურ სადისტობაზე წერს, მოვალეა, შესაბამისი მტკიცებულებებიც გამოაქვეყნოს, რადგან ეს „პოლიტიკურ კულუარებში მიმდინარე ჭორაობა“ კი არა, მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულია.**

თუმცა, დღეს ხომ გასავალი აქვს ფრაზას: „წყაროს არ დავასახელებ“ და მოდი, თუნდაც დავუჯეროთ ხსენებულ ავტორს, რომ ეს ამბავი მართლაც მოხდა.

მაინტერესებს, **საიდან ასკვნის ეს „ქართველობაზე გამწყრალი“ პატივცემული „ჟურნალისტკა“, რომ მამა, რომელიც შვილს ასეთი სასტიკი მეთოდებით სჯიდა, ნადვილად არის „მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი“, „იცავს მარხვას“, „სუფრაზე ფეხზე ადგომით სვამს მანდილოსნების სადღეგრძელოს“, „სამშობლოს ხსენებისას გულზე მჯიღს იბრახუნებს“? საიდან აქვს სხვა ისეთი დაწვრილებითი ცნობები მისი ცხოვრების შესახებ, რომ გეგონება, ერთი წელიწადი მაინც ყოველდღიურად უთვალთვალებდა და გამოწვლილვით შეისწავლა მისი ცხოვრების წესი?!**

ამ ბლოგ-ტექსტის შესახებ, მინდა, გაგაცნოთ ამონარიდი მართლა ჟურნალისტის — **გია იაკობაშვილის** გამოხმაურებიდან. იაკობაშვილი, პირდაპირ ვიტყვი, ეკაიფება, დასცინის, სპობს, ათახსირებს „ჟურნალისტკას“ გროტესკული სარკაზმით: **„აი, 15 წლის გოგოს ამბავს რომ ყვება ეს ავტორი, ეგ მართალია! მე თვითონ შევესწარი. მამამისმა მაგ გოგოს ყური მოაჭრა და თან ყვიროდა, რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართო! მერე წიხლებით შედგა და იმუქრებოდა, მარხვა რომ მორჩება, ჩემი ხელით მოგკლავო. ეს კაცი, ანუ მამამისი არის სტიქაროსანი და ჩოხოსანი. ზეპირად იცის ვაჟაფშაველა და ავთანდილის ანდერძი „ვეფხისტყაოსნიდან“. მოკლედ, საზიზღარი ქართველია და, რაც ყველაზე საშინელია, ვერ იტანს ნაცებს.**



**ჰო, დამავიწყდა, ყური რომ მოაჭრა, მერე ცალი ძუძუც მოაჭრა და საშვილოსნოს ამოჭრით დაემუქრა, თუ გაბედავ და პუტინზე, სტალინზე და ტოტლებენზე ცუდს იტყვიო! შემდეგ ყველაწმინდას სადღეგრძელო დალია, ცოლი ცემა, სიდედრი გააუპატიურა, სიმამრს დააკუკა, დაჯდა თავის კარგად შეკრულ ნოლშესტში, კიდევ ერთხელ დაიმუქრა, მარხვა რომ მორჩება და ვეზიარები, ყველას ამოგხოცავთო, დაქოქა მანქანა და წავიდა ღორის ქელეხში თავის ძმასთან, რომელსაც წინა დღით უკვე მოეკლა ცოლი. თვითონ მარხვაზე არ იყო და ცოლის მოკვლაზე კურთხევა ჰქონდა. აი, ღორის ქელეხის მერე გადაიხადა თუ არა ცოლის ქელეხი, ეგ მე ნამდვილად არ ვიცი, ავტორს ეცოდინება“.**

დიახ, აი, ასეთმა „ავტორებმა“ ყველაფერი იციან(?!).

იციან ისიც, რომ, თუკი სადმე ვინმე ერთი, ორი, თუნდაც ათი მანიაკი, დამნაშავე, კრიმინალი, უტვინო და უგვანო გამოერია, აუცილებლად უნდა განაზოგადონ, უწოდონ მას „ქართველობა“ და შემდეგ „ძალიან ევროპული ხმით“ შეიცხადონ: **„წამართვით ქართველობა, აღარ მინდა!“.**

აი, სწორედ ამიტომ დავსვი სათაურში კითხვა: სად იზრდებით?

**სად შეხვდით, სად გადაეყარეთ, სად ნახეთ ამდენი მანიაკი ქართველი მამაკაცი?! ვინ იყო ასეთი თქვენ გარშემო — მამა? ბიძები? ძმა? ბიძაშვილები?..**

ჩემ გარშემო ათასი ჩემი ახლობელი და ნაცნობი ქართველი მამაკაცი რომ გავიხსენო, „ცოლის მცემელი“ და „შვილისთვის სხეულზე სიგარეტების მიმწველი“ ერთიც შეიძლება გაჭირვებით აღმოვაჩინო.

და **თქვენ სად იზრდებით?** უკვე მესამედ გიმეორებთ ამ კითხვას. მართლა სად იზრდებით? რა წრეში ტრიალებთ?

**თუკი ეს ყველაფერი თქვენი ფანტაზიის ნაყოფი არ არის და თქვენ გარშემო მართლა მასობრივად არიან ასეთი ქართველი მამაკაცები, ჯერ პოლიციას მიმართეთ და მერე ეცადეთ, წრე, გარემო და ოჯახი შეიცვალოთ.**

რა იცით თქვენ, რომ ასეთი მანიაკები მაინცდამაინც „მართლმადიდებლები“ არიან, „მარხვას იცავენ“, „ვაჟას ლექსებს კითხულობენ და გულზე მჯიღს იბრაგუნებენ“ და, რაც ყველაზე კომიკურია, საერთოდ, რა შუაშია აქ „რუსეთუმეობა“, „სტალინი“, „პუტინი“ და ივანე მრისხანე?!

რა თქმა უნდა, **მთელი ეს „ბალაგანი“ არის მხოლოდ და მხოლოდ იმ მახინჯი პროპაგანდის შედეგი, რომელმაც უკვე ასე ძალუმად მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში — „ქართველები ვართ ბნელები, ჩამორჩენილები, საშინლები, საზიზღრები და ევროპამ უნდა გამოგვასწოროს!“.**

ყველაზე პარადოქსული კი არის ის, რომ ეს „ქართველებისგან განსხვავებული ქართველი თეთრი ყვავები“ თავისი ამ ბინძური და მახინჯი პროპაგანდის „საფუძვლად“ ქართველი ერის მართლაც საამაყო წინაპარს ასახელებენ — ილია ჭავჭავაძეს!

**ილია ჭავჭავაძის სახელით სპეკულირება ყველაზე მოდური გახდა.**

**გამოხტება ვინმე, გალანძღავს, გათათხავს მიწასთან გაასწორებს ქართველ ერს, ქართველ ხალხს, ყოველივე ქართულს გაათახსირებს და, თუ რამეს ეტყვი, პასუხი მზად აქვს: „ქართველებს ილია ჭავჭავაძეც ლანძღავდა და აკრიტიკებდაო“.**

მოკლედ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლამის ნახევარი საქართველო „გამოილიაჭავჭავაძევდა“, მაგრამ აზრს კი ვერ ატანენ იმას, რომ ილია სწორედ ქართველების რეალურ ნაკლზე მიუთითებდა, ისიც გარკვეულ ფენებში, წრეებში და არასოდეს ლანძღავდა სრულიად ხალხს, მით უფრო — საზოგადოების რიგით წევრებს.

ერთმა ოპონენტმა დაწერა: როდესაც ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანი?!“ გამოაქვეყნა, სწორედ ისე გადაუარა მას ქართველმა თავადაზნაურობამ, როგორც ახლა ამ ბლოგის ავტორს ლანძღავენ მავანნიო...

**არადა, სწორედ თავისივე სიტყვებში იბლანდება ამ „არგუმენტის“ ავტორი. სწორედაც თავადაზნაურობამ გადაუარა ილიას, რადგან იგი ზუსტად მაშინდელ ქართულ „ელიტას“ — თავადაზნაურობას ურტყამდა და მათ მანკიერებებს ამხელდა, და არა ქართველ ხალხს.**

დღეს კი პირიქით ხდება — **ე.წ. ელიტა გაფუფუნებულა, გამძღარა, გამომსკდარა და უბრალო ფენას ქართული საზოგადოებისა „ბნელს“, „ჩამორჩენილს“, „მუტრუკს“, „ღრუზინს“ უწოდებს.**

დიახ, ასეა! ჯერ ერთი, ილია „ბედნიერ ერშიც“ სწორედ ერის „არჩევანის“ განმსაზღვრელ მაშინდელ „ელიტას“, თავადაზნაურობას, გულისხმობს და ამათრახებს (და არა საზოგადოების „დაბალ“ ფენებს); და მეორეც — იქნებ, **როდესაც ილიაზე იწყებს ლაპარაკს მავანი, მისი „ოთარაანთ ქვრივიც“ გაიხსენოს, სადაც უბრალო გლეხობასთან „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული; „მგზავრის წერილებსაც“ გადახედოს, სადაც ვიღაც ვიგინდარა რუსი ოფიცერი სწორედ ისევე ცდილობს ქართველების „ველურებად“ გამოყვანას, როგორც ახლა ეს „ევროპიელი“ ვაიქართველები.**

გაიხსენონ, როგორ აღაშფოთებს უცხოელის ასეთი თავხედობა მგზავრს, ანუ ილიას, და როგორ იცავს საკუთარი ერის, ხალხის, სამშობლოს იმიჯს.

სიტყვამ მოიტანა და, **ამ „ევროპიელმა“ ვაიქართველებმა იქნებ, ილიას წამდაუწუმ ხსენების გარდა, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და აკაკი წერეთლის „ღამურაც“ გადაიკითხონ.**

ვინძლო მაშინ ნამდვილად გაიაზრონ და მიხვდნენ, რა არის სინამდვილეში „ქართველობა“ და რას გულისხმობდა ამაში ილია ჭავჭავაძე, რადგან „ქართველობის წართმევა“ მისი შემოტანილი ტერმინია, იმავე „მგზავრის წერილებში“ მოხევის პირით ნათქვამი.

დღეს კი?

**დღეს ლამის ყველა ქართველი, რომელიც უცხოეთიდან მეკონტაქტება, მწერს ერთსა და იმავე ტექსტს: „აქ ქართველებს, სადაც დავინახავ, ვემალები! ისეთი ნაგავი და ნაძირალა ხალხია ეს ქართველები“. აი, კიდევ ერთი, უკვე „ყოვლისმომცველი“ კლიშე, რომელიც ერთიანად გვაძულებს ყველა ქართველს — მამაკაცსაც და ქალსაც! მინდა, ვიკითხო: სადაა ლოგიკა?**

**სათითაოდ, ცალ-ცალკე ყველანი ეგეთი „კარგები“ ხართ და „სხვა ცუდ“ ქართველებს ემალებით?**

სირცხვილია! აი, ეს უკვე ნამდვილად სირცხვილია, რომ ასე იოლად გაჯერებენ ამ რეგვნულ კლიშეს: „ქართველები ისეთი სამარცხვინოები არიან, მათ არ უნდა ეკონტაქტო!“

ცუდი და კარგი ყველა ერშია და ადამიანი, რომელიც ცუდსა და კარგს ეროვნების მიხედვით არჩევს, თვითონ არის ნაგავი.

**აი, ამ ლიბერასტებს კი, რომლებიც, რომ ჰკითხო, სხვა ყველაფერთან ერთად, „ქართველ მუტრუკებს“ ქსენოფობიაშიც ადანაშაულებენ და ტოლერანტობისკენ მოგვიწოდებენ, მინდა, შევახსენო: ქართველი ეროვნებაა და ქართველთმოძულეობა — ქსენოფობია, ჩემო „უგზო-უკვლოდ ტოლერანტულო“ დებო და ძმებო!**

**რაც შეეხება „ქართველობის წართმევას“... დამშვიდდით! ძალიან ნუ გაიჭაჭებით — „არ მინდა ქართველობა, წამართვითო!“, რადგან, რაც არ გაქვთ, იმას ვერავინ წაგართმევთ! თქვენ „ქართველობა“ არასდროს გქონიათ, შესაბამისად, ვერც ვერავინ წაგართმევთ!**

ჩვენ კი, იმ ქართველებს, რომლებმაც ზუსტად ვიცით, რასაც ვგულისხმობთ „ქართველობაში“, რომლებმაც ზუსტად ვიცით, რომ ეს ცნება არც „მანიაკობას“, არც „ქალების ცემას“, არც „მარხვის დაცვას“, არც „რუსეთის მონობას“ არ ნიშნავს და ნამდვილად გვსურს ჩვენი ქართველობის შენარჩუნება, თქვენებურად („ტოლერანტულად“, „ლიბერალურად“, „არაქსენოფობიურად“) თავი დაგვანებეთ და დაგვიტოვეთ იმის უფლება, ვიყოთ ქართველები და ვამაყობდეთ ქართველობით!

**დაუკვირდით: „ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, — გვეუბნება გენიალური შოთა, ანუ, სულერთია, ქალთან დაწვები თუ მამაკაცთან, როდესაც სექსი ძალიან გინდაო. მართალია, კომუნიზმის სიბნელეში ჩარჩენილ რუსეთუმე ქართველ მეცნიერებს ეს აფორიზმი სულ სხვანაირად აქვთ ახსნილი და გააზრებული, მაგრამ ჩვენც ხომ იმ საბჭოთა სიბნელეში არ უნდა ჩავრჩეთ?! ამიტომ უნდა ვაღიაროთ, შოთას ეს აფორიზმი ბისექსუალიზმის პირდაპირი მხარდაჭერაა.**

## სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასული კვირის განმავლობაში ქართველი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო თემა იყო მწერლის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის, დიდი მამულიშვილისა და სასიქადულო პატრიოტის — ლაშა ბუღაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ ე.წ. ლგბტ პირებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ქორწინებისა და ბავშვის შვილად აყვანის უფლება.**

# მიუშვით ბუღა ბუღაზე! — აცხადებს ლაშა ბუღაძე...




ბევრი გაუთვითცნობიერებელი, გაუნათლებელი და შეუგნებელი გაალიზიანა დიდი მოაზროვნე ლაშა ბუღაძის მიერ ერთნაირსქესიანთა უფლებების მხარდაჭერამ.

არადა, საკითხს თუ ცოდნითა და სიღრმისეულად ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა ჭეშმარიტი ქართველი, მით უფრო — მწერალი კაცი!

საქმე ის არის, რომ ქართულ ანდაზებში, გამოცანებში, ძველ ქართულ ლიტერატურაში ჩვენი წინაპრები, მაშინდელი ბნელი საუკუნეების მიუხედავად, მაინც ყოველთვის უჭერდნენ მხარს ლგბტ პირებს, ანუ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსსექსუალ ადამიანებს.

ერთი ეგაა, რომ ისინი ამას, მაშინდელი საუკუნეების სიბნელის გამო, ხმამაღლა ვერ იტყოდნენ და ისე, მინიშნებებით აქვთ ნათქვამი.

ავიღოთ, მაგალითად, ძალიან ცნობილი ქართული ანდაზა: **„ხარი ხართან რომ დააბა...“**

მართალია, ამ ანდაზას, შენიღბვის მიზნით, შემდეგ გაგრძელება გადაუკეთეს, მაგრამ რეალურად ხომ ფაქტია — ჩვენი წინაპარი არ გამორიცხავს, პირიქით, მისალმება ხარის ხართან დაბმას! სულაც არ არის აუცილებელი, ხარი მაინცდამაინც ძროხასთან იქნას „დაბმული“, მეტიც, ეს ანადაზა ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირადაც გავიგოთ — **ხარმა ხარი რომ „დააბას“, ანუ „შეაბას“, „დაკეროსო“.**

ფაქტია რომ, **ზემოხსენებული ანდაზა ჰომოსექსუალიზმის, ანუ გეიწყვილების აშკარა მხარდაჭერაა. თუ კარგად ჩავხედავთ საკითხს, აღმოვაჩენთ, აგრეთვე, ბი-სექსუალიზმის მხარდაჭერასაც, თანაც არა სადმე შორს, არამედ აქვე, უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“.**

აბა, დაუკვირდით: **„ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, — გვეუბნება გენიალური შოთა, ანუ, სულერთია, ქალთან დაწვები თუ მამაკაცთან, როდესაც სექსი ძალიან გინდაო. მართალია, კომუნიზმის სიბნელეში ჩარჩენილ რუსეთუმე ქართველ მეცნიერებს ეს აფორიზმი სულ სხვანაირად აქვთ ახსნილი და გააზრებული, მაგრამ ჩვენც ხომ იმ საბჭოთა სიბნელეში არ უნდა ჩავრჩეთ?! ამიტომ უნდა ვაღიაროთ, შოთას ეს აფორიზმი ბისექსუალიზმის პირდაპირი მხარდაჭერაა.**

სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც მოიძებნება ლესბოსელთა მხარდასაჭერი ფარული ტექსტები. მაგალითად, **„დარკვეთელო ქალო!.. წამომყევი სახლში დედა გავახარო“.**

აბა, დაუკვირდით: მამაკაცი მიმართავს ქალს, წამომყევი სახლშიო, მაგრამ ჩემთვის კი არაო, არამედ დედა უნდა გავახაროო! ამ კონკრეტული ხალხური სიმღერის გმირი ისეთი ულტრათანამედროვე აზროვნების, ტოლერანტული ბუნებისაა, რომ თავის ლესბოსელ დედას კარგად უგებს გულისწადილს და მეტიც, მისთვის ქალებიც კი მიჰყავს სახლში.

ნაკლები ყურადღება არც ანანისტებს და მასტურბატორებს ექცევათ ძველ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მაშ, აბა, სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ცნობილი ანდაზა: **„რაც მოგივა დავითაო, მხოლოდ შენი თავითაო“.**

**აქ, რა თქმა უნდა, „რაც მოგივა“-ში ორგაზმია ნაგულისხმევი, ხოლო ანდაზა „დავითას“ მოუწოდებს: არავინ გჭირდება სხვა — არც ქალი და არც კაცი, შენს თავს „მხოლოდ“ შენ შესანიშნავად დაიკმაყოფილებო.**

აი, ასე და ამგვარად ჩაუღრმავდა ჩვენი სასიქადულო მწერალი თემას და იმიტომაც დაუჭირა მხარი ასე ღიად და გაბედულად ერთნაირსქესიან წყვილებს.

როგორც ვიცით, **ამჟამად ლაშა ბუღაძე ჩაღრმავებულია ანდაზაში: „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო“. მწერალს უჭირს ამ ანდაზის არსის ამოხსნა, რადგან, მართალია, ქათმად საკუთარი თავის წარმოდგენა მისთვის პრობლემა არ არის, მაგრამ ღმერთი, საერთოდ, რა შუაშია, რატომ უნდა შეხედოს ღმერთს და რაში გვჭირდება, ზოგადად, რწმენა, ამაში ჯერ ვერაფრით გარკვეულა...**

**სამაგიეროდ, ძალიან მარტივად შეიძლება გავიაზროთ გამოთქმა: „შენ მამაშენმა ფურთხით ხომ არ გაგაკეთა?“**

ეს გამოთქმა მით უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ფურთხი, ბატონი გია ბუღაძისთვის, ადრეც არაერთხელ გამხდარა შთაგონების წყარო.

**ველოდი რახანია**

**ექსკლუზიური ინფორმაციით, საგურამოში უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. უამრავი სავარაუდო ვერსია გავრცელდა, თუ რატომ დაიბარა ყოფილმა პრემიერმა მისი მოწაფეები. ჩვენმა წყაროს პირას ჩასაფრებულმა ჩიტმა ინფორმაცია სტენოგრაფიული სიზუსტით მოგვაწოდა.**

# ტყემლიანი ბარკალი ელისოს, ანუ ბიძინასთან საიდუმლო შეკრების დეტალები

მაშ ასე, რა მოხდა იმ დღეს?

საღამოა. 19 საათი. ეკა ბესელია ტელეფონზე მიიღო შეტყობინება ტექსტით: **ბნ ბძ გიბარებთ** (ანუ ბატონი ბიძინა გიბარებთ).

ეკა სასწრაფოდ რეკავს მანანასთან და ავალებს, თანაგუნდელები საქმის კურსში ჩააყენოს. ამასთანავე, იცვამს სასწრაფოდ და გარბის სალონში თმისა და ფრჩხილების მოსაწესრიგებლად.

**19:15.** ეკა, ფაქტობრივად, მზად არის და სიტუაციის გადასამოწმებლად ურეკავს მანანას.

მანანა ამ დროს თაფლის აბაზანებს იღებს, თან მღერის ძველ ფრანგულ სიმღერას.

იწყება სატელეფონო დიალოგი:

**ეკა:** — მანჩო!

**მანანა:** — ხო, ჯიგარო, რას შვები, აბა?

**ეკა:** — მიიღე მესიჯი?

**მანანა:** — კი, თერაპიაზე ვარ და მალე გამოვალ.

**ეკა:** — ოკ, კავშირამდე.

ეკა ამდროს სტარბაქსის ჭიქიდან ყავას წრუპავს და თან „ფეისბუქზე“ ამოწმებს ინფორმაციას.

მანანა სწრაფი მოძრაობით იცვამს შუბას, იკეთებს კოლიეს და ურეკავს მძღოლს.

**19:45.** კოხტად გამოწყობილი მანანა რეკავს გუგულისთან.

**გუგული** ფამილარული ტონით პასუხობს: — ხო, მანი!

**მანანა:** — აბა, ჯიგარო, რა ხდება მზად ხარ?

**გუგული:** — კი ჩემმა მზემ, ეხლა დავურეკე მძღოლს და წამი წამზე აქ იქნება.

**მანანა:** — ოკ.

**20:00.** საპარლამენტო უმრავლესობა სრულ მზადყოფნაშია, საერთო შეკრების ადგილად მშვიდობის ხიდი დასახელდა, როგორც ცნობილია, სწორედ იქ ჩამოდგა ოცნების კორპორატიული ავტობუსი, რომელმაც დეპუტატები საგურამოში გააქცია.

ამ დროს ეკას, გუგულისა და მანანას შორის ტრიალოგი იმართება.

**მანანა:** — გოგო, ცოტა ვნერვიულობ, ხო იცი.

**ეკა:** — კაი, არ ვიმჩნევთ, მანო. ხო იცი, რამდენი ბოზი გვყავს შემოგზავნილი, დარწმუნებული ვარ, ელოს ჩიტი აქ სადმე იჯდება.

**მანანა:** — ჰო, მართალი ხარ *(და ხალხის დასანახავად ხმამაღლა გადაიკისკისა, შესანიღბავად).*

და აი, „ოცნების“ ავტობუსი პიპინ-პიპინით შეგრიალდა საგურამოს აგარაკის ეზოში.

ბიძინა ივანიშვილიც იქვე მოუთმენლად ელოდა სტუმრებს.

უცნაური და მოულოდნელია, მაგრამ სუფრის თამადად ბიძინა ივანიშვილი აურჩევიათ.

**შეზარხოშებულ ბიძინას ეკა გამოუწვევია ტანგოს საცეკვაოდ და ყურში ჩაუჩურჩულებია, შენ მაგაზე არ იდარდოო, და ჯიბეში კონვერტი ჩაუდვია, თან უთქვამს, სანამ შინ არ მიხვალ, არ გახსნაო.**

ეკაც ღიმილ-ღიმილით მიბრუნებულა სუფრასთან და ცოტათი დამშვიდებულს მესიჯი მიუწერია გუგულისთვის და მანანასთვის, ქალების ტუალეტთან დამელოდეთ, საქმე მაქვსო.

სად იყო და სად არა, იქვე ყოფილა კამუფლიაჟში ჩაცმული **ელისო კილაძეც**, რომელიც ყვავილის დეკორაციაში გახვეულა და სტუმრების ნადიმს მშვიდად იწერდა, თანაც, ცინიკური ტონით გულში ამბობდა, ამ კვირაშიც კარგად გავყიდი გაზეთს და ვალებსაც გავისტუმრებო.

**22:45.** ეკა, მანანა და გუგული ქალების ტუალეტთან შეიკრიბნენ. როგორც ჩანს, ეკამ ვერ მოითმინა და გადაწყვიტა, ბიძინას კონვერტი დროზე ადრე გაეხსნა და განცდები დაქალებისთვის გაეზიარებინა.

აბა, გოგონებო, ერთი, ორი და სამი, ვხსნით. გახსნეს კონვერტი და მოულოდნელად ბიძინას ხმა ჩაესმა: „მე ხომ გითხარი, სახლში მისვლამდე არ გახსნა-მეთქი!“, თქვენ დაარღვიეთ ჩემი ცნება და ამიტომაც მომავალ საპარლამენტო სიაში აღარ იქნებით არც ერთი!

**ამ ამბის გაგონებაზე ელისო კილაძეს ემოციები ვერ შეუკავებია და ხმამაღლა აღმოხდენია „იეეეს!“, ეკა, მანანა და გუგული ჟურნალისტის დასაჭერად გაემართნენ.**

ბევრი კი ურბენია ელისოს და გადაღლილი იქვე წიწვნარს შეფარებია.

მართალია, მანანას, ეკასა და გუგულის ამ ეტაპზე ხელიდან დაუსხლტათ ელისო, მაგრამ, როგორც წყარო ამბობს, ქალბატონები მას თურმე ძალიან ემტერებიან და იმუქრებიან, მაგის სისხლს დავლევთო.

დაქანცულები შენობაში შებრუნებულან და ბიძინას მაგიდას მისხდომიან. ბესელიას საწყალი ქალის მზერა მიულია და ერთი შანსის მიცემაც უთხოვია, მე ვიყო ხათუნა გოგორიშვილი, თუ კონვერტი სახლში მისვლამდე გავხსნაო.

ყოფილ პრემიერს უთქვამს, შენი ბედი, რომ კარგ ხასიათზე ვარ და ერთ შანსს კიდევ მოგცემო. აჰა, კონვერტი და სახლში მისვლამდე აღარ გახსნაო.

ახლა კი გადადით იქით მაგიდაზე, ხო ხედავთ, აქ რომ გხედავენ, ყველას ჩემთან უნდა მოსვლა და ეგრე აღარ გამოვა ეგ ამბავიო, და საწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

**00:02.** სუფრა დასასრულისკენ წასულა და სტუმრებიც ჰარიჰარალოს შეძახილით გამოსულან გარეთ.

გახარებულ ეკას მშიერი ელისოსთვის ტყემალში ამოწობილი ქათმის ბარკალი მიუცია და უთქვამს: „ჭამე, გოგო, ჭამე! მე ისევ იქ ვარ, სადაც ვიყავი, და შენ, რამდენიც გინდა, ილაპარაკე“.

**შეზარხოშებულ ბიძინას ეკა გამოუწვევია ტანგოს საცეკვაოდ და ყურში ჩაუჩურჩულებია, შენ მაგაზე არ იდარდოო, და ჯიბეში რაღაც კონვერტი ჩაუდვია, თან უთქვამს, სანამ შინ არ მიხვალ, არ გახსნაო**

**ელიკო სილაძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ვარდების მარიონეტული ხელისუფლება ცხრა წლის განმავლობაში აყრიდა მიწას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, მეათე წელს მას „ქართული ოცნებაც“ აეტორღიალა და აგერ უკვე სამი წელია, ნაცები და ქოცები ერთად ყურყუტებენ პენტაგონის ხუთკუთხა შენობის ალაყაფთან, რომელსაც აჭარული მედრესის კარზე მიჭედილი ღორის თავივით „ამკობს“ ფრიად უწმაწური აბრა სამი თითის კომბინაციის გამოსახულებით და წარწერით — TO ENTER GEORGIA NATO IS TORBIDEN.**

# ეს მარიონეტები იქამდე იმაიმუნებენ, სანამ განრისხებული ხალხი იარაღზე არ იტაცებს ხელს

**მოზღვავებული ბოროტებისა და უზნეობის წინაშე დაჩოქილი საქართველო დღეს იმ გაუბედურებულ დიაცს ჰგავს, რომელმაც ამ სამიოდე წლის წინათ მდიდარ ოლიგარქს მიანდო თავისი ბედ-იღბალი, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. ახლა სამოქალაქო ბუჩქნარში გადამძვრალ მილიარდერსა და მის მაძღარ კოალიციას „მარიონეტებად“ და „ჩმორებად“ მოიხსენიებს გამწარებული ერი და ორთავეს საშვილიშვილო წყევლა-კრულვით გადასცემს ანათემას.**




და, თუ ამ შმორობისა და ჩმორობისგან მომდინარე ეროვნულ უბედურებაზე გადატანითი მნიშვნელობით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ, რა ჭირ-ვარამიც ადრინდელი კოლხეთისათვის მოჰქონდა იქ მდებარე აშმორებული ჭაობებიდან გავრცელებულ მალარიას, ჭლექს, უჟმურს თუ სხვა გადამღებ სნეულებებს, — დღეს ისეთსავე ეპიდემიურ საშინელებას წარმოადგენენ სრულიად საქართველოსთვის ნაცმოელი და რესპუბლიკელი ჩმორები.

* * *

**მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები გაქარწყლდა და საქვეყნოდ ლაფდასხმულმა კოალიციამ ნაცბანდასთან გააჩაღა კოჰაბიტაციური კურკური, მოღორებულმა ხალხმა „ნაცების“ ძველ ზედწოდებას „ქოცების“ ახალი აბრევიატურა მიურითმა და ეს გაფარჩაკებული ტანდემი სიამის ტყუპებივით დაუწყვილა ერთმანეთს, — როგორც ნაც-ქოცური ალხანა და ჩალხანა.** თუ ვარდების მარიონეტული ხელისუფლება ცხრა წლის განმავლობაში აყრიდა მიწას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, მეათე წელს მას „ქართული ოცნებაც“ აეტორღიალა და აგერ უკვე სამი წელია, რაც ნაცები და ქოცები ერთად ყურყუტებენ პენტაგონის ხუთკუთხა შენობის ალაყაფთან, რომელსაც აჭარული მედრესის კარზე მიჭედილი ღორის თავივით „ამკობს“ ფრიად უწმაწური აბრა სამი თითის კომბინაციის გამოსახულებით და წარწერით — To enter Georgia NATO is torbiden.

ცხადია, ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ და მის გადედლებულ კოალიციაში გაფოფრილ რესპუბლიკურ პარტიას გლობალიზაციის ტურტლიანი „დინების წინაალმდეგ ცურვისა“ და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობისთვის საჭირო უნარები არ აღმოაჩნდა.

და **დღეს ნოვატორებისა და რეფორმატორების ნილბებით მოთარეშე მარიონეტები და ჩმორები ატლანტიკური ალიანსის ჯურღმულებიდან მომდინარე გამხრწნელი ფონდებით, იდეებითა და ინსტრუქციებით აქეთ უტევენ იმ ქართველ მამულიშვილებს, რომელთა მიზანია, გლობალიზაციის წამლეკავ ტალღებს გამოსტაცონ იმავე ატლანტიკური სივრცისკენ უკომპასო ხომალდივით მოდრეიფე ნაც-ქოცური საქართველო.**

* * *

ას ოცდარვა წელია, რაც ატლანტიკურ სივრცეს შვიდრქიანი პოსეიდონივით გადასცქერის თავისუფლების მონუმენტური ქანდაკება, რათა ევროპელ კორსართა შთამომავლებმა ამერიკის შეერთებული შტატები სამყაროს თავისუფლების მარადიულ ბურჯად წარმოუდგინონ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, „თავისუფლების კუნძულის“ საპატიო ტიტული მხოლოდ და მხოლოდ დიდი ამერიკის მახლობლად მდებარე იმ პატარა კუბას არგუნა განგებამ, რომელიც თვით ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კლასიკურ მაგალითს აძლევდა და აძლევს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაძიებელ მსოფლიოს ხალხებს.

**ატლანტიკური ალიანსის წინაშე დაოთხილ ქართველ მარიონეტებსა და ჩმორებს უნდა ახსოვდეთ, რომ გმირმა კუბელმა ხალხმა სწორედ „დინების საწინააღმდეგოდ“ გააპო ატლანტის ოკეანის მღვრიე ტალღები და რუსეთის თანადგომით გააძევა ამერიკელი ოკუპანტები საკუთარი მიწა-წყლიდან. განდევნა ამერიკელი ინვესტორ-თაღლითები, მოახდინა მათ მიერ მიტაცებული ყველა სამრეწველო და სტრატეგიული ობიექტის ნაციონალიზაცია; შექმნა მოდერნიზებული სამამულო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა; ქვეყანა აქცია მძლავრ ექსპორტიორ ქვეყნად; შეინარჩუნა და განავითარა საკუთარი ტრადიციები, ზნეობა და კულტურა.** დღევანდელი კუბა ის ქვეყანაა, რომელშიც სოროებიდან ცხვირს ვერ ყოფენ ლგბტ-ს ბინძური სექტის მიმდევრები და კრინტს ვერავინ ძრავს ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე.

საგულისხმოა ისიც, რომ, როცა კუბამ ამერიკელ ოკუპანტებს სისხლითა და მახვილით გამოსტაცა თავისუფლება, მაშინ მისი გენოფონდი საქართველოს „ოქროს ხანის“ დროინდელი მოსახლეობის რაოდენობას არ აღემატებოდა. ჩვენმა ქვეყანამ კი ისეთი კატასტროფული უკუსვლა განიცადა „ოქროს ხანიდან“ დღემდე, რომ ახლა მონურად მუხლმოყრილი დგას იმავე ამერიკელი ოკუპანტების წინაშე.

* * *

**კუბის გმირული ეპოპეის ფონზე ქართველი ხალხის მორიგი და შეუწყნარებელი შეცდომა არის ის, რომ საქართველოდან გაძევებული მიხეილ სააკაშვილი „ვირის აბანოში“ არ ზის და კვლავ ამერიკული დოლარების ტოპრაკებითაა დართხმული მსოფლიოს გზებზე, რათა სამშობლოს მოღალატეებისგან შემდგარი ახალ-ახალი მარიონეტული დაჯგუფებები შეაკოწიწოს სხვადასხვა ქვეყანაში და შემდეგ ფერადი რევოლუციებითა და ატლანტიკური იარაღით მოუღონ ყოველ მათგანს ბოლო.**

ეს შემზარავი ქარიშხალი ახლა უკრაინაში მძვინვარებს.

წინათ თუ უკრაინელი ხალხის ზიზღითა და ფურთხით მოსვრილი მარიონეტი ვიგოვსკი და მისი პირსისხლიანი ბანდები პოლონელ შლიახტებზე ჰყიდდნენ ბედკრულ უკრაინას, ახლა იმავე ვიგოვსკის ზნედაცემული შთამომავლები და მიხეილ ქვემძრომი ისევ იმ „ოცდაათი ვერცხლის“ ფასად მიათრევენ სისხლსა და ნანგრევებში დაოთხილ უკრაინას ატლანტიკურ სივრცეში.

და **რაოდენ ამაზრზენია, რომ ამ ეროვნული განუკითხვის ჟამს საქართველოს ბედისა და ბედნიერების გამყიდველი ნაცები და მათი ატლანტიკელი ბოსები ღორებივით ეხახუნებიან უკრაინელ მარიონეტებს და ჩვენც გვაღორებენ, რომ თითქოს საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება.**

* * *

მიხეილ თაღლითი ვინცაა, მსოფლიომ უწყის, მაგრამ, როცა **ვიტალი კლიჩკოსა** და მიხეილ სააკაშვილის რიტორიკა და ქცევები ერთმანეთს ემთხვევა, გონიერ ქართველ კაცს ისღა დარჩენია, იფიქროს, რომ ვერც ეს კლიჩკოა კარგად. **ეტყობა, მსოფლიოს სხვადასხვა რინგზე მიღებული დამანგრეველი ულტა-ების შედეგად ცნობილ უკრაინელ მოკრივეს ამნეზიის მძიმე დაავადებამ დარია ხელი და დაავიწყდა, რომ მის მშვენიერ სამშობლოს საუკუნეთა განმავლობაში კიევის რუსეთი ერქვა, სადაც ოდითგანვე ძმურად ცხოვრობდნენ რუსები, უკრაინელები და ბელორუსები. და რომ ამ სამი ერის შემაკავშირებლისა და წარმმართველის წმინდათაწმინდა მისია განგებამ იმაზე დიდი ხნით ადრე დააკისრა დედარუსეთს, ვიდრე ატლანტიკური ალიანსის მიერ მოსყიდული ტურები დაიწყებდნენ წანწალსა და ჩხავილს სლავურ მიწებზე.**

ამერიკული დოლარებით გალაღებული და იმპოზანტური კახპებით გარემოცული ოდესის გუბერნატორი დღეს ქერის ორმოში ნებივრობს, მაგრამ უკრაინელ პატრიოტთა აბობოქრებული ტალღა თუ სლავურ ვენდეტას მიმართავს, მაშინ გარდაუვალია, რომ მიხეილ ცრურეფორმატორს ცეცხლზე დაწვავენ და მის ფერფლს ზარბაზნით გამოისვრიან საქართველოსკენ, ისე, როგორც პოლონელი შლიახტიჩების მიერ რუსეთის ტახტზე ათრეული ცრუდიმიტრის ფერფლი გასტყორცნეს პოლონეთისკენ.

* * *

ნაცები და რესპუბლიკელები ევროპად აღიარებენ უკრაინას, ამასთანავე, ბედავენ და პოლიტიკურ სიბეცეს სწამებენ „პატარა კახს“, რომელმაც თურქულ-სპარსული აგრესიების მოსაგერიებლად ერთმორწმუნე რუსეთთან შეკრა მარადიული ძმობის კავშირი.

**როდესაც ერეკლე მეორე არჩევანს აკეთებდა სპარსეთსა და რუსეთს შორის, მას რუსეთი ევროპა ეგონა და ეს იყო მისი შეცდომაო,** — ამბობს „ქართული ოცნების“ სახე-სიმბოლო **ლევან ბერძენიშვილი.** თუმცა, ცხადია, რომ ამ ქართველი „ივანუშკა დურაჩოკის“ ქარაგმული ჩიფჩიფი ირიბი ქვეტექსტით, უნდა გავშიფროთ, რადგან, ერეკლე მეორეს კი არ ეგონა, არამედ, ფაქტობრივად, არსებობდა და არსებობს ევროპული რუსეთი, ევროპული პეტერბურგი და მოსკოვი, მაგრამ ნამდვილი ჩმორობა და მაიმუნობაა, როცა ნაცებისა და რესპუბლიკელებისათვის ჭეშმარიტ ევროპად მისაღებია აწ უკვე დაცემული და ატლანტიკური ალიანსისკენ წასასვენებლად გამზადებული უკრაინა, ხოლო მიუღებელია იმ მამაცი რუსეთის ევროპულობა, რომელიც ყოველ წუთს მზადაა, იარაღი აიღოს ხელში და სლავური სივრციდან კუდით ქვა ასროლინოს ამ ოკეანის გაღმელ ვირთხებს.

ლევან ბერძენიშვილი იქედნური ღიმილით გვამცნობს, **ევროპაში მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღლა დგასო.** უნდა ითქვას, რომ ეს განცხადებაც ისეთივე სიბრიყვე და სიბეჩავეა, როგორც მისი ქრონიკულად პირდაფჩენილი ავტორი და გამოხმაურებადაც არ ღირს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარეშე მიხეილ სააკაშვილი ისეთივე არარაობაა ევროპისთვის, როგორი არარაობაც ნაცები და რესპუბლიკელები არიან სრულიად საქართველოსთვის...

**როცა ნაირგვარ სიგლახესთან დაზავებული ევროკავშირი გვეუბნება, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა და დანერგვის გარეშე ევროპის კარს არ გაგიღებთო, — გამოდის, რომ ევროპისთვის საქართველოს რეიტინგზე მაღლა დგას არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი, არამედ ლგბტ თემში შემავალი ყველა ლესბოსელის, გეის, ბისექსუალის, ტრანსსექსუალის, ბოზისა და ნაბოზარის რეიტინგი. ასე რომ, თუ ხვალ ევროპა საქართველოს რეიტინგზე მაღლა დააყენებს ლევან ბერძენიშვილისა და, საზოგადოდ, რესპუბლიკური პარტიის რეიტინგს, ეს ამ რეიტინგიანი ჩმორების გაბიაბრუებაზე მიმანიშნებელი ფაქტი იქნება და არა დიდი საქართველოს ღირსების დაკნინება და შელახვა.**

ან რა ღვთის რისხვაა, როცა თავის საეჭვო ქიცინითა და ხელების უაზრო ქნევით მოტიკტიკე **თინა ხიდაშელი** ნარკოტიკების თავისუფალი მოხმარების იდეით გამოდის და ამ საზოგადოებრივი ჭირის დეკრიმინალიზაციას ითხოვს?! ის, ვინც ისედაც გაუბედურებულ საქართველოს ნარკომანიის ჭაობში მიათრევს ან თვითონ არის დაჩმორებული ქეში, ან ქვეყნის წასაბილწავად შემოგზავნილი მსტოვარი, ან ისეთი გონებაშეზღუდული დეგენერატია, რომ არაფერი გაეგება ნარკოტიკების დამღუპველი ზემოქმედების შესახებ.

▶

**ამერიკული დოლარებით გალაღებული და იმპოზანტური კახპებით გარემოცული ოდესის გუბერნატორი დღეს ქერის ორმოში ნებივრობს, მაგრამ უკრაინელ პატრიოტთა აბობოქრებული ტალღა თუ სლავურ ვენდეტას მიმართავს, მაშინ გარდაუვალია, რომ მიხეილ ცრურეფორმატორს ცეცხლზე დაწვავენ და მის ფერფლს ზარბაზნით გამოისვრიან საქართველოსკენ, ისე, როგორც პოლონელი შლიახტიჩების მიერ რუსეთის ტახტზე ათრეული ცრუდიმიტრის ფერფლი გასტყორცნეს პოლონეთისკენ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს ნოვატორებისა და რეფორმატორების ნიღბებით მოთარეშე მარიონეტები და ჩმორები ატლანტიკური ალიანსის ჯურღმულებიდან მომდინარე გამხრწნელი ფონდებით, იდეებითა და ინსტრუქციებით აქეთ უტევენ იმ ქართველ მამულიშვილებს, რომელთა მიზანია, გლობალიზაციის წამლეკავ ტალღებს გამოსტაცონ იმავე ატლანტიკური სივრცისკენ უკომპასო ხომალდივით მოდრეიფე ნაც-ქოცური საქართველო



◀ **ამ სამში რომელ კატეგორიას განეკუთვნება თინა ხიდაშელი, ქართველი ხალხისთვის უცნობია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ნარკოტიკებზე გადამჯდარი ქეშების, მსტოვრებისა და დეგენერატების ფეხქვეშ ქართული მიწა უნდა იწვოდეს...**

***

თევზი თავიდან ყარსო, — ნათქვამია.

**მსოფლიოს მეტროპოლიის ლიდერმა ამას წინათ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას „ამერიკის გამარჯვება“ უწოდა, მაგრამ ამ გახრწნილებით აღშფოთებულმა ზნეობრივმა სამყარომ ღვთისა და ბუნების კანონების წინააღმდეგ ამხედრებულ ამერიკას „პედარასტების იმპერია“ შეარქვა და იარაღზე ხელჩაბღუჯულ იანკებს ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ ღვთის რისხვისა და მოხშირებული ტერაქტების თავიდან ასაცილებლად, ავღანური და ეგვიპტური სასაკლაოების მოწყობა კი არა, თვით ატლანტიკური სივრცის ზნეობრივი განწმენდა და სულიერი ამაღლებაა საჭირო...** თუ არადა, ამ ცოდვებით დამძიმებულ ქვეყანას კარს მოადგა ღვთის ცეცხლით დაფერფლილი სოდომისა და გომორის საშინელი ხვედრი.

დემოკრატიის სახელით უნდა ითქვას, რომ, როცა „პედარასტთა იმპერიის“ ვიცეპრეზიდენტი გამოდის და საქვეყნოდ აცხადებს, რომ **„გეებისა და ლესბოსელების მოწინააღმდეგენი ველურები არიან“,** ეს კაცი უნამუსოდ უტეხს სახელს ნამუსიან სამყაროს და სავარაუდოა, რომ იგი ან თავადაა ჩაბმული ლგბტ თემის ბინძურ ბაქკანალიებში, ან პედარასტთა სინდიკატის მიერ დაქირავებული დემაგოგია.

ასეა თუ ისე, **ჯო ბაიდენი** და მისი მიმდევრები ისევ გამოქვაბულის ეპოქისკენ მიაქანებენ კაცობრიობას, როცა ხროვებად მოარულ პრიმატებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა არც ეროვნების, არც სარწმუნოების, არც სექსუალური ორიენტაციის, არც ზნეობისა და არც ნათესაობის მიხედვით.

ამიტომ ოცდამეერთე საუკუნის ველურებად უნდა შევრაცხოთ არა ლგბტ-ს მოწინააღმდეგენი, არამედ ის ანტიქრისტეს მოციქულები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში უტიფრად ნერგავენ პირველყოფილი ადამიანების ყოფაქცევის წესებს და ცხოველურ ინსტიქტებს.

***

უწიგნური ნაც-ქოცები საქართველოს გმირული წარსულის პროფანაციასაც არ ერიდებიან, რათა ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე ამაღლებული ადგილი დაუმკვიდრონ სოდომური ჭაობის აშმორებულ ბინადრებს და ამ მიზნით მთელ ქვეყანას ატყუებენ, თითქოს მამათმავლობა ადრეულ საუკუნეებშიც არსებობდა ჩვენში, მაგრამ მას გაგებითა და ტოლერანტული შემწყნარებლობით ეკიდებოდა ქართველი ხალხი.

**როგორ ბედავთ, თქვე გონებაშეზღუდულო ვიგინდარებო, საქართველოსა და ქართველი ერის ასე ხელაღებით შეურაცხყოფას?!**

ცნობილია, რომ, როცა კახეთში შემოსეულმა ყიზილბაშებმა სოფლის ხუცესი გააუპატიურეს, ეს გახრწნილება მთელი ერის შეურაცხყოფად მიიღეს ქართველმა პატრიოტებმა და ფიცხლად **„მოსრეს ყიზილბაშნი პირითა მახვილისათა და ამოწყვიტეს დედაწულითურთ და აკვანში რომელი ყრმანი იწვნენ, იგინიცა დახოცნეს... სადაც კახეთს თათარი ესახლა, ყოველივე ამოწყვიტეს“...**

ეს იყო ალავერდისა და ბახტრიონის გმირული ეპოპეა.

**ახლა, ერთ საწყალ ხუცესს კი არა, მთელ საქართველოს აოხრებენ, ათათრებენ და აბახებენ სახელმწიფო დონეზე, მაგრამ ის ქართველი ვაჟკაცები არსად ჩანან, ღვთის რისხვას რომ დაატეხენ თავს ნაც-ქოცების სახით მოვლენილ ქართველ ყიზილბაშებსა და თურქმანებს.**

**ერის გამყიდველი ქართველი მარიონეტებისა და ფილისტერების გარდა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მრავალსაუკუნოვანი აზიური აგრესიისა და პედარასტიისაგან დიდი რუსეთის სტრატეგიულმა თანადგომამ იხსნა საქართველო. მარადიული დიდება იმ რუს და ქართველ მეომრებს, რომლებმაც საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს ჩვენი სამშობლო სრული გათათრებისა და გადაშენებისაგან!**

***

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“, — ბრძანებდა დიდი ილია, მაგრამ ვერა და ვერ მოვიკალით, რადგან ოსმან ფაშას წუპაკი ნაბიჭვრები, რომლებმაც წარსულში იარაღით ვერ დაგვაჩოქეს, ახლა მშვიდობიანი გზით (ანუ გველური ცბიერებით) გვიპირებენ საქართველოს ძირძველი კუთხეების წაგლეჯას. და ამ ყაჩაღურ განზრახვაზე ხმამაღლა და უშიშრად ლაქლაქებენ კიდეც, რადგან მათთვის დღევანდელი საქართველო, ხმალშემართული ვაჟკაცების ქვეყანას კი არა, თურქული ჩაის საკრეფად გადარეკილი უმწეო დედაკაცებისა და ღორმუცელა არაკაცების ვილაიეთია.

ნაც-ქოცების უსახურ ხელისუფლებას ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის ნატამალი რომ ჰქონდეს, ფიანდაზად კი არ დაეგებოდა „ოსმანთა ახალი იმპერიის“ რესტავრატორებს, არამედ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდა და სამუდამოდ აუკრძალავდა ქართულ მიწაზე ფეხის დადგმას. უდიდესი ჩმორობა და სიგლახეა ისიც, რომ საქართველოს ყოვლად უბადრუკი ექსპრემიერი ამას წინათ ურდოში ჩავიდა თავისი ამალის თანხლებით და ჭუჭყიან ფეხებზე ემთხვია აჭარისკენ თვალდაბრეცილ დავუთ ფაშას. **თუ ამქვეყნად სამართალი არსებობს, ახლა ის დროა, საქართველოს ხელისუფლება სწავლული კაცების კომისიას ქმნიდეს ქართველ თურქოლოგთა შემადგენლობით და საუკუნეთა განმავლობაში თურქმანთა მიერ ნაძარცვი და ნაყაჩაღარი აურაცხელი სიმდიდრისა და მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას ითხოვდეს რესტიტუციის კანონის თანახმად; მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საშვილიშვილო საქმეს თავს ვერასდროს გაართმევენ ატლანტიკურად გენმოდიფიცირებული ნაცები და ქოცები, რომლებიც რესტიტუციის კანონებზე მეტად პროსტიტუციის კანონებით არიან დაინტერესებულნი.**

***

თაობათა გენეტიკური მონაცვლეობის უცდომელი პრინციპით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ **ნაცები და ქოცები იმ თურქ-სელჯუკთა და ყიზილბაშთა სისხლისმიერი შთამომავლები არიან, რომლებიც ყოველი შემოსევის ჟამს მხეცური სისასტიკით ხოცავდნენ, ბილწავდნენ და იმონებდნენ ქართველ ქალებს, რათა ერისათვის პერმანენტული გამრავლებისა და გაძლიერების მთავარი შემოქმედი მოესპოთ. ამ სატანის მოციქულთა კვალდაკვალ ნაცმოელთა ლაწირაკებმა და საკუთარ დედებზე ერგებირებულმა „უბორნიის მჯღაბნელებმა“ ერთად მიიტანეს იერიში „საქართველოს დედაზე“, მაგრამ მის სიმაღლეს და სიდიადეს რომ ვერაფერი დააკლეს, ისევ იმ თავიანთ უბორნიებში დურთეს თავი.** საკვირველია, რომ ეს მუზმუზელა ქოცებიც ისე არიან გატრუნული, რომ თითქოს არც კი ესმოდეთ „ქართვლის დედისა“ და თავიანთი დედების დღელამური ლანძღვა-გინების ექო.

***

ნაც-ქოცების გენეტიკურ წინაპრებად განიხილებიან, აგრეთვე, დიდი აღმაშენებლის მკვლელები, რომლებიც გამუდმებით ესხმოდნენ თავს დიდ მეფეს **„რომელიმე ხრმლითა, რომელიმე შუბითა, სხვანი — ისრითა, მაგრამ არასოდეს მიუშვა ღმერთმან კვერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა“.**

მიხეილ პირდორბლიანმა და მისმა კაციჭამია ბანდამ გმირი მეფის ძვლები რომ ვერ მოიხელთეს დასახრავად, მოდგნენ და მისი ძეგლები დათხარეს ამერ და იმერ, წაბილწეს მისი სახელობის გამზირი და ააქოთეს მთელი აჭარა.

სამი წელია, რაც ნაცების იდეურ მემკვიდრეებად მოვლენილი ქოცები საბრალო ლილიპუტებივითი უვლიან გარს ქართველთა სწორუპოვარი გმირის ქანდაკებებს, მაგრამ, ხალხის დიდი სურვილის მიუხედავად, თურქმანთა შიშით მათ თავიანთ ადგილებზე დაბრუნებას ვერ ბედავენ...

ცხადია, **ნაცები და ქოცები, რომლებიც დიდგორზე დამარცხებული და დანარცხებული თურქების ჯავრს იყრიან დიდ დავითზე, ერთად არიან გასატანი ისტორიის სანაგვეზე.**

***

ნაცები და ქოცები გენიალური **ილიას მკვლელთა** გენეტიკური მემკვიდრეებიც არიან, რომლებიც წიწამურის ტევრებიდან გამოსული ტურებივით უღრჭენენ კბილებს ყოველივე ეროვნულს და ქართველი ხალხის სულიერი მამისა და მესაიდუმლის ხელახლა შეჭმას ლამობენ.

***

და კიდევ: ნაცები და ქოცები ლეგენდარული მამულიშვილისა და ეროვნული გმირის — **ზვიად გამსახურდიას** მკვლელებისა თუ „რამკიანი“ და „ურამკო“ ქუნცახების თანამზრახველებიც არიან, რომლებმაც თავიანთი მმართველობის თორმეტი წლის განმავლობაში ტაბუ დაადეს ხალხის საყვარელი ლიდერის სახელს, ხოლო მის ნაგვემ, ნაწამებ და ნატყვიარ სხეულს ისე უზრად მიაყარეს მიწა, რომ თითქოს ვიღაც ერთი უპატრონო ბოგანო დამარხეს. მაგრამ ზვიად გამსახურდია ის მკვდარია, რომელიც ათასობით ცოცხალ მოქკავშირელსა და ნაც-ქოცელს ნეკით გადაწონის.

***

მოკლედ, **ნაცებისა და ქოცების მიერ დასახიჩრებული, დასაჭურისებული და დაჩმორებული საქართველო, რომლის ბალავერშიც შავი მორიელივითაა ჩაბუდებული ჩვენთვის საფიცარი „ქართვლის დედის“, უბადლო დავით აღმაშენებლის, გენიალური ილია ჭავჭავაძისა და ლეგენდარული ზვიად გამსახურდიას სიძულვილი, ვერც ვერასდროს აშენდება და ვერც ვერასდროს გაიხარებს, რადგან იგი ბიბლიური ბაბილონის გოდოლივითაა განწირული ჩამოსანგრევად...**

ისიც ცხადია, რომ დაჩოქილი ქართველი დიდხანს ვერ შეეგუება თავისი ეროვნული და პიროვნული ღირსების ლაფში თრევას და ამ ულმერთობის მოშამბული ჭაობიდან თავად გაიკვლევს გზას ტაძრისკენ — საკუთარი ჯიშისა და მოდგმის გადასარჩენად.

***

ერთი კოლხური ლეგენდა საქართველოს დღევანდელი აოხრების პანორამულ სურათს ასახავს და ამ განსაცდელისგან თავდახსნის გზაზეც მიგვანიშნებს ალეგორიული ქვეტექსტით:

**წყალდიდობამ და ღვარცოფმა გაანადგურა სოფელი ნაჭყვედი... შავჩოხიანი სატანისა და კუდიანი ხვარამზეს შობილი მორგვისოდენა მორიელი დაერია სოფელს შხამის ნთხევით... ორას ორმოცი კუბო გაიტანეს ხარბედიებისა და ბისკაიების სახლებიდან... მორიელისგან დაშინებული და დამშეული ხალხი უგზოუკვლოდ გარბოდა ტყეღრეში... აღარ იყო ხვნა-თესვა... აღარ გაისმოდა ტკბილი მეგრული „ნადური“ და „ოხოხოია“...**

**ბოლოს სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიას მიაშურა გამწარებულმა მრევლმა... აღსარება თქვეს, ცოდვები მოინანიეს და შენდობა მიიღეს უზენაესისგან. ხალხმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა წმინდანის რჩევით ბალავრამდე მოანგრიეს კუდიანი ხვარამზეს სახლი და ლახვარი ჩასცეს იქ ჩაბუდებულ მორგვისოდენა მორიელს.**

როგორც ჩანს, ოდითგანვე ქაჯების, ეშმაკებისა და მორიელების წინააღმდეგ მებრძოლმა საქართველომ ფარხმალი დაყარა და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ დღეს დემონური ძალები ბნელ სოროებში კი არ იმალებიან, არამედ თავზე აზიან ცხვრის ფარასავით დამფრთხალ ქართველ ხალხს და არსებობის ყველა გზას უჭრიან, ალებ-მიცემობის გარდა.

**ლეგენდა შთაგვაგონებს, რომ დემონური ძალების განადგურება ერის ერთიანობით, მისი სულიერი და ზნეობრივი კათარზისით, ღვთის უზენაესი ნებით და შეუპოვარი ბრძოლითაა შესაძლებელი; ხოლო წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ყველა შინაური და გარეშე მტერი, რომლებიც მორიელის შხამში გავლებულ მახვილს უქნევს ქართველ ერს და სრულიად საქართველოს, მახვილითვე უნდა შეიმუსროს.**

ეს იქნება საღვთო ბრძოლა თვით განგების მიერ ბოძებული მესიის მახვილით.

**აკი ადამიანთა არაადამიანობით განრისხებულ ღმერთს ერთხელ ხმამაღლა აღმოხდა კიდეც: ნურავის ჰგონია, რომ მოვედი... მოფენად მშვიდობისა.**

**მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი ამ ქვეყანადო!**

**თამაზ მუშკუდიანი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნიკო მარის სამეცნიერო თუ პოლიტიკურ იერარქიულ კიბეზე მსვლელობაში ნათლად იკვეთება უხილავი ძლიერი ხელი. მარის კოსმოსურმა გონმა ყოველგვარი სიძნელე დაუბრკოლებლად გადალახა და გოლიათი მეცნიერი გახდა.**

# სტალინი და ნიკო მარი

დასასრული. დასაწყისი იხ. №3 (332)

**1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა სტუდენტი ნიკო მარის პირველი მეცნიერული ნაშრომი: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“;. საგულისხმოა, რომ ამ სტატიის გამოქვეყნებას მტრულად შეხვდნენ. ქართული ენის ლექტორმა ახალგაზრდა ნიკო მარის სახით მეტოქე დაინახა. მომავალ მეცნიერს კი სხვა მიზნები ჰქონდა და იგი იძულებული შეიქნა, თავისი მოღვაწეობა „იატაკქვეშ“ გადაეტანა.**

...იგი პეტერბურგში დაბრუნდა (როგორც ჩანს, ცოტა გაწბილებული) და დათანხმდა სომეხი პროფესორის ი. პატკანოვის (წინა წერილში,სამწუხაროდ, გაიპარა კორექტურული შეცდომა: პაკანოვის ნაცვლად უნდა იყოს პატკანოვი) წინადადებას — მომზადებულიყო სომხური სიტყვიერების, ენისა და ლიტერატურის პროფესორად.

*** 1891 წელს ნიკო მარი დაინიშნა უნივერსიტეტის პრივატდოცენტად.**

* 1894-96 წლებში ნიკო მარი საფრანგეთსა და იტალიაში იმყოფებოდა; მუშაობდა სტრასბურის უნივერსიტეტსა და ვატიკანის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე, ვენეციაში.

*** 1900 წლიდან ასრულებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ექსტრაორდინარული პროფესორის მოვალეობას.**

* 1901 წელს დაიცვა მეცნიერების დოქტორის ხარისხი.

*** 1902 წელს მოაწყო ექსპედიცია სინას მთაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ ექსპედიციაში, რომლის მიზანი იყო ქართული ხელნაწერების შესწავლა, მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილი. ამავე წელს დაინიშნა ორდინარულ პროფესორად ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრაზე.**

* 1912 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

*** 1918 წელს ნიკო მარის თაოსნობით გაერთიანდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენებისა და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტები. ახალშექმნილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად ნიკო მარი დაინიშნა. ნიკო მარის წინადადებით, რაც სათანადო პროექტში გამოიხატა, არქეოლოგიური კომისიის ბაზაზე შეიქმნა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის აკადემია“.**

* 1921 წელს ნიკო მარის თაოსნობით შეიქმნა „იაფეტური ინსტიტუტი“, რომლის დირექტორად თვითონ დაინიშნა და რომელიც შემდგომ გადაკეთდა ენისა და აზროვნების ინსტიტუტად.

*** 1923-30 წლებში ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორია.**

* 1928 წელს ნიკო მარი ლენინის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

*** 1929 წელს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, 1931 წელს კი წევრად აირჩიეს.**

* 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნიკო მარი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი“ (აკადემიკოსი როინ მეტრეველი. „მსოფლიო მეცნიერი ქართული სახლიდან“, 2016 წელი, გვ. 16-17).

ნიკო მარის სამეცნიერო თუ პოლიტიკურ იერარქიულ კიბეზე მსვლელობაში ნათლად იკვეთება უხილავი ძლიერი ხელი. მარის კოსმოსურმა გონმა ყოველგვარი სიძნელე დაუბრკოლებლად გადალახა და გოლიათი მეცნიერი გახდა.

მარი მარზე დაჯდა და მარულით გააჭენა. ეს მარის გამოთქმის გამეორებაა, რაც ჩინური და ჩრდილო ამერიკული ინდიელების ენის შესწავლის შემდეგ წარმოთქვა:

„...რა არის ეს? სადაც არ გაიხედავ-ყველგან იაფეტიდები?! იაფეტიდები იაფეტიდებზე ზის და იაფეტიდით მიაჭენებს“ (მერაბ ბაბუხადია. „ნ. მარის ლინგვისტური მოძღვრება და ენათა ტიპოლოგია“, 2005 წ., გვ. 48).

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი და სხვა მრავალი თანამდებობისა და ტიტულის მქონე ნიკო მარი 1932 წლის დასაწყისში წერილით მიმართავს სტალინს, რომლის დედანიც, სამწუხაროდ, ჯერ არ უპოვიათ სტალინის არქივში, მაგრამ მე მოგაწვდით დედანის ასლს წერილისა, რომელიც სტალინმა მისწერა ნიკო მარს. მეტი სანდოობისთვის ტექსტის ასლს რუსულ ენაზე გთავაზობთ:

**„Копия.**

**Товарищу Марр.**

**Очень извиняюсь, многоуважаемый Николай Яковлевич, что не имею сейчас возможности удовлетворить Вашу просьбу. Подготовительная работа к предстоящей всесоюзной партконференции поглощает у меня все рабочее время и не дает возможности заниматься другими делами.**

**После конференции я, конечно, смогу выкроить минут 40-50. Если это устраивает Вас, я охотно побеседую с Вами. Что касается дня приема, могу сообщить Вам об этом дополнительно приблизительно дня через два по окончании конференции.**

**Готовый к услугам И. Сталин.**

**20.I.32 г. “**

ნიკო მარმა სტალინის წერილს წერილითვე უპასუხა, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

**„Ленинград, 26.I.32 г.**

**Многоуважаемый Иосиф Виссарионович!**



ნიკო მარი

**ნიკო მარი თავისი უდიდესი ინტუიციითა და კოსმოსური გონით აცვიფრებდა არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ თავის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს**

**Премного благодарен за ответ. Ваше предложение, конечно, вполне устраивает. Я буду ждать. Могу себе представить, как Вам дорога каждая минута, когда я потерял представление о времени, точно в первобытном обществе, не различавшем еще утра и вечера иначе, как по производству, связанному с тем или иным отрезком времени без представления еще об его длительности. У Вас, однако, время расходуется на дело, на строительство, а у меня на отвлекающие от и теоретического, и практического технически и общественно научного дела бесплодные разговоры в комиссиях, подкомиссиях, совещаниях и т.д.**

**С неизменным уважением и товарищеским приветом Марр**

**Адрес: Ленинград, 7 линия, д. 2, кв. 17 (тел.5-48-43).**

**Тел. авт. В-1.70.82. (Только 7 и 8 в Москве, Институт Народов Востока, Берсеневская наб., 120) (М. Леушин СТАЛИН И МАРР: ТРИ АРХИВНЫХ ДОКУМЕНТА) (Логос. — М., 2001. - № 4).**

მ. ლეუშინის მიერ მოპოვებული მესამე მასალა 1950 წელს გამართულ დისკუსიას ეხება, რომელზეც შემდგომ გვექნება საუბარი.

არ არის მოპოვებული სტალინისა და ნიკო მარის შეხვედრის მასალები, მაგრამ ვარწმუნებ მკითხველს, თუ საშუალება მომეცემა, ჩავიდე მოსკოვში, მოვახერხებ, მივიდე იქ, სადაც მოვიპოვებ აღნიშნულ მასალებს და მივაწვდი დაინტერესებულ მკითხველს.

**ნიკო მარი თავისი უდიდესი ინტუიციითა და კოსმოსური გონით აცვიფრებდა არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ თავის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს.** მარის მოწაფე და შემდგომში დიდი მეცნიერი და მკვლევარი პროფესორი **ვასილი აბაევი** სწერდა:

„მარის შინაგანი შემოქმედებითი ცენტრი მუშაობდა, როგორც მუდმივმოქმედი ვულკანი, მაგრამ მისი შემაკავებელი სამუხრუჭე სისტემა ვერ უძლებდა მოწოლილ ახალ იდეებს და ახლის ძიებაში ძველი უკონტროლოდ რჩებოდა“.

1912 წელს კავკასიაში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური მასალების გამო რუსეთის საიმპერატორო აკადემიამ იგი უცერემონიოდ აირჩია თავის ნამდვილ წევრად.

გარდა უნიკალური გათხრებისა და ლინგვისტური თუ ლიტერატურული კვლევებისა, ნიკო მარს შემუშავებული ჰქონდა რუსული საზღვაო ფლოტის განვითარების კონცეფცია, რის გამოც მას სამოქალაქო გენერალ-მაიორის წოდება და საზღვაო ფლოტის საპატიო წევრობა ჰქონდა მინიჭებული და ითვლებოდა საიმპერატორო მრჩევლად.

ღრმად მორწმუნე ნიკო მარი პეტერბურგის ქართული მონასრტრის „სტაროსტადაც“ კი ითვლებოდა.

**ყველა ღირსება და დიდებაგამოვლილი, მრავალ სამეცნიერო ბატალიებში ნაბრძოლი და ყველგან გამარჯვებული ნიკო მარის მაჯისცემა 1934 წლის 19 და 20 დეკემბრის გასაყარზე, 00 საათსა და 40 წუთზე, შეწყდა. იმ მომენტში ნიკო მარი 70 წლისა იყო...**

მოქმედმა ვულკანმა დროებით შეისვენა. თითქოს დამშვიდდა. ვულკანთან ახლოს მობინადრე მწიგნობარ და უწიგნურ მეცნიერთა დაბა-სოფელი.

გარდაცვალებიდან 20 წუთში, ზუსტად პირველ საათსა და 00 წუთზე, კრემლიდან სმოლნში ტელეფონის ზარმა დარეკა. — უწყვეტ რეჟიმში უნდა დაწყებულიყო მოსამზადებელი საორგანიზაციო სამუშაოები ნიკო მარის უკვდავსაყოფად.

ღამის 2 საათზე საოლქო კომიტეტში მარის სახელობის აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან და საკავშირო აკადემიის პეტერბურგის ფილიალის ხელმძღვანელებთან ერთად დაიგეგმა სამგლოვიარო დღეების მიმდინარეობის ზუსტი გრაფიკი.

დილის გაზეთებმა ქვეყანას ამცნეს უდიდესი მეცნიერის და ადამიანის ნიკო მარის გარდაცვალება. სათანადო პროცედურების

შემდეგ ნიკო მარის ნეშტი გადასვენებული იქნა მისივე სახელობის აკადემიის მარმარილოს დარბაზში, სადაც რამდენიმე საორკესტრო გუნდი გაეწყო მუდმივ რეჟიმში სამგლოვიარო მუსიკის ასაჟღერებლად. მაღალ კვარცხლბეკზე დადგმულ კუბოს ამშვენებდა წითელ ხავერდით გაწყობილი გარემო, რომელიც შემოსილი იყო უამრავი ყვავილით.

გაზეთები ბეჭდავდენ სამთავრობო, თუ სამეცნიერო დაწესებულებათა დადგენილებებს, განკარგულებებს და ბრძანებებს აკდემიკოს ნიკო მარის სახელის უკვდავსაყოფად მისაღებ ღონისძიებებზე. საბჭოთა კავშირში გამომავალ ყველა წამყვანმა გაზეთმა გამოაქვეყნა აკადემიკოს ნიკო მარისადმი მიძღვნილი წერილები.

საქართველოში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მიერ 1934 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნებულ სამგლოვიარო წერილს ხელს აწერენ „ველიკიე უჩიონიე“:

**ლ. ალიაშვილი, კ. სულაქველიძე, ა. პაპავა, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ალ. ჯანელიძე, ალ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თორდია, ი. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ს. გეგენავა, ს. ყაუხჩიშვილი, კ. დონდუა, იუსტ. აბულაძე, შ. სიხარულიძე, ლ. ციხისთავი, ბ. ბუაჩიძე, ვ. ასათიანი, ს. ჯანაშია, მ. ზანდუკელი, ნ. ბერძენიშვილი, გიორგი წერეთელი ლ. მელიქსემბეკოვი, გ. ნიორაძე, ვ. კოტეტიშვილი, ს. ჟღენტი, ს. ჩხიკვიშვილი.**

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ დარჩენილა მეცნიერი, რომელსაც არ გაუზიარებია საბჭოთა მეცნიერების ეს დიდი მწუხარება.

უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა მეცნიერთა, თუ რიგით მოქალაქეთა ჯგუფები დიდი მეცნიერისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად.

22 დეკემბერს მარმარილოს დარბაზში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. არათუ სასახლე, გარშემო მდებარე ქუჩები ვერ იტევენ ხალხის უზარმაზარი ტალღის მოწოლას. იცვლება ბოლო საპატიო ყარაული და ნიკო მარის კუბოსთან დგებიან აკადემიკოსები: **პოზნერი** და **კოროლიოვი**, ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს. 2 საათი და 30 წუთზე აკადემიკოსები — **კომაროვი, სობოლევი, მეშანინოვი** და სხვები კუბოს მაღლა სწევენ და მიასვენებენ კატაფალკისაკენ.

პროცესია ლენინგრადის ცენტრალური პროსპექტით ალექსანდრეს ლავრისაკენ მიემართება. ნიკო მარის ცხედარს უკან მიჰყვება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის აკადემიის წარმომადგენელი. თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის სამეცნიერო თუ პარტიული ელიტა. პროცესიის მონაწილეთა საერთო რაოდენობა 70 000 კაცს აღემატება. პროცესიის მსვლელობამ 2 საათი და 30 წუთიდან 7 სთ-სა და 30 წუთამდე გასტანა. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, იქ, სადაც ნიკო მარის ცხედარი დაასვენეს, უზარმაზარი სამგლოვიარო მიტინგი ჩატარდა, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ სახელგანთქმული მეცნიერები და პარტიული ლიდერები. სამგლოვიარო მარშისა და სალუტის ფონზე აკადემიკოს ნიკო მარის კუბო საფლავში ჩაასვენეს...

**„მარისტები“ ჩვეულებრივად განაგრძობდნენ სიცოცხლეს იმ მეცნიერულ ქარტეხილებში, რომელშიც ცხოვრობდნენ თითქმის 50 წლის განმავლობაში. იმ განსხვავებით, რომ მიმოფანტული „ანტიმარისტები” თავიანთ ბუდეებს ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ. მაგრამ მცირდებოდნენ კიდეც, რადგან „მარისტები“ და „ანტიმარისტებიც“ თავიანთი სიცოცხლის გზის დასასრულს უახლოვდებოდნენ და ბრძოლა მიწისქვეშეთში „გრძელდებოდა“.**

**„ყვავი აღარ ჩხავის პეტერბურგიდან თავისი ყვანჩალით“, ისინი დღესაც ქართული მეცნიერების ბაირახტარებად რჩებიან, მაგრამ „ЧЕРНАЯ БЛАГОДАРНОСТЬ УЧЕНИКА“ კვლავ ძალაშია...**

გადასახლებულმა პროფესორმა **ვინოგრადოვამა** წერილი მისწერა სტა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი სტუმრებთან ოფიციალური იყო და რამდენიმე სერიოზული შენიშვნაც მისცა ახალგამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენლებს, რომლის მთავარი რედაქტორიც არნოლდ ჩიქობავა გახლდათ. ჩიქობავამ შენიშვნები გულწრფელად მიიღო.

◀ ლინს გაეთვალისწინებინა მისი მდგომარეობა და, როგორც მეცნიერისთვის, მიეცა თავისუფლება. სტალინმა ვინოგრადოვი შეიწყალა და გაათავისუფლა, მაგრამ მოსკოვიდან და ზოგიერთი სხვა დიდი ქალაქიდან 100 კილომეტრის დაშორებით უნდა ეცხოვრა. ასეც მოხდა, მაგრამ ვინოგრადოვმა სტალინს მეორე წერილით მიმართა, სადაც განმარტავდა, რომ მას არ ეძლევა საშუალება ისარგებლოს დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკებით, რის გამოც ხელი ეშლება სამეცნიერო მუშაობაში, რისთვისაც კვლავ მოსთხოვა დაერთო ნება ჩაწერილიყო თავისი მეუღლის ბინაში ქალაქ მოსკოვში.

სტალინმა განცხადებას წითელი ფანქრით წააწერა: „თანახმა ვარ. ი. სტალინი“.

სტალინის ხელმოწერის ქვეშ მოლოტოვის, ბერიას, კალინინისა და მალენკოვის ხელმოწერებიც გაჩნდა. ასე შემოვიდა ქალაქ მოსკოვში პირველი „ანტიმარისტი“ ვიქტორ ვინოგრადოვი.

1949 წლის 21 დეკემბერს დაბადებიდან 70 წელი უსრულდებოდა სტალინს. ამ ღირსსახსოვარი თარიღისათვის ემზადებოდა მთელი საბჭოეთი. იუბილის მომწყობი სახელმწიფო კომისიის წევრად შეყვანილი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი.** იგი ღრმად განათლებული პიროვნება და გერმანული ენის შესანიშნავი მცოდნე გახლდათ, რასაც მოწმობს არაჩვეულებრივ ქართულ ენაზე შესრულებული მისი თარგმანები **ჰაინეს** ნაწარმოებებისა.

ცეკას პირველი მდივანი მოსკოვში ცარიელი პორტფელით რომ არ ჩასულიყო, რადგან პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით სამეურნეო საქმიანობაზე საკითხების დაყენება უხერხული იქნებოდა, გადაწყვიტა, წაეღო მოხსენებითი ბარათი, რომელიც პროფესორ **არნოლდ ჩიქობავას** რჩევითა და დახმარებით სტალინის სახელზე იყო შედგენილი და ეხებოდა ენათმეცნიერების საკითხებს, კერძოდ — ნიკო მარის მოსაზრებების კრიტიკას.

ეს მოხსენებითი ბარათი სტალინის პირად მდივან პოსკრებიშევს 27 დეკემბერს ჩაბარდა. კანდიდ ჩარკვიანი ფიქრობდა, რომ სტალინი მოხსენებით ბარათს ახლო პერიოდში გაეცნობოდა. მაგრამ გადიოდა თვეები და სტალინისაგან არაფერი ისმოდა.

1950 წლის პირველი კვარტლის ბოლოს კანდიდ ჩარკვიანი სხვა საკითხების მოსაგვარებლად ჩავიდა მოსკოვში, სადაც სტალინთან პირისპირ შეხვედრამ მოუწია, მაგრამ ბელადს ენათმეცნიერების საკითხზე დაწერილ მოხსენებით ბარათზე ყურადღება არ გაუმახვილებია და ავტორმაც მიიჩნია, რომ სტალინმა მისი განხილვა საჭიროდ არ ჩათვალა.

იმის გათვალისწინებით, რომ სტალინს ფენომენური მეხსიერება ჰქონდა და ყველა საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ენათმეცნიერების საკითხებზე ის რეაგირებას არ აპირებდა და მით უმეტეს მის ფავორიტ ნიკო მარზე, რომლის გარდაცვალებიდანაც უკვე 16 წელი იყო გასული. სტალინი ცოცხლებთან ყოველთვის უფრო შემტევი და მებრძოლი იყო, ვიდრე მიცვალებულთან. მაგრამ, როგორც ირკვევა, სტალინის შეხვედრიდან გამოსულმა გაწბილებულმა პირველმა მდივანმა, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ თბილისში „ანტიმარისტები“, საქმეში ახალი ძალები ჩართო და საკითხი განაახლა, რაშიც სხვებთან ერთად აქტიური როლი უნდა ეთამაშა „ანტიმარისტ“ **ვიქტორ ვინოგრადოვსაც.**

იმავე წლის აპრილში, როგორც კანდიდ ჩარკვიანი იგონებს, კრემლიდან ზარი დაირეკა:

— წავიკითხე თქვენი ბარათი ენათმეცნიერების შესახებ საკითხი იმად ღირს, რომ დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. ჩამოდით მოსკოვში. ენათმეცნიერებიდან ვის ჩათვლით საჭიროდ, რომ წამოიყვანოთ?“

— პროფესორ ჩიქობავას, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე ისე, რომ არც დავფიქრებულვარ,— ის ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაჩინო სპეციალისტია და საკითხის გარკვევაში დიდ სარგებლობას მოიტანს.

—კარგი, ჩამოიყვანეთ“ (კანდიდ ჩარკვიანი. „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 100).

კანდიდ ჩარკვიანი და არნოლდ ჩიქობავა მოსკოვში გაემგზავრნენ. ჩასვლისთანავე პირადად პოსკრებიშევს მოახსენეს, რომ ისინი ჩასულები იყვნენ ქვეყნის დედაქალაქში. ორივე ერთად საღამოს სტალინის აგარაკ კუნცევოზე იყვნენ მიწვეულნი.

**სტალინი სტუმრებთან ოფიციალური იყო და რამდენიმე სერიოზული შენიშვნაც მისცა ახალგამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენლებს, რომლის მთავარი რედაქტორიც არნოლდ ჩიქობავა გახლდათ. ჩიქობავამ შენიშვნები გულწრფელად მიიღო.**

„სტალინმა ყურადღებით მოისმინა ჩიქობავას მოსაზრებები ენების მარისებური სტადიური კლასიფიკაციის წინაამდეგ, ზოგიერთ საკითხზე თავისი აზრიც გამოთქვა და ბოლოს მე მითხრა:

— რატომ აყენებთ საკითხს ისე, რომ მარის თეორიის კრიტიკით მხოლოდ საქართველოს პრესა გამოვიდეს? ეს არ არის ადგილობრივი, ლოკალური საკითხი. ის ცენტრალური პრესის ფურცლებზე უნდა გამოვიტანოთ, ამასთანავე, უნდა მოეწყოს არა ცალმხრივი კრიტიკული გამოსვლები მარის თეორიის წინააღმდეგ, არამედ დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც ყველა მიმართულების ენათმეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას.

— ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე მე“ (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 101).

გადაწყდა, სადისკუსიო წერილი პროფესორ არნოლდ ჩიქობავას დაეწერა, რომელიც სადისკუსიოდ გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდებოდა. მეორე დღესვე ჩიქობავამ მეორე დღესვე დაიწყო წერილის წერა. სტალინმა, მოსკოვში მყოფ კანდიდ ჩარკვიანს, როდესაც ის 10 დღის შემდეგ სხვა საკითხებზე შეხვდა სახელმწიფოს მეთაურს, ჰკითხა:

— როგორ მიდის ჩიქობავას საქმე?

—კარგად, ამხანაგო სტალინ, სტატია იწერება.

„ამის შემდეგ სტალინმა მაგიდიდან აიღო ჩემი ბარათი ენათმეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

— თუ გსურთ, შეგიძლიათ წაიღოთ, ჩვენ აქ ასლი დაგვრჩება, — მითხრა და გადმომცა. შევამჩნიე, რომ წერილის კიდეები შენიშვნებით იყო აჭრელებული. ძალიან გამეხარდა ამ სახით მისი უკან მიღება. მადლობა მოვახსენე სტალინს და დოკუმენტი საქაღალდეში ჩავდე“ (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 102).

**აქვე გთავაზობთ კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებით ბარათს, რომელიც ჩასწორებულია სტალინის მიერ.**

გავყვეთ შენიშვნებს:

„*იმ აბზაცის გვერდით, რომელშიც ნათქვამია, რომ მარის მიერ ქართული ენის თითქმის გაქვავებული ენების ჯგუფისთვის მიკუთვნება დამამცირებელია ქართული საბჭოთა კულტურისათვის, სტალინს მიუწერია ირონიული **„ხა-ხა-ხა“, — „თუ მარის ეს თეზისი მეცნიერულად დასაბუთებულია, იგი უნდა მივიღოთ: ჭეშმარიტების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ. ხოლო თუ ის, თქვენი აზრით, სწორი არ არის, თვითნებურია, მაშინ ამბიციას კი არ უნდა აჰყვეთ, არამედ თქვენი თვალსაზრისი მეცნიერული მსჯელობით უნდა დაამტკიცოთ“.**

მაშასადამე, სტალინი დაუშვებლად თვლიდა რაიმე მოსაზრებით მეცნიერთა დასკვნების უგულებელყოფას, მეცნიერული კრიტიკით გაბათილების ნაცვლად, მათ დისკრედიტაციას ემოციების მოშველიებით.

* „ორმაგი **„ხა-ხა-ხა“** დაუმსახურებია აბზაცს, სადაც მე ვამბობ, რომ, მარის სქემა თეორიულ იარაღს აწოდებს ანგლო-საქს იმპერიალისტებს, რომლებიც თავანთ ენას მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ენად აცხადებენ.

ჩემი ბარათის მე-5 პუნქტი შეიცავს მტკიცებას იმის შესახებ, რომ ხმელთაშუა ზღვის რაიონის დასავლეთ ნაწილში კაცობრიობის კულტურისა წარმოშობის მარისეული ჰიპოთეზა კიდევ ერთ არგუმენტს აძლევს ინგლისელ-ამერიკელ რასისტებს, ამტკიცონ „ატლანტიკელი“ ადამიანის უპირატესობა სხვა რასებზე. ამ პუნქტისათვის სტალინს მიუწერია:

„ინგლისელ-ამერიკელები არაფერ შუაში არიან“.

...სტალინმა სავსებით სწორად შენიშნა ბარათის ამ პუნქტის უსაფუძვლობა.

ბარათის მე-6 პუნქტისათვის, სადაც გაკრიტიკებულია მარის დასაბუთებები საბჭოთა ხალხების დამწერლობის ლათინურ ალფაბეტზე გადაყვანის სასარგებლოდ, სტალინს რამდენიმე რემარკა გაუკეთებია. იქ, სადაც ლაპარაკია წინათ არაბული დამწერლობის მქონე საბჭოთა ხალხებისთვის ლათინური ანბანის შემოღებაზე, მას კიდეზე მიუწერია: **„ეს წვრილმანია“.** იქ კი, სადაც მსგავსი წინადადებაა წამოყენებული ქართველებისათვის, შეუნიშნავს: **„რიფტი-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს“.** ამგვარად, ბარათის კითხვის პროცესში სტალინი თავდაპირველად საკმაოდ ლიბერალურად შეხვედრია მარის მოთხოვნებს ზოგიერთი საბჭოთა ხალხის ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ, მაგრამ, როცა იმ ადგილამდე მისულა, სადაც მოტანილია მარის სიტყვები — „სულერთია, ადრე თუ გვიან რუს ხალხს მოუხდება ამ ნაბიჯის გადადგმა“ — მისთვის მოთმინებას ულალატია. **„სისულელეა“,** — მიუწერია ამ ადგილის გასწვრივ სტალინს.

ბარათის დასკვნით ნაწილში ლაპარაკია მარის ფასდაუდებელ ღვაწლზე ქართული და სომხური ფილოლოგიის, კავკასიური ენების შესწავლის, კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის პრობლემების გაშუქებაში. სტალინს ამ ადგილას პირდაპირ მიუწერია:

**„მარის დამსახურება მხოლოდ ეს არ არის“** (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 103-104).

1950 წლის 9 მაისს „პრავდამ“ ორ გვერდზე მეტი დაუთმო არნოლდ ჩიქობავას სტატიას. ამით დაიწყო თავისუფალი დისკუსია საბჭოთა ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც სტალინმაც მიიღო მონაწილეობა.




**ყველა ღირსება და დიდებაგამოვლილი, მრავალ სამეცნიერო ბატალიებში ნაბრძოლი და ყველგან გამარჯვებული ნიკო მარის მაჯისცემა 1934 წლის 19 და 20 დეკემბრის გასაყარზე, 00 საათსა და 40 წუთზე, შეწყდა. იმ მომენტში ნიკო მარი 70 წლისა იყო...**


Товарищу СТАЛИНУ

О положении в области советского языкознания.





მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალზე მაღალია იმის ალბათობა, რომ კოსოვოში, რომლის ბედიც დიდწილად გადაწყვიტეს იმპერიულმა ძალებმა, კვლავ შეიქმნება დაძაბულობა. ვინც კი თვალს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს, არ გაუკვირდება, თუკი გაცხარებული სისხლისღვრის შემდეგ კოსოვო იქცევა რეგიონად, რომლის ტერიტორიაზეც აღმოცენდება ორი პატარა სახელმწიფო სხვადასხვა ეთნიკური საზოგადოებებით.**

# კოსოვო, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს აფეთქდეს

**ახლა მსოფლიოს ყურადღება ახლო აღმოსავლეთზეა მიჯაჭვული, ბალკანეთში კი, შესაძლოა, კვლავაც იფეთქოს ეთნიკურმა შეტაკებამ, თანაც, უფრო სისხლიანმა, ვიდრე წინა შემთხვევაში იყო.**

ქალაქი კოსოვსკა-მიტროვიცა სერბულ-ალბანური გათიშულობის სიმბოლოდ ითვლება კოსოვოში, რომელიც დასავლეთმა უკვე ფაქტის წინაშე დააყენა მისი დამოუკიდებლობის აღიარებით. სწორედ ამ ქალაქში მჟღავნდება ყველაზე მეტად სერბებსა და ალბანელებს შორის დაპირისპირება.

კოსოვოს პრობლემა არის ის, რომ მას შემდეგ, რაც გარკვეული იმპერიული პროექტის განხორციელების შედეგად რეგიონმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მასში მცხოვრებმა სერბებმა არ აღიარეს ალბანელების ბატონობა. **კოსოვოს სერბი მოსახლეობა 60 ათას ადამიანზე მეტს ითვლის და მათგან თითქმის ყველა ნაციონალია. სერბები კი დაჟინებით ირწმუნებიან, რომ კოსოვო სერბული მიწაა, რომელიც 1389 წელს ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. ისინი გაერთიანებული სერბეთისა და კოსოვოს მომხრეები არიან და ამ მიწას თავიანთ ისტორიულ ფუძედ მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ სერბები, უკვე რამდენიმე თვეა, აკონტროლებენ ორ სასაზღვრო პუნქტს კოსოვოსა და სერბეთს შორის, დამატებით სიმბოლურ დატვირთვას იძენს.**

სამხედრო ოპერაციამ, რომელიც ნატომ 1999 წელს „სერბების მხრიდან ძალადობის“ საბაბით დაიწყო, კიდევ უფრო გაამწვავა ეთნიკური კონფლიქტი. ალბანელებისგან სრულად გამოსაყოფად (სერბებს კატეგორიულად არ სურთ მათთან ერთად ცხოვრება) ისინი კოსოვოს ჩრდილოეთით დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებენ. ამასთანავე, კოსოვო, რომელმაც დამოუკიდებლობა გარკვეული შეთქმულების შედეგად მიიღო, არ აღიარა რუსეთმა, რაც დამატებით სტიმულს აძლევს სერბებს. თუკი დამოუკიდებლად გამოცხადდება ჩრდილოეთ კოსოვო, ამ სერბული რეგიონის დედაქალაქი კოსოვსკა-მიტროვიცა იქნება. საპასუხოდ ალბანელები მოითხოვენ დამოუკიდებელი ალბანური რესპუბლიკის შექმნას სერბეთის ტერიტორიაზე, პრეშევოს რეგიონში.

**„უცხოების“ მიმართ სიძულვილი ნაციონალიზმის ერთ-ერთი პრინციპია. ის არის კოსოვოშიც. ორივე მხარის ნაციონალისტები ხშირად ესხმიან თავს ერთმანეთის ნაგებობებს. იმ დროს, როდესაც ალბანელი ნაციონალისტები კოსოვოში ეკლესიებს წვავენ, სერბები ბელგრადში მეჩეთებს ანადგურებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთნიკური კონფლიქტი გარდაუვალად გასცდება კოსოვოს საზღვრებს.**






იუგოსლავია, რომელიც იმპერიული გეგმების წყალობით დაიშალა, ხალხთა ნამდვილი თანამეგობრობა იყო. ხორვატი წარმომავლობის სოციალისტმა **იოსიფ ბროზ ტიტომ** ეთნიკური პრობლემების გადაჭრა მოახერხა. 1974 წლის კონსტიტუციით, ალბანელებს, როგორც უმცირესობის წარმომადგენლებს, იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაფართოებული უფლებები მიეცათ. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ იმ ხალხებს შორის, რომლებიც ერთ დროს ერთიანი იყო, ნაციონალიზმის გარსში გახვეული ეთნიკური სიძულვილი განვითარდა.

ძალადობას სერბებიც მიმართავდნენ და ალბანელებიც.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ **კოსოვო აულაგმავი ძალადობის არენა იყო და ეს ძალადობა მომდინარეობდა ორივე მხარის ნაციონალისტებისგან. ნატომ ინტერვენცია სერბების მხრიდან განხორციელებადი ეთნიკური წმენდით ახსნა, მაგრამ სერბების წინააღმდეგ ძალადობას არც კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია ერიდებოდა.**

ძალზე მაღალია იმის ალბათობა, რომ კოსოვოში, რომლის ბედიც დიდწილად გადაწყვიტეს იმპერიულმა ძალებმა, კვლავ შეიქმნება დაძაბულობა. ვინც კი თვალს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს, არ გაუკვირდება, თუკი გაცხარებული სისხლისღვრის შემდეგ კოსოვო იქცევა რეგიონად, რომლის ტერიტორიაზეც აღმოცენდება ორი პატარა სახელმწიფო სხვადასხვა ეთნიკური საზოგადოებებით.

**Birgun**

# ჩინეთი აშშ-ს სანქციებით ემუქრება

**ვაშინგტონი იძულებული იქნება, თავი იმ ახალი რეალობისთვის შეამზადოს, როცა აშშ არა მხოლოდ სხვებს დაუწესებს სანქციებს, არამედ თვითონაც დაიცავს თავს მათგან. ამის შესახებ Reuters-ის საიტზე წერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი პიტერ ჰერელი.**

„ჩინეთის ბოლოდროინდელი მუქარა, რომ ის სანქციებს დააწესებს ამერიკული თავდაცვითი კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ტაივანზე ყიდიან იარაღს, არ უნდა აკვირვებდეს ამერიკელ ოფიციალურ პირებსა და კორპორაციების დირექტორებს: ვაშინგტონი ამგვარ სანქციებს თავადაც აწესებდა მრავალი წლის განმავლობაში. ის, რომ აშშ-ის მოწინააღმდეგეები მის ტაქტიკას გადაიღებდნენ, მხოლოდ დროის საკითხი იყო“, — განმარტავს ანალიტიკოსი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეგმების შესახებ, დააწესებინა სანქციები ამერიკული კომპანიების წინააღმდეგ, ცნობილი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გახდა. შესაბამისი განცხადება პეკინში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჩჟენ ძეგუანმა. „თავისი ნაციონალური ინტერესების დაცვის მიზნით, ჩინურმა მხარემ გადაწყვიტა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მათ შორის, შემოიღოს სანქციები ტაივანისთვის იარაღის მიწოდებაში მონაწილე კომპანიების წინააღმდეგ.“ — განაცხადა მან.

პიტერ ჰერელის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში პეკინის პოლიტიკა არის იმ ზომების ანარეკლი, რომლებიც აშშ-მა მიიღო ირანის წინააღმდეგ. 2010-დან 2015 წლამდე კომპანიების წინაშე იდგა ულტიმატუმი: თუკი ისინი აწარმოებდნენ აკრძალულ ბიზნესს ირანთან, დაკარგავდნენ ამერიკელებთან საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობას. კომპანიების უმეტესობა ვაშინგტონს ირჩევდა.

ახლა **ამერიკული კომპანიები იძულებული შეიქნებიან, არჩევანი გააკეთონ ტაივანსა და ჩინეთს შორის, რომლის ეკონომიკაც 20-ჯერ უფრო ძლიერია. ჰერელი აღნიშნავს, რომ ამერიკული კომპანიები არ ყიდიან სამხედრო ტექნიკას ჩინეთზე, სამაგიეროდ ყიდიან სამგზავრო თვითმფრინავებს, ავიანაწილებს და სხვა სამოქალაქო აღჭურვილობას. შესაძლოა, პეკინმა მათ ქვეყანაში მსგავსი გარიგებების რეალიზების საშუალება აღუკვეთოს.**



**უახლოეს მომავალში ვაშინგტონი იძულებული იქნება, არა მხოლოდ უარი თქვას სანქციების პოლიტიკაზე, არამედ დაიცვას თავი მათგან**

გარდა ამისა, ჩინეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზარია ისეთი ამერიკული კომპანიებისთვის, როგორებიც არიან Apple, MasterCard, Starbacks და სხვები. ჰერელის თქმით, ამ კომპანიებიდან თითოეულის ბიზნესში მინიმუმ ათი პროცენტი სწორედ ჩინეთზე მოდის.

მისივე განმარტებით, ჩინელ პოლიტიკოსებს ესმით, რომ ქვეყნის მზარდი ეკონომიკური და ფინანსური სიმძლავრის ფონზე სანქციების შესახებ მათი განცხადება სერიოზულად აღიქმება, ხოლო სხვა ქვეყნები, კერძოდ რუსეთი, ახლა შეისწავლიან იმ სფეროებს, რომლებშიც აშშ-სა და მის პარტნიორებზე შეიძლება ეკონომიკური ზეწოლის განხორციელება.

„ვაშინგტონს აქვს მძლავრი ანალიტიკური მექანიზმი, რომელიც შეიმუშავებს ახალ სანქციებს უცხოური მიზნებისთვის, სამაგიეროდ საკუთარი სისუსტეების ანალიზისათვის არაფერს აკეთებს“, — აღნიშნავს ექსპერტი.

**უახლოეს წლებში სანქციები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამერიკის საგარეო პოლიტიკაში და პეკინის მხრიდან წამოსული მუქარა აშშ-ს აიძულებს, აღიაროს, რომ ქვეყანას აქვს სუსტი ადგილები და ვაშინგტონს მოუწევს ზომების მიღება, რათა გაუმკლავდეს მათ.**

უახლოეს მომავალში ვაშინგტონი იძულებული იქნება, არა მხოლოდ უარი თქვას სანქციების პოლიტიკაზე, არამედ დაიცვას თავი მათგან.

**expert.ru**

**ამ პუბლიკაციის შემდეგ ყველაზე გულუბრყვილო ამერიკელიც კი უნდა მიხვდეს, რატომ იკავებს თავს აშშ ერ-რიადის კრიტიკისგან ადამიანის უფლებების დარღვევის, ადამიანთათვის თავების მოკვეთის, საზოგადოებაში ქალთა არასახარბიელო მდგომარეობისა და ვაჰაბისტური რეჟიმის სხვა ქმედებების გამო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ძველი პარტნიორი» ცსს-ს ფრთებქვეშ

**The New York Times-ში გამოქვეყნდა მასალა, რომელშიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობა „სირიული ოპოზიციის“ რაზმების მომზადებაშია მხილებული. როგორც გაირკვა, ცსს-ს პროგრამაში, რომელიც ობამამ 2013 წელს დაამტკიცა, უმნიშვნელოვანესი როლი საუდის არაბეთმა შეასრულა. საუდელები ანაზღაურებდნენ „ბოევიკების“ მომზადებისა და იარაღით მომარაგების ხარჯებს, ცსს კი წვრთნიდა „ამბოხებულებს“.**

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საუდის არაბეთზეა დამოკიდებული სირიელი „ამბოხებულების“ შეიარაღების საიდუმლო ოპერაციაში, რადგან სწორედ საუდის არაბეთის ფულს ეყრდნობა. ამის შესახებ The New York Times-ში **მარკ მაზეტი** და **მეტ აპუზო** წერენ.

როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, 2013 წელს პრეზიდენტმა ობამამ „საიდუმლოდ გასცა სანქცია“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოქმედებაზე, რომელიც მიმართული იყო სირიაში „ამბოხებულთათვის“ შეიარაღების მიწოდებისკენ. იმხანად ცსს-ის თანამშრომლებმა უკვე იცოდნენ, ვინ იწნებოდა მათი „პარტნიორი“, რომელიც დააფინანსებდა საიდუმლო ოპერაციას. ეს ცნობილი პარტნიორია, რომელიც აშშ-თან, უკვე არაერთი ათწლეულია, მეგობრობს — საუდის არაბეთი.

**ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და მისმა „კოლეგებმა“ საუდის არაბეთიდან აქამდე შეინარჩუნეს მიდგომა ოპერაციისადმი, რომლის კოდური სახელწოდებაა „სიკომორი“.**

გარიგების პირობების თანახმად, რომლებიც ჟურნალისტებს თეთრი სახლის ყოფილმა და ამჟამინდელმა მაღალჩინოსნებმა გაუმჟღავნეს, საუდელები იარაღს აწვდიდნენ და დიდი რაოდენობით ფულს იძლეოდნენ, ცსს კი წამყვან როლს ასრულებდა იმ ამბოხებულების მომზადებაში, რომლებიც „??-47-სა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს“ იყენებდნენ.

„შრომის განაწილების“ სქემა, ცხადია, ძველი და ნაცადია.

**„ძველი მიჯაჭვულობა“, რომელიც ეფუძნებოდა „იაფ ნავთობსა და გეოპოლიტიკას“, უკვე დიდი ხანია, აკავშირებს ამ ორ ქვეყანას, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს მიჯაჭვულობა შესუსტდა. უცხოურ ნავთობზე აშშ-ის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. საუდელებს კი არ მოეწონათ ობამას ადმინისტრაციის დიპლომატიური დაახლოება ირანთან.**

მიუხედავად ყველაფრისა, ძველი კავშირი შენარჩუნებულია. ის ახლაც აქტუალურია საუდის არაბეთის ფულისა და მთელი რიგი ურთიერთმოგების აღიარების წყალობით. **ნავთობის უზარმაზარი მარაგის გარდა, საუდის არაბეთი გამოდის, როგორც სუნიტი მუსლიმანების მსოფლიო ლიდერიც. სწორედ ამის გამოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ღიად არ აკრიტიკებს საუდის არაბეთს ადამიანის უფლებების დარღვევების, ქალების მიმართ დამოკიდებულებისა და მსოფლიოს უამრავი ტერორისტისთვის შთამაგონებელი ისლამის უკიდურესი ფორმების (ვაჰაბიზმი) მხარდაჭერის გამო. ობამას ადმინისტრაციამ არც კი დაგმო საუდის არაბეთში შიიტი მოძღვრისთვის თავის მოკვეთა.**

ცსს-ს ჯაშუშებთან საუდელთა „პარტნიორობის“ ხარისხი და მათი პირდაპირი ფინანსური დახმარების მასშტაბები არ ხმაურდება. შეფასებების თანახმად, ბოევიკების



გაწვრთნისა და შეიარაღების საერთო ღირებულება რამდენიმე მილიარდი დოლარით განისაზღვრება. „მათ ესმით, რომ ჩვენთან უნდა დაიჭირონ საქმე და ჩვენც გვესმის, რომ მათთან უნდა გვეჭიროს საქმე“, — გულახდილად განაცხადა ყოფილმა კონგრესმენმა, რესპუბლიკელმა მიჩიგანიდან **მაიკ როჯერსმა**, რომელიც წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო მაშინ, როდესაც ცსს-ს ოპერაცია ამოქმედდა. საიდუმლო პროგრამის დეტალების განხილვაზე როჯერსმა უარი განაცხადა.

საუდის „ძალისხმევას“ წარმართავდა **ბანდარ ბინ სულთანი**, რომელიც იმხანად სამეფოს დაზვერვის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა. სწორედ მის პერიოდში შეიძინეს საუდელებმა ათასობით AK-47 და მილიონობით ვაზნა აღმოსავლეთ ევროპაში სირიელი ამბოხებულებისთვის. ცსს-ს წარმომადგენლებმა ხელი შეუწყვეს ამ შესყიდვის ორგანიზებას საუდის არაბეთისთვის (ერთ-ერთი პირველია 2012 წლის დიდი გარიგება ხორვატიაში). რამდენიმე თვის შემდეგ ობამა დათანხმდა ცსს-ს „პირდაპირ შეიარაღებასა“ და იორდანიის ბაზებზე ამბოხებულების გაწვრთნაზე. პროგრამა „სიკომორში“ შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებმაც დაუშვა „ლეტალური“ იარაღის მიწოდება. სწორედ იმ მომენტიდან მოყოლებული ცსს დაკავებულია „ბოევიკების“ გაწვრთნით, საუდის არაბეთი კი აწარმოებს ფულად ოპერაციებს და „ამბოხებულებს“ აწვდის იარაღს, მათ შორის, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებსაც.

კიდევ ერთი დამხმარე ყატარია — ეს სახელმწიფო აფინანსებს სწავლებებს და ამ სწავლებებისთვის საკუთარი ბაზების ტერიტორიის გამოყენების ნებართვას იძლევა, მაგრამ, როგორც ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა ჟურნალისტებს აუხსნეს, ამჟამად ოპერაციაში ყველაზე დიდი წვლილი საუდის არაბეთს შეაქვს.

ჟურალისტები მიიჩნევენ, რომ უახლოეს მომავალში ცსს-სა და საუდელთა ალიანსი მხოლოდ განმტკიცდება. პრინცი **მუჰამედ ბენ ნაიფი**, საუდის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ბანდარ ბინ სულთანის შემდეგ განაგრძობს სირიელი ამბოხებულების შეიარაღებას, ცსს-ს დირექტორ **ჯონ ბრენანს** 1990 წლიდან იცნობს (ის ცსს-ს რეზიდენტი იყო). არსებობს ცნობები, რომ ეს ორი ადამიანი დღემდე მეგობრობს. არსებობს სხვა ცნობებიც, რომელთა თანახმადაც ბატონი ბრენანი, შრომობდა რა ერ-რიადში, წარმოადგენდა „ამერიკული ხელისუფლების ნამდვილ კერას სამეფოში“. ჟურნალისტებს ყოფილმა დიპლომატებმა შეახსენეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი განხილვები მუდამ ცსს-ს რეზიდენტურის გავლით ხდებოდა.

**ამ პუბლიკაციის შემდეგ ყველაზე გულუბრყვილო ამერიკელიც კი უნდა მიხვდეს, რატომ იკავებს თავს აშშ ერ-რიადის კრიტიკისგან ადამიანის უფლებების დარღვევის, ადამიანთათვის თავების მოკვეთის, საზოგადოებაში ქალთა არასახარბიელო მდგომარეობისა და ვაჰაბისტური რეჟიმის სხვა ქმედებების გამო.**

მიუხედავად საუდიტების მხრიდან ვაჰაბიზმისა და ტერორიზმის მუდმივი მხარდაჭერისა, ვაშინგტონი განაგრძობს მეგობრობას თავის ძველ პარტნიორთან, რომელთან ერთადაც შექმნა ნავთობდოლარი გასული საუკუნის 70-იან წლებში. ორი სახელმწიფოს — დამოკრატიულისა და მონარქისტულის — სადაზვერვო საზოგადოებების ამჟამინდელი მჭიდრო კავშირი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „განსაკუთრებულ“ აშშ-ს აქვს ერთადერთი ღირებულება: სარგებელი.

topwar.ru

# საერთოევროპელი მესაზღვრეების ორსახოვნება



**მიგრაციული კრიზისის პასუხად ევროპოლიტიკოსებმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს. მარტში იგეგმება სრულფასოვანი ზენაციონალური სასაზღვრო ჯარების შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევა ათას ხუთასი მესაზღვრე და მას ევროპული სასაზღვრო სააგენტო დაერქმევა.**

ჩეხეთის პრეზიდენტ მილოშ ზემანს კი გაეცინა ათას ხუთასი მესაზღვრისაგან რაზმის შექმნის ინიციატივაზე, მაგრამ აღიარა, რომ ეს ცუდი იდეა არ არის, უბრალოდ, მესაზღვრეთა რაოდენობა, სულ ცოტა, ცხრაჯერ უნდა გაიზარდოსო. „თუკი ევროკავშირის ყველა ქვეყანა გაგზავნის 500 ადამიანს, 14 ათასი ჯარისკაცი გვეყოლება.“ — აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა. 14 ათასი უკვე კარგია, მაგრამ არც საბრძოლო იარაღის დავიწყება ღირს. შეიძლება კიდევ შვიდი ათასი ძაღლის მოგროვებაც ევროპის საზღვრების უსაფრთხოებისთვის.

**მიგრანტების მოზღვავებით გამოწვეულმა კრიზისმა არა მხოლოდ ევროკავშირის შეზღუდული შესაძლებლობები (წინ აღუდგეს მასშტაბურ საგარეო საფრთხეებს) წარმოაჩინა, არამედ იმ გლობალური გეოპოლიტიკური პროცესის დაუსრულებლობაც, რომელსაც ცალკეული ქვეყნების მყიფე ერთობლიობა ახალ მთლიან სახელმწიფოდ უნდა ექცია.**

სისტემის წინააღმდეგობის მიზეზები ნათელი და გასაგებია. ახლა ევროპა 28 სახელმწიფოსგან შედგება. ეს არის 28 დამოუკიდებელი ხელისუფლება, 28 პარლამენტი, 28 რთული შეთანხმებების სისტემა ელიტურ და ბიზნესჯგუფებს შორის.

უნიტარულ სახელმწიფოში ყველა მათგანი დაიყვანება ადგილობრივი ადმინისტრაციის დონეზე. რაც მეტია სახელმწიფოს მასშტაბი, მით მეტი შესაძლებლობები აქვს მას, შექმნას იმდენი ძლიერი ადგილობრივი ელიტური დაჯგუფება, რამდენიც სურს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამერიკული შტატის ბიუჯეტი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტს აღემატება, აშშ-ის ფედერალური ხელისუფლება მათ თავის ჭკუაზე ატარებს.

ევროკავშირში სულ ორი პერსპექტივა არსებობს: ან თანაბრად დამოუკიდებელი 28 ხელისუფლების ჯოგში იქნები, ან ყველანი — გერმანიის დაქვემდებარებაში. საქმე ისაა, რომ „ყველას“ კატეგორიულად არ სურს ბერლინის მორჩილება, თვითონ გერმანელებს გფრ-ის შემადგენლობაში უცხო ტერიტორიის გაერთიანებაზე ფიქრისაც კი ეშინიათ, არადა, ამის გარეშე სხვის ტერიტორიებზე საკუთარი წესებისა და კანონების გავრცელებას ვერ შეძლებენ.

იდეა, რომ საზღვრების დაცვა „საერთოევროპულ სტრუქტურებს“ გადაეცეს, უკუსაგდები არაა. ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ვინ მივა პირველი ფინიშთან: არაბი მიგრანტები საბოლოოდ ჩარეცხავენ ამჟამინდელ ევროპას ამ სახით თუ ევროპა გარდაიქმნება ახალ ზესახელმწიფოებრივ შენადნობად და დაიმორჩილებს მიგრანტებს, თუნდაც მასობრივი დახვრეტების გზით, რადგან ევროპას წარმატების შანსი ჯერ კიდევ აქვს.

cont.ws

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2004-2013 წლებში კაპიტალის არალეგალურმა გადინებამ აზიის ქვეყნებიდან შეადგინა მთელი მსოფლიოს საეჭვო ოპერაციების მოცულობის 38,8%, ევროპის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც „განვითარებადის“ კატეგორიას მიეკუთვნება — 25,5%, დასავლეთ ნახევარსფეროდან — 20,0%. ამ სფეროს ფინანსურ ოპერაციებში ჩინეთი და რუსეთი ლიდერობენ.**

# აშშ-სა და ბრიტანეთში არარეზიდენტთა აქტივებს ამოწმებენ

**2015 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიაზაცია Global Financial Integrity (GFI)-მა გამოაქვეყნა ანგარიში Illicit Financial Flows from Developing Countries: 2004-2013, რომელიც კაპიტალის არალეგალურ გატანას ეხებოდა. კვლევა მოიცავს 2004-დან 2013 წლამდე პერიოდს და განვითარებად ქვეყნებს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებს, ასევე, პოსტსაბჭოთა სივრცეს (სულ 149 ქვეყანას).**



**დასავლეთში უკვე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ არალეგალური «ინვესტიციების» წინააღმდეგ ბრძოლას სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი. ეს განპირობებულია ჩინეთსა და რუსეთზე ზეწოლის დამატებითი ინსტრუმენტების ხელში ჩაგდების სურვილით. ამგვარი იარაღიდან ერთ-ერთად შეიძლება იქცეს ამ ქვეყნების წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ქონების კონფისკაცია ან ყადაღა**

10 წლის განმავლობაში კაპიტალის გაჟონვამ 7,85 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ამასთანავე, კაპიტალის არალეგალურად გატანის ტემპის ზრდამ ორჯერ გადააჭარბა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპს. ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, გაჟონვის მთავარი არხი არის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო დეკლარაციებთან დაკავშირებული მაქინაციები, საექსპორტო საქონლის ფასის დაკლება და საიმპორტო საქონელზე ფასის მატება (სახსრების არალეგალური გაჟონვის მთელი მოცულობის 83%).

**2004-2013 წლებში კაპიტალის არალეგალურმა გადინებამ აზიის ქვეყნებიდან შეადგინა მთელი მსოფლიოს საეჭვო ოპერაციების მოცულობის 38,8%, ევროპის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც „განვითარებადის“ კატეგორიას მიეკუთვნება — 25,5%, დასავლეთ ნახევარსფეროდან — 20,0%. ამ სფეროს ფინანსურ ოპერაციებში ჩინეთი და რუსეთი ლიდერობენ.**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან არალეგალურად გატანილ იქნა 1,392 ტრილიონი დოლარი, რუსეთიდან — 1,049 ტრილიონი დოლარი. ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთიდან კაპიტალის გატანის საშუალო მაჩვენებელი წელიწადში დაახლოებით 105 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ეს ბევრია. 2014 წელს რუსეთის ბანკმა ქვეყნიდან ოფიციალურად 153 მილიარდი დოლარის გადინება აღრიცხა, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

**კაპიტალის არალეგალურ გატანაში ქვეყნების პირველ ათეულში შედის (მილიარდი დოლარი ათწლეულის განმავლობაში) მექსიკა — 528,4; ინდოეთი — 510,2; მალაიზია — 418,5; ბრაზილია — 226,6; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — 209,2; ტაილანდი — 191,7; ინდონეზია — 180,7; ნიგერია — 178,0.**

კაპიტალის მასშტაბური გადინება რუსეთიდან (საბჭოთა კავშირიდან) ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც გაუქმდა სახელმწიფო სავალუტო მონოპოლია, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია, როდესაც საწარმოებმა მიიღეს უფლება, თავისუფლად გასულიყვნენ მსოფლიო ბაზარზე. სწორედ მაშინ აყვავდა საბიუჯეტო სფეროებიდან ფულის გატანის სქემები. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ 1989 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკას წარმატებით ანადგურებდნენ, დიდი შვიდეულის ლიდერებმა წამოაყენეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ფინანსური ზომების შემუშავების ინიციატივა. ამჟამად მსოფლიოში არსებობს 228 ნაციონალური სისტემა, რომლებიც ეწინააღმდეგება დამნაშავეობრივ შემოსავლებს და ფინანსურ ტერორიზმს და ყველა მათგანი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ფინანსური ზომების შემუშავების ჯგუფის არაფორმალური პატრონაჟის ქვეშაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ხელი მოეწერა უამრავ საერთაშორისო კონვენციასა და შეთანხმებას ქვეყნებს შორის კაპიტალის არალეგალური გადაადგილების აღსაკვეთად, მიღებულია უამრავი ნაციონალური კანონი ფულის გათეთრების, „შავი“ ბიზნესების წინააღმდეგ, კაპიტალის არალეგალური დინებები მხოლოდ იზრდება. ამის გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც ქვეყნებს, რომლებიდანაც გადის კაპიტალი, ასევე იმ ქვეყნებსაც, რომლებიც იღებენ ამ კაპიტალს. რა თქმა უნდა, **კაპიტალის ნაწილი ოფშორებში მიდის, მაგრამ ოფშორების დიდი ნაწილს აშშ- და დიდი ბრიტანეთი აკონტროლებს.**



ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასავლეთი კაპიტალის არალეგალური ტრანსსასაზღვრო მოძრაობის აღკვეთის საკითხს საკმაოდ ფორმალურად უდგებოდა. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნისვის არალეგალური კაპიტალის შედინება მასშტაბებით „თეთრი“ ინვესტიციებით მიღებულ შემოსავლებს უტოლდება.

მაგრამ ახლა მდგომარეობა იცვლება. **დასავლეთში უკვე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ არალეგალური „ინვესტიციების“ წინააღმდეგ ბრძოლას სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი. ეს განპირობებულია ჩინეთსა და რუსეთზე ზეწოლის დამატებითი ინსტრუმენტების ხელში ჩაგდების სურვილით. ამგვარი იარაღიდან ერთ-ერთად შეიძლება იქცეს ამ ქვეყნების წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ქონების კონფისკაცია ან ყადაღა.** კონფისკაციის აქტივების სახით, პირველ რიგში, განიხილება საეჭვო ხასიათის აქტივები, არადა, ამავე აქტივების „საეჭვოობა“ გარკვეულ დრომდე დასავლეთში არავის აღელვებდა. დიდი ბრიტანეთი და აშშ სხვებზე ადრე შეუდგნენ ექსპროპრიაციას. ამ ქვეყნებში არალეგალური „ინვესტიციების“ ძირითადი ფორმებია საბანკო დეპოზიტები, აქციები და სხვა კორპორატიული ქაღალდები, უძრავი ქონება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ბრიტანეთის ბანკებმა არარეზიდენტებისაგან, ოღონდ მხოლოდ რუსული წარმომავლობის არარეზიდენტებისაგან, მოითხოვეს, წარედგინათ ანგარიშები იმ ფულის წარმომავლობის შესახებ, რომლებიც ამ ბანკების ანგარიშებზე იყო. ბანკის კლიენტები გააფრთხილეს: თუკი შემოსავლების კანონიერების დამადასტურებელ მტკიცებულებებს არ წარადგენდნენ, ანგარიშები გაიყინებოდა, თანაც, ამას სასამართლოს გადაწყვეტილებაც კი არ დასჭირდებოდა. ამის შემდეგ კი ანგარიშის მფლობელი საკუთარი გაყინული ანგარიშიდან ფულის ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ გატანას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეძლებდა. რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ რუსების სახსრების კონფისკაცია და ანგარიშების გაყინვა ადრეც ხდებოდა, მაგრამ აქამდე ეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

**2016 წლის იანვარში აშშ-მა გადაწყვიტა, არალეგალური „ინვესტიციების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულიყო. ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 1 მარტიდან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი FIN-CEN-ი (FINANCIAL CRIMES ENFORCEMENT NETWORK), რომელსაც ხალხი ფინანსურ დაზვერვას უწოდებს, იწყებს ნაღდი ფულით შეძენილი ფეშენებელური უძრავი ქონების გარიგებების შემოწმებას. პირველ ეტაპზე შემოწმებას დაექვემდებარება მანჰეტენის და ფლორიდის შტატის სამხრეთით მდებარე მაიამი-დეიდის მთელი ძვირად ღირებული უძრავი ქონება.**

აშშ-ში უძრავი ქონების 80%-ს კრედიტით ყიდულობენ, ამგვარი გარიგებები აბსოლუტურად გამჭვირვალეა. ამავე დროს მყიდველები, რომელთაც ნაღდი ფულით სურთ გადახდა, შეიძლება ანონიმებად დარჩნენ.

აშშ-ში გაჩნდა სპეციალური კომპანიები, რომლებიც ამგვარ პირებს ეხმარებოდნენ უძრავი ქონების ანონიმურად შეძენაში. არავის უჩნდება ეჭვი, რომ ანონიმური გარიგებების, სულ მცირე, 90% არარეზიდენტთა ინტერესების სასიკეთოდ ხორციელდებოდა. ანონიმებს ისიც კი არ აღელვებდათ, რომ ამგვარი გარიგებების გამო უძრავი ქონებისთვის გაცილებით მეტი გადასახადები უნდა გადაეხადათ. მდიდარი უცხოელი კლიენტები მზად არიან, კონფიდენციალობისთვის ფული დახარჯონ. ექსპერტების აზრით, ანონიმური გარიგებების შესაძლებლობის შენარჩუნებამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო ამერიკული უძრავი ▶

მოკლედ



## ირანმა Airbus-თან 25 მილიარდი დოლარიანი შეთანხმება გააფორმა

**ირანმა Airbus-თან გააფორმა 25 მილიარდი აშშ დოლარიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ქვეყანა კომპანიისგან 118 თვითმფრინავს შეიძენს.** შეთანხმებას ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის საფრანგეთში ვიზიტის დროს მოეწერა ხელი. შეთანხმების მიხედვით, ირანი მსოფლიოში უდიდეს 12 ერთეულ სამგზავრო თვითმფინავს — A380-ს ყიდულობს. შეთანხმება ითვალისწინებს პილოტებისა და აეროპორტების პერსონალის მომზადებასაც.



**გერმანიის ორად გაყოფის შემდეგ, 1961 წლამდე პერიოდში, მისი აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთისაკენ, სხვადასხვა შეფასებით, დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანი გაიქცა. ეს მთელი მოსახლეობის 20%-ს შეადგენდა, ისინი, ძირითადად, იყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც საკუთარ ქვეყანაში კარგი განათლება მიიღეს. ხელისუფლება იძულებული შეიქნა, 1961 წლის აგვისტოში აღემართა სახელგანთქმული ბერლინის კედელი — „რკინის ფარდის“ ხილული განსხვავება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაქცევა გრძელდებოდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ქონების ბაზრის აღდგენას 2007-2008 წლების კრიზისის შემდეგ.

კამპანიის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო აპირებს, დაიწყოს მეორე ფაზა: გამოავლინოს ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) და კალიფორნიაში მდებარე უძრავი ქონების ანონიმი მფლობელები. შედარებით შორ მომავალში დაგეგმილია შემოწმებები დელავერში, ნევადასა და ვაიომინგში. აღნიშნულ შტატებში ანონიმი ინვესტორებისთვის ყველაზე სასიკეთო რეჟიმია. ეს საშუალებას იძლევა, შტატების ბიუჯეტებში კარგი ფული შევიდეს ელიტური უძრავი ქონების გაყიდვებიდან. განსაკუთრებულადაა სამიზნეში ამოღებული ლას-ვეგასი (ნევადას შტატი), რომელიც მთელი მსოფლიოს კორუფციონერებისა და ჩრდილოვანი ბიზნესმენებისთვის ნამდვილ მექად იქცა.

ფორმალურად ფინანსური დაზვერვა არ აპირებს, დამოუკიდებლად ეძებოს ანონიმი ინვესტორები ან უძრავი ქონების ყიდვის გარიგებების საბოლოო ბენეფიციარები. ის პირდაპირ რიელტორ კომპანიებთანაც კი არ იმუშავებს, რადგან მათ შეუძლიათ ინფორმაცია ჰქონდეთ მხოლოდ სპეციალურ კომპანიებზე, რომლებიც საბოლოო ბენეფიციარების სასიკეთოდ მოქმედებენ. გარიგებების მთელი ჯაჭვის ამუშავება საკმაოდ რთული საქმეა.

**უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების სქემებში სუსტი რგოლი აღმოჩნდა სადაზღვევო კომპანიები, რომელთა გარეშეც ვერც ერთი გარიგება ვერ შესრულდება. სწორედ ისინი ფლობენ ინფორმაციას ბენეფიციარებზე, რომლებსაც უნდა გადაუხადონ სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სწორედ სადაზღვევო კომპანიებს უგზავნის ფინანსთა სამინისტრო მოთხოვნებს, გაამხილონ ელიტური უძრავი ქონების რეალური მფლობელების ვინაობა.**

წარმოვიდგინოთ, რომ აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო იღებს ამგვარ ინფორმაციას. რა მოხდება ამის შემდგომ? მფლობელთა გამოვლინებას სასამართლო სანქციები უმალვე ვერ მოჰყვება. შემდგომი ნაბიჯი იქნება მფლობელისა და მისი საკუთრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მასმედიის საშუალებებში. ეს იქნება რაღაც სახალხო კომპრომატის მსგავსი იმ იმედით, რომ გამოძიების ესტაფეტას გადაიბარებენ იმ ქვეყნის ანტიკორუფციული ან სხვა უწყებები, რომლიდანაცაა საბოლოო ბენეფიციარი. ჯერ კიდევ კამპანიის დაწყებამდე ექსპერტები შემოწმების შედეგებს წინასწარმეტყველებენ: საბოლოო ბენეფიციართა უდიდესი ნაწილი ჩინეთიდან და რუსეთიდან იქნება.

**ექსპერტები, აგრეთვე, არ გამორიცხავენ, რომ ამგვარ პირებზე ინფორმაციის გამჟღავნება, შესაძლოა, შერჩევით მოხდეს. მაგალითად, თუკი საქმე ეხება მაღალი რანგის მოქმედ მაღალჩინოსანს, მიღებული კომპრომატი, შესაძლოა, არ გამოქვეყნდეს და ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გამოყენებულ იქნეს ამ პირის გადასაბირებლად.**

ყურადღებას იპყრობს არალეგალური ქონების წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული მოდელის თავისებურებები. უკვე დიდი ხანია, ევროპაში (გარდა დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიისა) აქცენტი გაკეთდა ეკონომიკაში არალეგალური კაპიტალის შეღწევაზე. სისტემაში შესასვლელად სპეციალური ფილტრები შეიქმნა. აშშ-ში ამჟამად შესასვლელი ფილტრები არ არსებობს. აი, უახლესი მონაცემები:

ნიუ იორკის მერიამ გამოაცხადა, რომ მხოლოდ 2015 წლის მეორე ნახევარში მანჰეტენზე საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვის 1045 შემთხვევა დარეგისტრირდა. თითოეული მათგანის ღირებულება აღემატება სამ მილიონ დოლარს და, საერთო ჯამში, დაახლოებით 6,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მოკლედ რომ ითქვას, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ჩრდილოვანი კაპიტალისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა უკიდურესად პოლიტიზებულია. სინამდვილეში ეს არის დაბალანსება მთელი მსოფლიოდან კაპიტალის ნაკადებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო რეჟიმის შენარჩუნებასა და საზოგადოების ანტიკორუფციულ განწყობებს შორის, რათა ამერიკულმა და ბრიტანულმა ხელისუფლებებმა თავიანთი პოლიტიკური ამოცანები გადაჭრან.

**fondsk.ru**



# «ტვინების გაჟონვა»

**იარაღი ათასგვარი შეიძლება იყოს: ბირთვული, ქიმიური... იარაღს შეიძლება წარმოადგენდეს მოსახლეობის მიგრაციაც. ქვეყნიდან გაედინება გენები, მიდიან მწარმოებელი მამრები და მდედრები, ასევე — რეალური და პოტენციური მომხმარებლები, მშრომელი ხელები და ამასთანავე, „ჭკვიანი ტვინები“, რომლებიც ნებისმიერ ერში ცოტანი არიან.**




„ტვინის გაჟონვა“ არის მსოფლიო მიგრაციის პროცესი, რომლის დროსაც მეცნიერები და კვალიფიკაციის მაღალი დონის მქონე მუშები პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური მიზეზებით ტოვებენ სამშობლოს და სამუშაოდ საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ამგვარი გაჟონვა ხდება, ადგილი აქვს დიდ ეკონომიკურ, კულტურულ და, არცთუ იშვიათად, პოლიტიკურ ზარალს, მიმღები ქვეყნები კი ძვირად ღირებულ ინტელექტუალურ კაპიტალს იღებენ. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს ფინანსურ სფეროშიც. ქვეყნიდან კაპიტალის გატანისას ის ღარიბდება.

ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დასრულების შემდგომ პერიოდში გაჩნდა, როდესაც მეცნიერების დიდი ნაწილი ფაშისტური ქვეყნებიდან გაემგზავრა. დღეს კი აღნიშნული მოვლენა ყველაზე მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგალითად, ევროპის ქვეყნების ყოფილი კოლონიებისთვის აფრიკაში, კარიბის აუზის კუნძულებისთვის, აღმოსავლეთ ევროპის სოციალური ბანაკის ყოფილი ქვეყნებისთვის.

ჭკვიანი ადამიანები შევიწროებას ყველა დროში გაურბოდნენ. მაგალითად, IV-V საუკუნეებში ინდოეთში გაიქცა უამრავი ბერძენი მეცნიერი და იქ ბერძნული კულტურის გავლენა გაძლიერდა. იმ დროინდელი ზოგიერთი მათემატიკური ტერმინი ბერძნულის აშკარა კალკია, ამიტომ ითვლება, რომ იმ პერიოდში დაწერილი ნაშრომების ნაწილი სწორედ ემიგრანტი ბერძნების შექმნილია, მათი, ვინც ალექსანდრიიდან და ათონიდან რომის იმპერიისთვის დამახასიათებელ ქრისტიანულ რბევებს გაექცა.

იმავე **საფრანგეთში კვალიფიციური მშრომელი ძალის ქვეყნიდან გადინება პროვოცირებულ იქნა 1685 წელს, როდესაც მეფე ლუდოვიკო XIV გააუქმა პაპამისის — ჰენრიხ IV მიერ შემოღებული სახელგანთქმული ნანტის ედიქტი. რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკას ბოლო მოეღო, საფრანგეთი კათოლიკურ ქვეყნად იქცა, არაკათოლიკეებს კი ან ქვეყნიდან აძევებდნენ, ანდაც რწმენის გამო დევნიდნენ. შედეგად ჰუგენოტების კოლოსალური რაოდენობა — საფრანგეთში კი მათი რაოდენობა 200 ათასიდან მილიონამდე მერყეობდა — სხვა პროტესტანტულ სახელმწიფოებში გადასახლდა. არადა, უამრავი ჰუგენოტი მაღალი განათლების მქონე ადამიანი იყო და საფრანგეთის ეკონომიკაში არცთუ უკანასკნელ როლს ასრულებდა.**

**გერმანიის** ორად გაყოფის შემდეგ, 1961 წლამდე პერიოდში, მისი აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთისაკენ, სხვადასხვა შეფასებით, დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანი გაიქცა. ეს მთელი მოსახლეობის 20%-ს შეადგენდა, ისინი, ძირითადად, იყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც საკუთარ ქვეყანაში კარგი განათლება მიიღეს. ხელისუფლება იძულებული შეიქნა, 1961 წლის აგვისტოში აღემართა სახელგანთქმული ბერლინის კედელი — „რკინის ფარდის“ ხილული განსხეულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაქცევა გრძელდებოდა.

**დიდ ბრიტანეთში სამუშაოდ წავიდა უამრავი პოლონელი, მათგან 40%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა. ახლა ნაკლები პოლონელი ტოვებს ქვეყანას, მაგრამ წამსვლელები მაინც არიან.**

**რუსეთის ფედერაციის განათლებისა** და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, 1990-დან 2004 წლამდე რუსეთი დატოვა 25 ათასამდე მეცნიერმა, ხოლო 30 ათასი იქ მუშაობს გარკვეული დროით განსაზღვრული კონტრაქტების საფუძველზე. დღეს რუსეთში მეცნიერების სფეროში დაკავებულთა რაოდენობა 90-იანი წლების მაჩვენებლების დაახლოებით 40%-ს შეადგენს. გამოდის, რომ რუსეთმა მეცნიერთა 60% დაკარგა, სხვა ქვეყნებმა კი შეიძინეს. აქ გასათვალისწინებელია ბუნებრივი დანაკარგებიც და სხვა სფეროებში გადასვლაც. იმავე 1990-იან წლებში სკოლის მრავალი მასწავლებელი ბაზარში გადავიდა სავაჭროდ, ინჟინრები ყასბები და ზეინკლები გახდნენ. ცხადია, კარგია, როდესაც საზოგადოებას ჰყავს განათლებული მეღორეები, ფილოსოფოსი-მეტალისტები და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომის მქონე ბაზრის მცველები, მაგრამ ამგვარი „სპეციალიზაციისათვის“ საზოგადოება ძალიან ძვირს იხდის.

განათლებული ადამიანები მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებიდანაც: აპარტეიდის სისტემის გაუქმების შემდეგ **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან** განათლების მაღალი დონისა და კარგი პროფესიული მომზადების მქონე 1-დან 1,6-მდე მილიონი ადამიანი გავიდა. ექიმების 45% ემიგრირდა. ამასთანავე, ერთი სპეციალისტის წასვლამ დაახლოებით 10 არაკვალიფიციური მშრომელი დატოვა უმუშევრად. იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის საშიში პროცესი შეეჩერებინა, ქვეყნის ხელისუფლებამ სხვა ქვეყნებისაგან მოითხოვა, შეეწყვიტათ სამუშაოდ იმ ექიმების დაქირავება, რომლებმაც განათლება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიიღეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ყოველწლიურად აფრიკიდან 150 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური მუშა მიემგზავრება. 1980-დან 1991-მდე წლებში **ეთიოპიიდან** კვალიფიციური სპეციალისტების 75% გაემგზავრა, რამაც, როგორც მიიჩნევენ, განაპირობა კიდეც იქ სიღატაკე, რომელთან გამკლავებაც ვერა და ვერ ხერხდება. მხოლოდ ჩიკაგოში ახლა უფრო მეტი ეთიოპელი მეცნიერი მუშაობს, ვიდრე ეთიოპიაში.

„ტვინის გაჟონვისგან“ ძალიან დაზარალდა **ნიგერია** და **კენია.** ბევრი ექიმი გაემგზავრა განადან, ახლა იქ მხოლოდ 2 ათასი ექიმი ცხოვრობს, ანუ 11 ათას მოსახლეზე ქვეყანას მხოლოდ ერთი ექიმი ჰყავს. შედარებისათვის: აშშ-ში 2000 მოსახლეზე ერთი ექიმი მოდის. კარიბის აუზის კუნძულების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე საზღვარგარეთ ცხოვრობს.

შესაძლებელია თუ არა ამ პროცესის დამარცხება? კი, შესაძლებელია და თანაც ძალიან ადვილად: საჭიროა ადამიანებისთვის მაღალი ანაზღაურების გადახდა და მათგან რეალური წვლილის მოთხოვნა იმ საქმეში, რომელსაც ემსახურებიან, ანუ საჭიროა, მოეპყრო ჭკვიან ადამიანებს ისე, როგორც სახელმწიფოს მთავარ მონაპოვარს.

**topwar.ru**



მოკლედ



## შვედეთი რუსეთთან საომარ კონფლიქტს არ გამორიცხავს

**„შვედეთი სერიოზულ მეტოქესთან საომარი კონფლიქტისთვის მზად უნდა იყოს, რადგან ომი შეიძლება უახლოეს წლებში დაიწყოს“, — ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა Express-ი შვედეთის არმიის მთავარსარდლის — ანდერს ბრენსტრემის გამონათქვამებზე დაყრდნობით წერს.**

„უსაფრთხოების სფეროში სიტუაცია, რომელსაც ახლა შევეჯახეთ, მაფიქრებინებს, რომ რამდენიმე წელიწადში შეიძლება ომში ჩართული აღმოვჩნდეთ“, — ნათქვამია დოკუმენტში. გამოცემას ასევე მოჰყავს შვედეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის — ალან ვიდმანის სიტყვები, რომელიც რუსეთის მხრიდან აგრესიის არსებობაზე საუბრობს იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა არ არის ნატოს წევრი. „შვედეთი 200-წლიანი მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ, საომარი კონფლიქტისათვის მორალურად უნდა იყოს მზად“, — განაცხადა ვიდმანმა და აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, რუსეთთან კონფლიქტი ეკონომიკური მიზეზებით იქნება გამოწვეული.



კიდევაც დაიფიქრდებიან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვინც ჩემს ნაშრომებს გაეცნობა, მივა დასკვნამდე, რომ ძვალს უნივერსალურ თვისებებს უნდა ანიჭებდეს მასში შემავალი ის ელემენტები, რომელთა ატომების ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩემ მიერ აღმოჩენილი საოცარი თვისებების მქონე ელექტრონები“.**

# 13 წლის ქართველმა ვუნდერკინდმა მეცნიერები გააკვირვა

> „ყველა ჭეშმარიტება გადის სამ საფეხურს. თავდაპირველად მას დასცინიან, შემდეგ უხეშად თელავენ და ბოლოს — აღიარებენ, როგორც უდავო ჭეშმარიტებას“.
>
> არტურ შოპენჰაუერი

**13 წლის ქართველ ბიჭს — ლუკა ირემაშვილს 5 სამეცნიერო ნაშრომი აქვს დაწერილი კვანტური მექანიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პალეონტოლოგიის სფეროებში. ზოგი მეცნიერი თანხმდება, რომ ის გენიოსია, ზოგი კი დუმს. ლუკა თავის ნაშრომებს თვითონ თარგმნის ინგლისურ ენაზე და საერთაშორისო სამეცნიერო ვებგვერდებზე აქვეყნებს. ლუკას თითოეული ნაშრომი „საქპატენტშია“ რეგისტრირებული და მის სახელზე დეპონირების დამადასტურებელი მოწმობებია გაცემული.**



**— ლუკა, როდის დაინტერესდით კვანტური მექანიკით, პალეონტოლოგიით, ფსიქოლოგიითა და ფილოსოფიით? რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი ამ მეცნიერებების მიმართ?**

— 4 წლიდან დავინტერესდი კოსმოსით. იმხანად ჩემთვის თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა დარგი უცნობი იყო და მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ სამყაროში 14 მილიარდი წლის წინათ დიდი აფეთქების შედეგად წარმოიქმნა 92 ატომი. შემთხვევით შევესწარი ჩემი ძმისა და მისი მეგობრის კამათს ქრომის ატომის ჩამოყალიბებაზე. ვუსმენდი და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ისინი ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობ საკითხზე კამათობდნენ. იმ დღიდან მოსვენება დავკარგე, დავიწყე კვანტური მექანიკის ანაბანას შესწავლა. სწრაფად გავერკვიე კვანტური მექანიკის ძირითად დებულებებში და მეხუთე კლასში უკვე კარგად ვფლობდი კვანტური მექანიკის ენას. შემდგომ, როდესაც ჩემს კვლევებს თავი მოვუყარე და ჩემს კონსულტანტთან (გულისხმობს ბაბუას — ილია ხითარიშვილს — ქ.ტ.) ერთად დავიწყე შრომების გაფორმება, აღმოჩნდა, რომ ჩემი შრომები ეხებოდა არა მხოლოდ კვანტურ მექანიკას, არამედ ფილოსოფიას, ფსიქოლოგიასა და პალეონტოლოგიას.

**— რა თემაზეა თქვენი პირველი ნაშრომი?**

— ჩემი პირველი ნაშრომი ეხება სამყაროში 14 მილიარდი წლის წინათ დიდი აფეთქების შედეგად წარმოქმნილი d-ელემენეტების ატომების ჩამოყალიბების მექანიზმებს. ასე აღმოვაჩინე 4S, 5S, 6S და 7S ორბიტებზე მბრუნავი მეორე ელექტრონები, რომლებიც შემდგომ ცნობილი გახდა „ლუკას ელექტრონების“ სახელწოდებით. შემდგომი ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამ ოთხი ელექტრონის ქცევას მარავალელექტრონიან ატომებში. შევამჩნიე, რომ ამ ელექტრონებს აქვს ფანტასტიკური თვისებები: გამოირჩევა აზროვნების ახალი ფორმით; შეუძლია, მრავალი მილიონი წლის ინტერვალით, მრავალჯერ შეიცვალოს და აღადგინოს კვანტური რიცხვები; აქვს მეხსიერება და, რაც დაუჯერებელია, შეუძლია ეს თვისებები მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს და თაობიდან თაობას გადასცეს. სწორედ ეს იყო მიზეზი, დავინტერესებულიყავი პალეონტოლოგიით და დამეწყო ძვლის შესწავლა, ვინაიდან ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ძვალს აქვს უნარი, შეინარჩუნოს გენეტიკური ინფორმაცია წინაპრებზე და თაობებს გადასცეს. **ვინც ჩემს ნაშრომებს გაეცნობა, მივა დასკვნამდე, რომ ძვალს ამ უნივერსალურ თვისებებს უნდა ანიჭებდეს მასში შემავალი ის ელემენტები, რომელთა ატომების ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტ როლს ჩემ მიერ აღმოჩენილი საოცარი თვისებების მქონე ელექტრონები თამაშობს.**

**— თქვენი აღმოჩენებიდან განსაკუთრებით რომელს გამოჰყოფთ?**

— მე ორი აღმოჩენით ვამაყობ: პირველი არის სამყაროს უნივერსალური კანონი, ანუ კანონი განწყობის შესახებ, რომლის საშუალებითაც პირველად მექანიკაში d-ელემენტების ატომების ჩამოყალიბების პროცესში ჩემ მიერ აღმოჩენილი ელექტრონების ქცევა ავხსენი და **ფსიქოლოგიაში პირველმა შევქმენი ახალი მიმართულება, რომელიც შეისწავლის ელემენტარული ნაწილაკების ფსიქოლოგიას;** მეორე აღმოჩენაა ელექტრონის ახალი კვანტური რიცხვი — ელექტრონის თავისუფალი ნება. ეს არის კვანტურ მექნიკაში ახალი სიტყვა. ელექტრონი თავის ქმედებაში თავისუფალია, თვითონ წყვეტს, რომელ ორბიტაზე რომელ დროში იმყოფებოდეს, რომელი ატომების ჩამოყალიბებაში მიიღოს მონაწილეობა. ადამიანებისგან განსხვავებით, მისი ქცევა თვითნებობაში კი არ გადადის, არამედ სრულ ჰარმონიაშია სამყაროს ძირითად კანონზომიერებასთან, რომლის მიხედვითაც პროცესები მიმდინარეობს უმოკლესი გზებით, ნაკლები ენერგიის ხარჯვითა და მიზნის მიღწევით.

**«ვთხოვ ყველა მეცნიერს: წაიკითხეთ ჩემი ნაშრომები, მომეცით შენიშვნები და არა მხოლოდ გაითვალისწინებ მათ, არამედ ახალ აღმოჩენებსაც გპირდებით. ჩვენს პლანეტაზე მეცნიერება არასწორი მიმართულებით ვითარდება. ექსპერიმენტული მეცნიერება გახდა მუხრუჭი მეცნიერების განვითარების»**

**— ერთ-ერთი ნამუშევარი ასეთი სათაურით გამოაქვეყნეთ: „12 წლის ქართველი ბიჭი საქართველოდან კამათში იწვევს მსოფლიო მეცნიერებს კვანტურ მექანიკაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და პალეონტოლოგიურ მეცნიერებაში“. რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს განცხადებას?**

— დიახ, ცნობილ სამეცნიერო ვებგვერდზე განვათავსე 26-გვერდიანი შრომა ინგლისურ ენაზე სათაურით „12 წლის ქართველი ბიჭი საქართველოდან კამათში იწვევს მსოფლიო მეცნიერებს კვანტურ მექანიკაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და პალეონტოლოგიურ მეცნიერებაში“, იმ მიზნით, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს მოეცათ შენიშვნები. ინტერნეტში რამდენიმე მეცნიერმა ნახა და გადაწერა ჩემი ნაშრომები. ვიჯერებდი, რა სისწრაფით იზრდებოდა ჩემი ნაშრომების გადამწერი მეცნიერების რაოდენობა. ჩემს ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ შეფასებისგან თავს იკავებენ ფიზიკოსები, მაშინ, როდესაც ფილოსოფოსები აღფრთოვანებულები არიან ჩემი ნაშრომებით.

**— ვიცი, რომ შეხვედრა გქონდათ ქართველ მეცნიერებთან, რომლებიც გაკვირვებას გამოხატავდნენ, როდესაც ეცნობოდნენ თქვენს ნაშრომებს. რომელ შეხვედრას გამოჰყოფთ და გაძლევდნენ თუ არა ისინი შენიშვნებს?**

— მქონდა შეხვედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, აგრეთვე, მრავალი შეხვედრა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ერთ-ერთმა ფიზიკოსმა შენიშვნა მომცა, — ლუკა, შენ კი საუბრობ ახალ კვანტურ რიცხვზე, მაგრამ შენს შრომებში ახალი კვანტური რიცხვის რიცხობრივი მნიშვნელობები არსად ჩანსო. იმ დღის შემდეგ **მოსვენება დავკარგე, ღამეებს ვათენებდი და მივაგენი უნივერსალურ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ახლა ნებისმიერ ჩემს ოპონენტს შეუძლია ნებისმიერ ატომში, ნებისმიერი ელექტრონის მეხუთე კვანტური რიცხვის რიცხობრივი მნიშვნელობა დაადგინოს.** ამის შემდეგ მივიღე საავტორო მოწმობა. სწორედ ამიტომ ვთხოვ ყველა მეცნიერს, წაიკითხონ ჩემი შრომები, მომცენ შენიშვნები და არა მხოლოდ გაითვალისწინებ მათ, არამედ ახალ აღმოჩენებსაც ვპირდები. მქონდა ბედნიერება, დავსწრებოდი **გია დვალის** ლექციას და პირადად მესაუბრა მასთან. ხანმოკლე საუბრის შემდეგ მან მირჩია, რომ საზღვარგარეთ გამომექვეყნებინა ჩემი ნაშრომები. მსოფლიოში ცნობილმა ფიზიკოსმა **თემურ ლომთაძემ**, რომელიც იტალიაში მოღვაწეობს, თვითონ მოინდომა ჩემთან შეხვედრა. მან ორი საათი დამითმო, კარგად მომისმინა და მითხრა, ეს საკმაოდ რთული საკითხებია, მე ექსპერიმენტატორი ვარ და თეორიულ ფიზიკაში არ ვმუშაობო.

**— როგორც ვიცი, წიგნის გამოცემას აპირებ.**

— ერთი წელია, ვმუშაობ წიგნზე, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ჩემი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი შრომები. წიგნი აღსავსეა ემოციებით და მასში ნათლად ჩანს კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ავსტრიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსის — **ერვინ შრედინგერის** განტოლებების ფილოსოფიური ფესვები და სამი მიმართულება:

*** დღევანდელ ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მიღებული ფორმულები და ძირითადი დებულებები არასრულყოფილია, მას რაღაც აკლია;**

*** ჩვენს პლანეტაზე მეცნიერება არასწორი მიმართულებით ვითარდება. ექსპერიმენტული მეცნიერება გახდა მუხრუჭი მეცნიერების განვითარების;**

*** თუ ჩვენს პლანეტას გადარჩენა უწერია, მას ბავშვი გადარჩენს.**

წიგნში სწორედ ამ სამ ფენომენზე იქნება საუბარი. წიგნი დაეხმარება იმ მეცნიერებს, რომლებმაც წაიკითხეს ჩემი შრომები, შემხვდნენ, მაგრამ თავი შეიკავეს შეფასებისგან. მისი წაკითხვა ფართო აუდიტორიასაც შეეძლება, რადგან ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე იქნება გამოცემული.

**«დღევანდელ ფიზიკა-ქიმიასა და ბიოლოგიაში მიღებული ფორმულები და ძირითადი დებულებები არასრულყოფილია, მას რაღაც აკლია»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

მსოფლიო

## შვედეთის მთავრობა 80 ათასი დევნილის დეპორტაციას გეგმავს

**შვედეთის მთავრობა 80 000 თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაციას გეგმავს. ამის შესახებ მედია შვედეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე დაყრდნობით იტყობინება.** როგორც ანდერს იგემანი აცხადებს, მიგრანტების დეპორტაცია ჩარტერული ავიარეისებით განხორციელდება, ამას კი რამდენიმე წელი დასჭირდება. მისივე თქმით, იგეგმება იმ მიგრანტების დეპორტაცია, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსის მოპოვება სურდა და ვერ მიიღო. შვედეთს თავშესაფრის თხოვნით 2015 წლის განმავლობაში 163 000-მა მიგრანტმა მიმართა. 58 800 განაცხადი უკვე განხილულია, მათგან 55 პროცენტი დაკმაყოფილდა. მიგრანტების რაოდენობის მხრივ შვედეთი ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია.



ვამაყობ, რომ 1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისში სტალინგრადს ჩემი სნაიპერული შაშხანით ვიცავდი — სწორედ სატრაქტორო და „კრასნი ოქტიაბრის“ ქარხნების ტერიტორიაზე. ვამაყობ, რომ 62-ე არმიის ერთ-ერთი ჯარისკაცი ვიყავი სტალინგრადიდან ბერლინამდე. ვამაყობ, რომ პირველად სტალინგრადში დამჭრეს 1943 წლის 14 იანვარს, ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ვიმკურნალე საველე ჰოსპიტლებში, მაგრამ არ დავეცი და დღეს ცოცხალი ვარ. დიდება და არდავიწყება მათ, ვინც ჩვენ გვერდით იბრძოდა და დღეს ცოცხალი აღარ არის!

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ გადარჩა სტალინგრადი დაცემას

## 2 თებერვალს სტალინგრადისთვის ბრძოლის დასრულებიდან 73 წელი გავიდა

**„პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ალექსეი ჩუიანოვი რაიონებიდან გამოგზავნილ მასალებს ეცნობოდა სოფლებში მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ — ატყობინებდნენ, მოსავლის აღების პერიოდში ჰიტლერელთა ბომბდამშენებმა ბევრი ნათესი გაანადგურეს და სისტემატურად იხოცება სოფლის მეურნეობის მუშაკები მარცვლეულის აღებისასო.**

ამ ცნობამ საოლქო კომიტეტის მდივანს ხასიათი გაუფუჭა — ნუთუ დაიღუპება ამდენი ნაშრომ-ნაამაგარი ფაშისტთა ბრბოების შემოსევის შედეგად? მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, სტალინგრადელები გაასკეცებული ენერგიით მუშაობენ, მათი დევიზია: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი სამშობლოს დასაცავად! ჩუიანოვმა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ვერ მოიცალა მიღებული წერილების გადასათვალიერებლად. როცა, დიდი დაღლილობისა და ნერვიულობის მიუხედავად, მაგიდას მიუჯდა და ქაღალდების გადათვალიერება დაიწყო, მასთან თანაშემწე შევიდა და უთხრა, მისაღებში სამხედრო ოლქის სარდალი გელოდებათო. საოლქო კომიტეტის მდივანმა მაშინვე გადადო საბუთები, — სთხოვეთ, შემოვიდეს. კაბინეტში შესული სარდალი ჩუიანოვს მიესალმა და საქაღალდე გაუწოდა. ჩუიანოვმა საქაღალდე გახსნა და წაიკითხა უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის დეპეშა, რომელშიც ეწერა: „დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ სამხედრო ოლქის შტაბი ასტრახანში!“. მდივანს თითქოს მეხი დაეცაო, ვეღარაფერი თქვა.

გაიფიქრა, რა მოჰყვებოდა საოლქო სამხედრო შტაბის ასტრახანში გადატანას. აღელვებულმა კაბინეტში გაიარ-გამოიარა. ნუთუ ასეთი გამოუვალი მდგომარეობაა? როგორ შეხედავს ჩვენი მოსახლეობა და სამხედრო შენაერთები შტაბის ევაკუაციას. იფიქრებენ, რომ თითქოს გადაწყვეტილია გერმანელებისთვის ჩვენი ქალაქის ჩაბარება. სარდალმა ხელები გაშალა, ამით მან გამოხატა: გამოუვალი მდგომარეობაა, მაგრამ ჩვენ სამხედროები ვართ, ბრძანება უნდა შევასრულოთო. სარდალი დაემშვიდობა ჩუიანოვს და კაბინეტიდან გავიდა.

უკვე თენდებოდა. ამდენი არასასიამოვნო ამბის შეტყობით მდივანს თავი საშინლად დაუმძიმდა. თვალები ეხუჭებოდა. ფიქრობდა, ერთი საათით მაინც რომ დამაძინა, ცოტას დავისვენებ და შემდეგ იქნებ რაიმე გამოსავალი მოვძებნოო. მაგრამ ეს ფიქრები მთავრობის ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა. ყურმილში უმაღლესი მთავარსარდლის მდივნის — პოსკრებიშევის ხმა გაისმა:

— თქვენ ამხანაგი სტალინი დაგელაპარაკებათ.

ჩუიანოვს დაღლილობა უცებ გაუქრა, გამოფხიზლდა, მაგრამ ნერვიულობისგან შეაჟრჟოლა. ყურმილში გაისმა მთავარსარდლის მშვიდად, მაგრამ მკაცრად ნათქვამი:

— რას ჰგავს ეს? რა, გადაწყვიტეთ მტერს ჩააბაროთ ქალაქი? ვინ მოგცათ სამხედრო ოლქის შტაბის ასტრახანში გადაყვანის უფლება?

ჩუიანოვს ხელი აუკანკალდა.

— მიპასუხე, რას გაჩუმებულხარ?

— ამხანაგო სტალინ, ამის შესახებ მიღებულია მთავარსარდლის მოადგილის დეპეშა, — როგორც იქნა, მოახერხა პასუხის გაცემა ჩუიანოვმა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაგ საქმეს აქ გავარკვევ და დამნაშავეს სასტიკად დავსჯი. თქვენ კი, ამხანაგო ჩუიანოვ, გავალებთ, დაუყოვნებლივ მონახოთ ოლქის სარდალი და გადასცეთ, რომ, თუ ხვალ შტაბი არ დაბრუნდება სტალინგრადში, სასტიკად დავსჯი, — თქვა სტალინმა.

— დიახ, ახლავე მოვძებნი ტელეფონით სარდალს და გადავცემ თქვენს ბრძანებას.

— ტელეფონი საჭირო არ არის, პირადად მოძებნეთ, — უბრძანა სტალინმა, შემდეგ კი ჰკითხა:

— თქვენთან რა ხდება, მითხრეს, ქალაქში პანიკა სუფევს, საოლქო კომიტეტი კი ზომებს არ იღებსო. რა დაგემართათ, სიძნელეების წინაშე რატომ დაიბენით ყველანი?

— ამხანაგო სტალინ, საოლქო კომიტეტი ყველაფერს აკეთებს ყოველდღე მოსახლეობის საევაკუაციოდ, მაგრამ არ გვყოფნის ვოლგაზე ადამიანების გადასაყვანი საშუალებები. სამხედრო პროდუქციის გამოშვების გეგმა კი გადაჭარბებითაა შესრულებული. სატრაქტორო და „კრასნი ოქტიაბრის“ ქარხნებში დავამთავრეთ სატანკო ბრიგადების ფორმირება...

— ეგ კარგია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოთ. გავალებთ, არავის აპატიოთ მოდუნება. განსაკუთრებით თქვენ მოგკითხავთ, თუ რამე მოხდა. სტალინგრადი მტერს არ უნდა ჩავაბაროთ, ასე გადაეცით ყველას.

ტელეფონის ყურმილი კი დადო ჩუიანოვმა, მაგრამ დიდხანს მოჯადოებულივით იჯდა — არ სჯეროდა, რომ მისთვის ასე კარგად დასრულდა საუბარი. დიახ, ასე გადარჩა სტალინგრადი დაცემას“. ეს არის ამონარიდი წიგნიდან „მრისხანე დღეები“, რომელშიც მოთხრობილია სტალინგრადისა და კურსკის მეომრებზე.

დიახ, სტალინგრადი კი არა, დაეცა ჰიტლერის ფიქრი გამარჯვებაზე.

1943 წლის 2 თებერვალი სტალინგრადის განთავისუფლების დღეა. 2016 წლის 2 თებერვალს 73 წლისთავის ალსანიშნავად ვიზეიმებთ. მინდა, ეს დღე მიულოცო ყველა სტალინგრადელს!

**მე, როგორც თბილისის ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, ამ თარიღს, პირველ რიგში, ვულოცავ ჩემი რაიონის ვეტერანებს, შემდეგ — სტალინგრადის ყველა დამცველსა და, საერთოდ, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს, ვუსურვებ მათ დამშვიდებულ და იმედიან ცხოვრებას, ტკბილ სიბერეს!**

სტალინგრადისთვის ბრძოლაში გამარჯვება, რომელსაც ფელდმარშალ პაულიუსთან ერთად 300 ათასი გერმანელი ჯარისკაცის დატყვევება მოჰყვა, განაპირობა 62-ე არმიის შეუპოვარმა და თავგანწირულმა ბრძოლამ. ამ არმიის სარდალი კი ორი გზის საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ ჩუიკოვი გახლდათ.

**ვამაყობ, რომ 1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისში სტალინგრადს ჩემი სნაიპერული შაშხანით ვიცავდი — სწორედ სატრაქტორო და „კრასნი ოქტიაბრის“ ქარხნების ტერიტორიაზე! ვამაყობ, რომ 62-ე არმიის ერთ-ერთი ჯარისკაცი ვიყავი სტალინგრადიდან ბერლინამდე. ვამაყობ, რომ პირველად სტალინგრადში დამჭრეს 1943 წლის 14 იანვარს, ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ვიმკურნალე საველე ჰოსპიტლებში, მაგრამ არ დავეცი და დღეს ცოცხალი ვარ.**

დიდება და არდავიწყება მათ, ვინც ჩვენ გვერდით იბრძოდა და დღეს ცოცხალი აღარ არის!

ჩვენ დიდი ბელადის — სტალინის მეთაურობით გავიმარჯვეთ ფაშისტებზე, მისსავე ბუნაგში დავამარცხეთ კაცობრიობის დაუძინებელი მტერი!

დიდება დიდ სამამულო ომში მონაწილე ყველა საბჭოთა მეომარს!

**ტარას იჩქიტიძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანი, 94 წლის**


ტარას იჩქიტიძე


სტალინგრადის ცენტრი 1943 წლის 2 თებერვალს


საბჭოთა ჯარისკაცების შტურმი, 1943 წ. თებერვალი

**დიდება და არდავიწყება მათ, ვინც ჩვენ გვერდით იბრძოდა და დღეს ცოცხალი აღარ არის! ჩვენ დიდი ბელადის — სტალინის მეთაურობით გავიმარჯვეთ ფაშისტებზე, მისსავე ბუნაგში დავამარცხეთ კაცობრიობის დაუძინებელი მტერი! დიდება დიდ სამამულო ომში მონაწილე ყველა საბჭოთა მეომარს!**




განთავისუფლებული ქალაქის თავზე დროშა ფრიალებს. სტალინგრადი, 1947 წლის იანვრის ბოლო

გეოსტრატეგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსს არის ამერიკის მთავრობის ყველაზე მსხვილი კრედიტორი. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მსესხებელი თავისი კრედიტორის „მიერ შეკვეთილ მუსიკას უკრავს“. უცნაურია? ეს უცნაურობა თქვენთვის გასაგები გახდება, თუ დარწმუნდებით, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მმართველობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ხოლო რეალური ძალაუფლება მას სულაც არ ეკუთვნის.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-3 (330-332)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

მსოფლიოს ეკონომიკაში, რომელიც კაპიტალისტურ პრინციპებზეა აწყობილი, მტკიცედ იყო დაცული სოციალისტური პრინციპი – ყველა ცხოვრობდა ისე, როგორც მუშაობდა. უშრომელი შემოსავალი, ანუ ის, რაც ოქროთი არ იყო უზრუნველყოფილი, ქვეყნებს არ ჰქონდა, და ასე გრძელდებოდა 1913 წლამდე, სანამ აშშ-მა თამამი და ჭეშმარიტად ეპოქალური აღმოჩენა არ გააკეთა. დიდი ხანია, ბანკირებმა იცოდნენ, რომ, თუ გაქვს ქაღალდის ფულის გამოშვების შესაძლებლობა, მაგრამ არ ხარ შებოჭილი მოთხოვნით, უზრუნველყო ისინი ოქროთი, შენი სიმდიდრე შეიძლება უსაზღვროდ გაზარდო. ხოლო უსაზღვრო სიმდიდრე ხელიხელჩაკიდებულია უსაზღვრო ძალაუფლებასთან. გამდიდრებისთვის ყოველთვის საჭიროა ძალაუფლება, ხოლო ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას სჭირდება ფული. მსოფლიო სიმდიდრის მოსაპოვებლად საჭიროა მსოფლიო ძალაუფლება. ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭიროა სახსრების ულევი წყარო.

**ეს იდეა სულისშემძვრელი იყო. მისი განხორციელებისთვის სახელმწიფოს საკუთარი კონტროლისთვის უნდა დაექვემდებარებინა ემისია, ანუ ფულის გამოშვება. წარმატების მეორე პირობა იყო იმ ქვეყნების პოლიტიკური რუკიდან გაქრობა, რომლებსაც შეეძლოთ, ეჭვქვეშ დაეყენებინათ არაფრით უზრუნველყოფილი ფულის გამოშვება.**

შეადარეთ ორი თარიღი:

**1. 1913 წლის დეკემბერში აშშ-მა შექმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა (FEDERAL RESERVE SYSTEM) – კაცობრიობის ისტორიაში პირველი კერძო ფირმა, რომელმაც მიიღო ფულის ბეჭდვის უფლება;**

**2. 1914 წლის აგვისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.**

**მსოფლიო სასაკლაოს შედეგი გახდა ოთხი ყველაზე მსხვილი მსოფლიო მონარქიის გაქრობა, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ჩავარდნენ ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობაში, ხოლო მსოფლიო ეკონომიკამ გადაიტანა კრიზისი, რომლის მსგავსიც არასდროს გადაუტანია.**

**დამთხვევა? არა, შემთხვევითი აქ არაფერია.**

აშშ-ის ფედერალური რეზერვის შექმნის პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო და დეტალურ განხილვას იმსახურებს. მონარქიულ სახელმწიფოებში მონეტის მოჭრა სახელმწიფო ხაზინის საქმე იყო და ყოველთვის ინარჩუნებდა სახელმწიფო სტატუსს. დემოკრატიულ ამერიკაში, როგორც ცნობილია, ძირითადი კანონი კონსტიტუციაა. გადავშალოთ და წავიკითხოთ: „კონგრესს აქვს უფლება ბეჭდოს მონეტები, არეგულიროს მათი და უცხოური მონეტების ფასი...“. ყველაფერი სწორია, ამერიკის შეერთებული შტატებში ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, კონგრესი მათი წარმომადგენელია. სწორედ მას აქვს მონეტის მოჭრის უფლებამოსილება. ასე იყო აშშ-ში 1913 წლის დეკემბრამდე, როდესაც ხალხის რჩეულებმა დაამტკიცეს ეპოქალური აქტი ფედერალური რეზერვის შესახებ (The Federal Reserve Act, მომ The Act of December 23, 1913).

იმ დროიდან ამერიკაში მონეტებს კერძო კომპანია ბეჭდავს. ამ დასახელებაში სიტყვა „ფედერალურმა“ არ უნდა დაგვაბნიოს. ეს ჩვეულებრივი მიმიკრიაა, მასში „ფედერალიზმი“ იმდენივეა, რამდენიც კერძო საფოსტო სამსახურ „ფედერალ ექსპრესში“ (Federal Express). აიღეთ ხელში დოლარი და დააკვირდით. ზემოთ მას აქვს წარწერა Federal Reserve Note, რაც ნიშნავს „ფედერალური რეზერვის ბანკნოტს“.

**თქვენ წინაშეა არა აშშ-ის დოლარი, არამედ ფედერალური სარეზერვო სისტემის დოლარი!**

წარწერა the United States of America, რომელიც ოდნავ ქვემოთ არის მოცემული, მხოლოდ გეოგრაფიულ მნიშვნელობას ატარებს, რომელიც მიგვითითებს, სად მდებარეობს ორგანიზაცია, რომელიც ბეჭდავს აღნიშნულ ბანკნოტს. ეს წარწერა არ ნიშნავს, რომ ხელში ამერიკის შეერთებული შტატების ფული გიჭირავთ. მეტიც, ფსს-ს შექმნამდე დოლარზე ზუსტადაც რომ იყო მითითებული, რომ ეს აშშ-ის ბანკნოტია, ინგლისურად United States Note. პირველად ქაღალდის დოლარები ასეთი წარწერით აშშ-ში სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ) დროს გამოუშვეს. სწორედ მაშინ გაჩნდა ამერიკული ვალუტის ცნობილი სლენგური დასახელებები „გრინები“, „ბაქსები“ და „მწვანილი“. როგორც ცნობილია, დოლარი (იყო) მწვანე ფერისაა. განსაკუთრებით ბევრი „სიმწვანე“ იყო მის მეორე მხარეზე, სადაც პრაქტიკულად არაა შავი შრიფტით გაკეთებული წარწერები და არაა სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტი. ქაღალდის დოლარებს greenbacks დაარქვეს, რაც ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „მწვანე ზურგები“.

მაშ, რა არის ფსს? — **ფედერალური სარეზერვო სისტემა, ეს არის კერძო ბანკი, რომელსაც ფლობენ სხვა კერძო ბანკები. იგი უშვებს ფულს, რომელსაც ძველებურად ამერიკულ დოლარს უწოდებენ. ამერიკულ ვალუტაზე იყო წარწერა UNITED STATES NOTE, ხოლო შემდეგ გაქრა, მაგრამ რადგან „ბაქსი“ მწვანე დარჩა, სხვაობა ვერავინ შეამჩნია. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს მწვანე, სხვადასხვა ფერის ლაქების მქონე ქაღალდი და ვერც ვამჩნევთ, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს აშშ-თან.**

**რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ 1913 წლიდან შეერთებულ შტატებში უხეშად ირღვევა ამ ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც „კონგრესს აქვს უფლება მოჭრას მონეტები“.**

**ცნობარებში ფედრეზერვის სხვა განმარტებასაც ნახავთ: „დამოუკიდებელი ფინანსური ორგანო, რომელიც ცენტრალური ბანკის ფუნქციების შესასრულებლად და აშშ-**



**ფედერალური სარეზერვო სისტემა, ეს არის კერძო ბანკი, რომელსაც ფლობენ სხვა კერძო ბანკები. იგი უშვებს ფულს, რომელსაც ძველებურად ამერიკულ დოლარს უწოდებენ**

**ის კომერციული ბანკების სისტემის ცენტრალიზებული კონტროლის განსახორციელებლად არის შექმნილი“. თუ დავფიქრდებით, მშრალ ტექსტშიც კი სიმართლე წერია, მაგრამ არავინ უფიქრდება წაკითხულს. სიტყვაზე ენდობიან, მიჩვეულნი არიან.**

მოდი, დავფიქრდეთ.

დამოუკიდებელი, ანუ არასახელმწიფო სტრუქტურა ახორციელებს კონტროლს აშშ-ის ფინანსურ სისტემაზე.

რისგან შედგება ფინანსური სისტემა?

კომერციული ბანკებისგან, აშშ-ში სახელმწიფო ბანკები არ არის, ანუ ფსს აკონტროლებს კომერციული ბანკების საქმიანობას.

**ვინ შექმნა ფსს?**

**იგი შექმნა 12 ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა.**

**ვინ ჩამოაყალიბა ეს ფედერალური სარეზერვო ბანკები, სახელმწიფომ?**

**არა, აშშ-ში არ არის სახელმწიფო ბანკები, ყველა კერძოა. ფედერალური სარეზერვო სისტემის დამფუძნებლები არიან ჩვეულებრივი კომერციული ბანკები, რომლებიც ტერიტორიული ნიშნის მიხედვით არიან დაჯგუფებული.**

**ვინ აკონტროლებს ფსს-ს? კომერციული ბანკები?**

**დიახ. ფსს ხომ... მათი შექმნილია!**

**გამოდის, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა აკონტროლებს... თავის თავს.**

იქნებ გვეშველება? შევამოწმოთ საკუთარი თავი: ჩავიხედოთ ამერიკის სატელეფონო ცნობარში „ყვითელი ფურცლები“. იქ შევძლებთ, ვიპოვოთ ფსს-სა და მის შემადგენლობაში არსებული ფედერალური სარეზერვო ბანკების კოორდინატები, არა ცისფერ ფურცლებზე, სადაც დაბეჭდილია სახელმწიფო ორგანიზაციების ტელეფონების ნომრები, არამედ თეთრზე, სადაც კერძო კომპანიებია წარმოდგენილი. სწორედ საფოსტო კომპანია „ფედერალ ექსპრესის“ გვერდით. მაგრამ რომელი ამერიკელი ან უცხოელი აქცევს ამას ყურადღებას? ვინ რეკავს ფედრეზერვში? ვინ მიდის იქ მითითებულ მისამართებზე? **ამ გლობალურ ტყუილს ვერ ამჩნევენ ჩვენი თანამემამულეებიც. საინფორმაციო სააგენტოების ცნობებში ხომ აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მოხსენიებული იქნება ფსს-ს თავმჯდომარეთან ერთად და ისინი ერთად ისაუბრებენ უმნიშვნელოვანეს თემებზე...**

როდესაც ჩვეულებრივი ხალხი უყურებს ტელევიზორს, კითხულობს გაზეთს, იქექება ინტერნეტში, ტყუილის ამოცნობა შეუძლებელია. ყველაფერი კეთილშობილურად გამოიყურება, მაგრამ სიურპრიზები ამით არ მთავრდება. თითქოს სამყოფი არ იყო, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა სულაც არაა „ფედერალური“, ის „სარეზერვოც“ არაა. ფსს-ს არანაირი რეზერვი არ აქვს — არც ოქროსი, არც სავალუტო, არც ვერცხლის. არანაირი. არ არის არაფერი — მხოლოდ ოფისები, მდივნები და კომპიუტერები. მაგრამ ფსს-ს აქვს მთავარი — დოლარის გამოშვების მონოპოლიური უფლება. **თუ თქვენს ხელთაა „საბეჭდი მანქანა“, არანირი ფასეულობები მართლაც არ გჭირდებათ. თქვენ შეძლებთ დაბეჭდოთ ფული და ყველაფერი აუცილებელი მის სანაცვლოდ მიიღოთ. ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს ასეთი საბეჭდი მანქანა. მაკონტროლებელ ფუნქციებსაც იგი ასრულებს. იგი პროკურორიცაა, მოსამართლეც და ადვოკატიც.** დამეთანხმებით, რომ ეს ძალიან მოსახერხებელია. **გამოდის, რომ არასახელმწიფო სტრუქტურას შეუძლია განახორციელოს კონტროლი აშშ-ის, იმ ქვეყნის ფინანსურ სისტემაზე, რომელიც დომინანტ როლს თამაშობს მსოფლიოში. ანუ, ფსს აკონტროლებს არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ, პლანეტის ფინანსურ ცხოვრებას.**

მაგრამ ნუთუ ფსს მთლიანად განცალკევებულია სახელმწიფოსგან? — დიახ, როგორც ეკლესია საბჭოთა რუსეთში. თუ თქვენ აიღებთ ფსს-ის თავმჯდომარის — ალან გრინსპენის დაწერილ წიგნს, ზუსტად ამასვე წაიკითხავთ: **„ფედერალური სარეზერვო სისტემა ფორმალურად არაა დამოკიდებული თეთრ სახლზე“. საიდუმლო ისაა, რომ ფსს არა მხოლო ფორმალურად, არამედ არაფორმალურადაც არაა დამოკიდებული აშშ-ის ხელისუფლებაზე! თუმცა მოჩვენებითი წესიერება დაცულია.** ამაში დარწმუნება რთული არაა. საკმარისია შევხედოთ, როგორ ხორციელდება ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელების როტაცია. ერთი შეხედვით, ყველაფერი ღირსეულადაა. ფსს-ის ხელმძღვანელი საბჭო, შვიდი წევრის შემადგენლობით ინიშნება აშშ-ის პრეზიდენტის მიერ აშშ-ის კონგრესის დასტურის შემდეგ. თითქოს სახელმწიფო მონაწილეობს ამ პროცესში, მაგრამ ზუსტად რომ „თითქოს“. **თურმე, პრეზიდენტი კი ამტკიცებს ფსს-ს მმართველობით საბჭოში შემავალ შვიდ წევრს, მაგრამ არ აქვს უფლება, გასცეს ფსს-სთვის რაღაც ბრძანება ან შეცვალოს ეს მმართველები. კანონით ხომ ფედერალური სარეზერვო სისტემა დამოუკიდებელია!**

არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვების შემდეგ გვესმოდა დილის ეთერის წამყვანების ხმა რუსეთის მთავარი ლიბერალური რადიოს ეთერში. სერიოზულ თემებზე საუბრისას ამ ახალგაზრდებმა პირველკლასელი ბავშვის ცოდნის დონე გვიჩვენეს. შეგნება ნაკლები აქვთ. სამაგიეროდ, გაზვიადება, ქედმაღლობა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, საკუთარი ქვეყნის მიმართ ზიზღი — მოჭარბებულად. მაშ ასე, თეთრი სახლის გუნდის ცვლილებაზე ბჭობისას, მათ სერიოზულად ისაუბრეს ფედერალური სარეზერვო სისტემის დირექტორის შეცვლაზე ახალი პრეზიდენტის მიერ. და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მას, ანუ ბენ ბერნანკეს, გამარჯვებული ბარაკ ობამა არ შეცვლის. თურმე კრიზისის დროს ცხენს არავინ ცვლის. არადა, აშშ-ის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის ლოგიკა ხომ პირიქით უნდა მოქმედებდეს. ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება არჩევნები, მიუხედავად არსებული პრობლემებისა ეკონომიკაში. თუ ფინანსური კრიზისის დროს არ უნდა შევცვალოთ ხელმძღვანელები, რომლებიც ფინანსებზე, ანუ თავად ამ კრიზისზე არიან პასუხისმგებელნი, მაშ, რისთვის ტარდება ეს არჩევნები? ჩვენი ვაიჟურნალისტე- ▶




**თუ თქვენს ხელთაა „საბეჭდი მანქანა“, არანირი ფასეულობები მართლაც არ გჭირდებათ. თქვენ შეძლებთ, დაბეჭდოთ ფული და ყველაფერი აუცილებელი მის სანაცვლოდ მიიღოთ. ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს ასეთი საბეჭდი მანქანა. მაკონტროლებელ ფუნქციებსაც იგი ასრულებს. იგი პროკურორიცაა, მოსამართლეც და ადვოკატიც.**

# ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფედერალური სარეზერვო სისტემა — ეს არის კერძო ბანკი, რომელსაც ფლობენ სხვა კერძო ბანკები. იგი უშვებს ფულს, რომლებსაც ძველებურად ამერიკულ დოლარს უწოდებენ. ამერიკულ ვალუტაზე იყო წარწერა United States Note, ხოლო შემდეგ გაქრა, მაგრამ რადგან «ბაქსი» მწვანე დარჩა, სხვაობა ვერავინ შეამჩნია. დღეს ხელთა გვაქვს მწვანე, სხვადასხვა ფერის ლაქების მქონე ქაღალდი და ვერც ვამჩნევთ, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს აშშ-თან**



**ყველამ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უშვებს ფასიან ქაღალდებს და არავინ კითხულობს, რატომ არ უშვებს ეს სახელმწიფო იმავე თანხის ფულს?**

ბის ლოგიკის მიხედვით, უნდა გადავდოთ და მივცეთ უფლება ჯორჯ ბუშს, დაალაგოს ეკონომიკა. და უკვე შემდეგ, ხუთ წელიწადში, უნდა ჩატარდეს კენჭისყრა. გასაგებია, რომ ასე არავინ იქცევა, რადგანაც აშშ-ის კონსტიტუციაში წერია ოთხ წელიწადში ერთხელ, 4 ნოემბერს, ეს ნიშნავს, რომ ასე უნდა იყოს.

**ჩაივლის არჩევნები, მოვა ახალი პრეზიდენტი და იცვლება მისი გუნდი, რომელიც მართავს ქვეყანას: არა მხოლოდ ვიცეპრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი. ეს დაახლოებით ხუთი ათასი ადამიანია, რომლებიც მსახურობენ საჯარო სამსახურში. ახალი სახეები არა მხოლოდ პირველ როლებზე მოდიან, არამედ მეორეზეც და მეათეზეც. არ იცვლება მხოლოდ.... ფსს-ს თავმჯდომარე.**

**რატომ? იმიტომ რომ აშშ-ის პრეზიდენტს არ შეუძლია მისი დანიშვნა, ისევე, როგორც არ შეუძლია მისი დათხოვნა,** ანუ ფორმალურად ფსს-ს თავმჯდომარის დანიშვნას ხელს აწერს იგი, სინამდვილეში კი გადაწყვეტილებას იღებენ სრულიად სხვაგან. ჩვენმა ჟურნალისტებმა ეს არ იციან და ამიტომ აგებენ უაზრო ვარაუდებს. აშშ-ის მეთაურს რომ შეეძლოს ფედრეზერვის ხელმძღვანელის შეცვლა, იგი ამას აუცილებლად გააკეთებდა. სხვანაირად აბსურდი გამოდის: მოვიდა დემოკრატიული პარტიის გუნდი ყველა პოსტზე, ხოლო საკვანძო ფინანსური პოსტი დაკავებული აქვს იგივე ადამიანს, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა რესპუბლიკელებს. სწორედ ამ კურსის წინააღმდეგ გამოდიოდა ბარაკ ობამა, რის წყალობითაც მან ამომრჩეველთა ხმები მიიღო!

ამ სიტყვების სამართლიანობაში დარწმუნება იოლია. საკმარისია ფსს–ის ყოფილი თავმჯდომარის, ალან გრინსპენის კარიერას დავაკვირდეთ. ეს პატივცემული ბატონი ფედრეზერვის სათავეში მთელი ცხრამეტი წელი იდგა: 1987 წლიდან 2006 წლამდე. ამ პოსტზე იგი ფედრეზერვის მმართველთა საბჭოს წევრებმა აირჩიეს, რომლებიც პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან... თოთხმეტი წლის ვადით. რამდენია აშშ-ში საპრეზიდენტო ვადა? — ოთხი წელიწადი. **ჰკითხეთ საკუთარ თავს, როგორ შეიძლება ოთხი წლის ვადით არჩეულმა ადამიანმა აკონტროლოს სხვა, რომელიც არჩეულია თოთხმეტი წლის ვადით? — არანაირად. „ფაქტობრივად, — წერს ამის შესახებ თავად ალან გრინსპენი, — მათი თანამდებობა ნაკლებად განსხვავდება სამუდამოსგან“.**

ფსს-ის სტრუქტურა ძალიან ჩახლართულია და ეს განზრახაა გაკეთებული. რათა ჩვეულებრივმა ადამიანმა ხელი ჩაიქნიოს და არ დაიწყოს დეტალებში ქექვა. ხალხი, რომელიც ირჩევს ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელს, ინიშნება 14 წლით. ხოლო ფსს-ის თავმჯდომარე, მოადგილე ინიშნებიან, ისევე, როგორც აშშ-ის პრეზიდენი – 4 წლით. თითქოს ლოგიკა გასაგებია: პრეზიდენტს, წასვლისას თან მიჰყავს თავისი გუნდი და, მათ შორის, ფედრეზერვის თავმჯდომარეც. მაგრამ პრაქტიკაში ყველაფერი სხვაგვარადაა. ალან გრინსპენი უცვლელად ხელმძღვანელობდა ფსს-ს 19 წლის განმავლობაში. იქნებ, მმართველი პარტია არ შეცვლილა? იქნებ, ესაა ფედრეზერვის თავმჯდომარის შეუცვლელობის მიზეზი?

**არა, პარტიები იცვლებოდა. ალან გრინსპენი ხელმძღვანელობდა ფსს-ს:**

*** პრეზიდენტ-რესპუბლიკელ რონალდ რეიგანის დროს;**

*** პრეზიდენტ-რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშ უფროსის დროს;**

*** პრეზიდენტ-დემოკრატ ბილ კლინტონის დროს;**

*** პრეზიდენტ-რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს.**

ყოველი ახალი პრეზიდენტი ხელახლა ნიშნავდა მას აშშ-ის უმაღლეს ფინანსურ თანამდებობაზე და ასე გრძელდებოდა, სანამ გრინსპენი არ გავიდა პენსიაზე.

პიროვნული თავისებურებანი? არა, იმავეს ვადევნებდით თვალს უფრო ადრეულ პერიოდში: 1979 წელს პრეზიდენტმა დემოკრატმა **ჯიმი კარტერმა** ფსს-ს თავმჯდომარის პოსტზე პოლ ვოლკერი დანიშნა. „როგორც შემდგომში გაირკვა, თავმჯდომარის პოსტზე ვოლკერის დანიშვნამდე კარტერმა საერთოდ არ იცოდა ამ ადამიანის არსებობა. თავმჯდომარის პოსტზე ვოლკერის კანდიდატურა დევიდ როკფელერმა და უოლსტრიტის ბანკირმა რობერტ რუსამ წარადგინეს, რომლებმაც დაარწმუნეს პრეზიდენტი, რომ სწორედ ვოლკერს ძალუძს ფინანსურ სამყაროში არსებული შფოთის ტალღის ჩახშობა“.

ჯიმი კარტერი ძალიან სათუთად აწარმოებს გადაადგილებებს თავის ხელისუფლებაში. და „მეგობრების რჩევით“ ნიშნავს საკვანძო პოსტზე ადამიანს, რომლის შესახებ საერთოდ არაფერი იცის!

მაგრამ, აი, პრეზიდენტი ხდება **რონალდ რეიგანი.** იგი რესპუბლიკელია. კარტერის გუნდი მიდის. ყველა, ერთის გარდა... პოლ ვოლკერის გარდა, რომელიც განაგრძობს მუშაობას. იქნებ, უპარტიოა და სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას, დარჩეს, მიუხედავად ამერიკული სახელმწიფოს საჭესთან მდგომი პარტიის შეცვლისა? არა, ვოლკერი დემოკრატიული პარტიის წევრია. მაგრამ რესპუბლიკელი რონალდ რეიგანი მას არ ცვლის, არამედ პირიქით — კვლავ ნიშნავს პოლ ვოლკერს ფედრეზერვის სათავეში 1983 წელს, როდესაც კარტერის მიერ მისი დანიშვნის ვადა ამოიწურა. ასე უხელმძღვანელებს პოლ ვოლკერი ფსს-ს 1987 წლამდე, ვიდრე ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე მას ალან გრინსპენი არ შეცვლის.

მაგრამ, იცით, რა არის ამ ყველაფერში ყველაზე საინტერესო? **2008 წლის 26 აგვისტოს ბარაკ ობამა გამოვიდა წინადადებით, შექმნილიყო ეკონომიკის აღდგენის საკონსულტაციო საბჭო (THE PRESIDENT'S ECONOMIC RECOVERY ADVISORY BOARD). აშშ-ის პრეზიდენტთან არსებული ეს სათათბირო ორგანო უნდა შედგეს არასამთავრობო ექსპერტებისგან. კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ბარაკ ობამამ შესთავაზა... ფსს-ის ყოფილ თავმჯდომარეს პოლ ვოლკერს.**

ესეც ასე, ვინ ელის კიდევ გადამწყვეტ ცვლილებებს ბარაკ ობამასგან?

ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებებს ვერ შეცვლის აშშ-ის ხელისუფლება. არც აშშ-ის ხაზინა, არც რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანო, არამედ ფედერალური სარეზერვო სისტემა უშვებს დოლარებს, უფრო სწორად, ასესხებს მათ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას.

ფედრეზერვი სახელმწიფოს ფულს აძლევს ხელისუფლების მიერ გამოშვებული ობლიგაციების სანაცვლოდ. შემდეგ, როცა აშშ აკრეფს გადასახადებს საწარმოებისა და მოქალაქეებისაგან, უბრუნებს ფსს-ს ვალს პროცენტებით, სახელისუფლებო ფასიანი ქაღალდები ხომ მფლობელს პროცენტის გარანტიას აძლევს. საინტერესო მომენტია. **ყველამ იცის, რომ სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები უშვებს ფასიან ქაღალდებს, და არავინ კითხულობს — რატომ არ უშვებს ეს სახელმწიფო იმავე თანხის ფულს?** ამ უცნაურობას ჯერ კიდევ ელექტრონის გამომგონებელი თომას ედისონი აღნიშნავდა: „აბსურდული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია 30 მილიონი დოლარის ობლიგაციის გამოშვება, მაგრამ არ შეუძლია დაბეჭდოს 30 მილიონი დოლარის ბანკნოტი. ორივე ფინანსური ინსტრუმენტი საგადასახადო ვალდებულებაა, მაგრამ პირველი მევახშეებისთვისაა მომგებიანი, მეორე კი ხალხს ეხმარება“.

**ფულით სპეკულირება შეუძლებელია, მას არ აქვს ნომინალური და საკურსო ღირებულება, ხოლო ობლიგაციებით შეიძლება და საჭიროცაა სპეკულირება: ობლიგაციების, აქციებისა და სხვა ფინანსური ქაღალდების ფასი მუდმივად იცვლება ფულის ღირებულებისგან განსხვავებით. ამიტომაა, რომ აშშ-ისა და მთელი მსოფლიოს ფინანსური სისტემა ასე ჰგავს საგიჟეთს...**

ფსს არის ამერიკის მთავრობის ყველაზე მსხვილი კრედიტორი. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მსესხებელი თავისი კრედიტორის „მიერ შეკვეთილ მუსიკას უკრავს“. უცნაურია? ეს უცნაურობა თქვენთვის გასაგები გახდება, თუ დარწმუნდებით, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მმართველობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ხოლო რეალური ძალაუფლება მას სულაც არ ეკუთვნის, ამიტომ ფსს-ის თავმჯდომარე მოდის თოთხმეტი წლის ვადით და, როგორც გინდა, შეიცვალონ პარტიები ვაშინგტონში, მხოლოდ ბუნებრივმა მიზეზებმა შეიძლება ხელი შეუშალოს მას, გამოიყენოს თავისი ვადა ბოლომდე.

არ გჯერათ? შეამოწმეთ!

აშშ-ის ისტორიაში როდის შეიცვალა ფსს-ს თავმჯდომარე გამარჯვებული პრეზიდენტის მიერ?

ფედერალური სარეზერვო სისტემი შექმნის ისტორია დეტექტივს წააგავს. რატომ უნდა ეთქვა ამერიკულ სახელმწიფოს დოლარების გამოშვებაზე უარი, როდესაც წარმატებით აკეთებდა ამას თითქმის 150 წლის მანძილზე? დოლარი ყოველთვის ძალიან კარგი ვალუტა იყო. ამ შემთხვევაში პოლიგრაფიული შესრულების ხარისხს არ ვგულისხმობ. გაიხსენეთ მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის რომანები. ასი დოლარი მაშინ დიდი ფული იყო. მყარი და ძვირი იყო მეოცე საუკუნემდე ფრანკიც, მარკაც, გირვანქა სტერლინგიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი დოლარი ორი სრულწონიანი სამეფო რუბლი ღირდა. ანუ, ამ რთულ საკითხს ვაშინგტონში აგვარებდნენ, თანაც კარგად. დიდხანს სწავლობდნენ. საკუთარი ფულის გამოჩენამდე აშშ-ში ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულ ფულს იყენებდნენ. 1785 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო დადგენილება დოლარის ფულადი ერთეულის სახით შემოღების შესახებ. 1792 წელს ფილადელფიაში ზარაფხანა დაარსდა და 1793 წელს პირველი ამერიკული დოლარები გაჩნდა.

რისთვის მისცეს ემისია კერძო კომპანიას? დაუსვით საკუთარ თავს ეს შეკითხვა. 121 წლის მანძილზე ამერიკელები წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ საფინანსო მოვალეობას და უცებ ეს უმნიშვნელოვანესი უფლება სხვას გადააბარეს. რატომ? ნუთუ სახელმწიფოს არ შეუძლია თავად ბეჭოს ფული? თუ ასეთი ელემენტარული რამის გაკეთება არ შეუძლია, რისი მაქნისია ასეთი სახელმწიფო საერთოდ?

„...ჩვენ გვიბრძანეს დაგვევიწყებინა გვარები და არ გვესადილა ერთად წასვლის წინა დღეს. ჩვენ უნდა მივსულიყავით დათქმულ დროს რკინიგზის სადგურზე ჰუძონის სანაპიროსთან ნიუ-ჯერსიში, უნდა მივსულიყავით სათითაოდ და რაც შეიძლება შეუმჩნევლად. სადგურთან ჩვენ დაგველოდებოდა სენატორ ოლდრიჩის პირადი ავტომობილი, რომელიც მიმაგრებული იყო სამხრეთის მატარებლის ბოლო ვაგონზე.

როდესაც ამ ავტომობილს მივუახლოვდი, ფარდები ჩამოფარებული იყო და მხოლოდ ყვითელი შუქის მკრთალი ნათება ავლენდა ფანჯრებს. როცა შიგნით აღმოვჩნდით, ჩვენ მივდიეთ გვარებზე დადებულ ტაბუს და ერთმანეთს მივმართავდით სახელებით – „ბენი“, „პაული“, „ნელსონი“ და „ეიბი“. ჩვენ გადავწყვიტეთ მეტი კონსპირაციისთვის მიგვემართა და უარი ვთქვით საკუთარ სახელებზე“.

რა არის ეს? კონსპირირებულ მზვერავთა შეხვედრის აღწერა? მაფიის უმაღლესი წევრების შეკრება? არა, ამგვარი სიტყვებით ერთ-ერთი მონაწილე აღწერს საიდუმლო თათბირს, რომელზეც მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნის შესახებ. იგი 1910 წელს ატლანტის ოკეანეში პატარა კუნძულ ჯეკილზე გაიმართა. კონსპირაციის ყველა წესის დაცვით, ბანკირები მიდიოდნენ კუნძულზე, მალავდნენ თავიანთ სახელებსა და გვარებს. ჩამოსვლის შემდეგ შენიღბვა უფრო ძლიერდებოდა.

ამ თათბირზე, რომელიც დღეს Jekyll Island Club Hotel-ის სახელით ცნობილი სასტუმროს ერთ-ერთ აკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობდა, სენატორმა ნელსონ ოლდრიჩმა შეიტანა წინადადება, რომ შეერთებულ შტატებში შექმნილიყო კერძო ცენტრალური ბანკი სახელწოდებით „ფედერალური სარეზერვო სისტემა“. საბაბი საკმაოდ კეთილშობილური მოიფიქრეს. ამერიკის სენატს აუხსნეს, რომ აუცილებელია ორგანო, რომელიც პროფესიულად შეებრძოლება ფინანსურ არასტაბილურობას. აქედან გამომდინარე, ჯერ სწორედ ეს არასტაბილურობა უნდა შექმნილიყო... და იგი შექმნეს.

**გაგრძელება იქნება**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფარავს რა დედამიწის ორ მესამედს, წყალი ზემოქმედებს პრაქტიკულად ყველა პროცესზე, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე მიმდინარეობს. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ აკვანს ყველა ცოცხალი არსებისთვის, არამედ მუდმივად უწყობს ხელს სიცოცხლის შენარჩუნებას მილიარდობით წლის განმავლობაში.**

# ზოგი რამ წყლის შესახებ

**წყალი სიცოცხლის საფუძველია. არა მხოლოდ დედამიწის ზედაპირი, არამედ მისი სიღრმე და მთელი ბიოსფერო განისაზღვრება და დამოკიდებულია წყლის არსებობასა და მის თვისებებზე. წყალზეა დამოკიდებული პლანეტის კლიმატი. გეოფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ დედამიწა დიდი ხნის წინათ გაცივდებოდა და გადაიქცეოდა უსიცოცხლო ქვების გროვად, რომ არა წყალი. დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 60%-ს შეადგენს ზონები, რომლებშიც არ არის მტკნარი წყალი ან იგრძნობა მისი მწვავე ნაკლებობა. პლანეტაზე დაახლოებით მილიარდი ადამიანი იტანჯება ავადმყოფობებით, რომლებიც წყლის ნაკლებობით ან არასრულფასოვანი წყლის მოხმარებითაა გამოწვეული. წყლის ხარისხზეა დამოკიდებული ჩვენი ცხოვრების ხარისხიც.**

ხმელეთის წყლები შთანთქავენ და გასცემენ დიდი რაოდენობით სითბოს და ამით „აწონასწორებენ" კლიმატს. კოსმოსური სიცივისგან კი დედამიწას იცავს წყლის ის მოლეკულები, რომლებიც გაბნეულია ატმოსფეროში ღრუბლებისა და ორთქლის სახით.

ფარავს რა დედამიწის ორ მესამედს, წყალი ზემოქმედებს პრაქტიკულად ყველა პროცესზე, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე მიმდინარეობს. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ აკვანს ყველა ცოცხალი არსებისთვის, არამედ მუდმივად უწყობს ხელს სიცოცხლის შენარჩუნებას მილიარდობით წლის განმავლობაში.

რთულია, მოიძებნოს ბუნებრივი სხეული, რომლის შემადგენლობაშიც არ არის წყალი. წყალს (ნესტს) შეიცავს ქვები და ცეცხლოვანი მაგმაც კი (გამდნარი ქანების მასა). წყლისგან შედგება მცენარეთა სამყაროს 70-95%.

წყალი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ, უნიკალურ, მარტივ და ამავე დროს ყველაზე რთულ და იდუმალ ნივთიერებას დედამიწაზე. მასზე დაიწერა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ წყალი ბოლომდე შესწავლილი ჯერაც არ არის.

**დედამიწაზე არსებულ ყველა ნივთიერებას შორის წყალი თავისი ფიზიკური, ქიმიური და კვანტურ-მექანიკური თვისებებით განსაკუთრებულია და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ორგანული სიცოცხლის არსებობაში.**

წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც გვხვდება უზარმაზარი რაოდენობით და ბუნებრივ პირობებში სამივე აგრეგატულ (ფიზიკურ) მდგომარეობაში — მყარი, თხევადი და აირის სახით.

XVIII საუკუნის შუა პერიოდამდე, წყალი ითვლებოდა დაუყოფელ ნივთიერებად. მხოლოდ 1783 წელს ფრანგი ქიმიკოსი **ანტუან ლორან ლავუაზიე** მივიდა დასკვნამდე, რომ წყალს რთული აგებულება გააჩნია და მის შემადგენლობაში შედის წყალბადი და ჟანგბადი.

ამის შემდეგ, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, წყალს ყველა თვლიდა უსუნო, უგემო და უფერო შენაერთად, რომელის აღწერაც შეიძლებოდა ერთადერთი შესაძლებელი ფორმულით — $H_2O$ (წყალბადის ოქსიდი).

1932 წელს კი მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ ბუნებაში, ჩვეულებრივი წყლის გარდა, არსებობს ეგრეთ წოდებული მძიმე წყალი. ხოლო დღეისათვის ცნობილია, რომ წყლის იზოტოპური ნაირსახეობა შეიძლება 135-მდე აღწევდეს. მეცნიერები განაგრძობენ კვლევებს და ახალ აღმოჩენებს.

**დედამიწის ყოველდღიურად მოსახლეობა მოიხმარს 7-8 მილიარდ ტონა წყალს. მართალია, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ რაციონალური მოხმარების შემთხვევაში წყლის რესურსები ამოუწურავია, მაგრამ ადამიანის ზრდად მოთხოვნებს შეიძლება მოჰყვეს წყლის რესურსების ბუნებრივი აღდგენის შესაძლებლობებისა და ბუნების წონასწორობის დარღვევა.**

ბოლო 40 წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა თითქმის გაორმაგდა და მიმდინარე ასწლეულის შუა წლებში, შესაძლოა, კიდევ გაორმაგდეს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ძირითადი ზრდა შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში, სადაც წყლის რესურსები პრაქტიკულად ამოწურულია.

**დღეს მასობრივად ხელმისაწვდომ წყალს ეგრეთ წოდებული ონკანის წყალი წარმოადგენს, რომელიც ნაკლებად დგას თვისებებით ბუნებრივ, მაცოცხლებელ და ცხოველმყოფელ წყალთან.**

**ამის მიზეზია უკვე დიდი ხნის წინათ მოძველებული წყალგაყვანილობის მილები, წყლის ფილტრაციის არქაული სისტემები და სხვ.**

განვითარებულ ქვეყნებში ონკანის წყლის გაწმენდა და გაფილტვრა, უკვე დიდი ხანია, იონიზაციის მეთოდით წარმოებს, თუმცა ასეთი წესით მიღებულ წყალსაც ნაწილობრივ გამოიყენებენ მხოლოდ საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით.



**ემოტომ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: აილო წყლით სავსე ორი ჭურჭელი და ერთზე დააწერა სიტყვა «მადლობა», ხოლო მეორეზე «შენ ყრუ ხარ». პირველ შემთხვევაში წყალში მოხდა ლამაზი კრისტალების ფორმირება, ხოლო მეორეში ან საერთოდ არ მოხდა კრისტალიზაციის პროცესი, ან წარმოიქმნა არასასიამოვნო ფორმის კრისტალები**



## რისთვისაა საჭირო წყალი

**წყალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლისთვის. ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობა მის გარეშე შეუძლებელია. თუ ცოცხალ არსებას წყლით მომარაგებას შევუწყვეტთ, გაცილებით სწრაფად დაიღუპება, ვიდრე შიმშილობისას.**

ეს იმიტომ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის (მეტაბოლიზმის) ყველა პროცესი წყლის მონაწილეობით მიმდინარეობს. წყალი უნივერსალური გამხსნელი და ბიოქიმიური პროცესების აქტიური კომპონენტია. ის სისხლის, ლიმფისა და ქსოვილოვანი სითხის შემადგენელი ნაწილია და მარილებთან ერთად ორგანიზმის შინაგანი გარემოს შექმნაში მონაწილეობს. მისი მუდმივი მიწოდება კი იმიტომ არის აუცილებელი, რომ ორგანიზმი მას განუწყვეტლივ კარგავს.

**უწყლოდ წარმოუდგენელია სისხლის, გულისა და სისხლძარღვების, ფილტვების, კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების ნორმალური ფუნქციობა.**

**ახალშობილის სხეულში წყლის ოდენობა საერთო მასის დაახლოებით 80%-ს შეადგენს. ორგანიზმის ზრდის კვალდაკვალ მისი წილი მცირდება და მოწიფული ასაკისთვის 65%-მდე იკლებს, თუმცა ეს მაინც აღემატება ერთად აღებული ყველა დანარჩენი ელემენტის მასას.**

წყალი დაბერების პროცესის ინდიკატორია. ბავშვის ორგანიზმი დაბადებიდან ერთი წლის ასაკამდე შეიცავს 80-85% წყალს. 18 წლის ასაკისთვის ორგანიზმში წყლის შემცველობა მცირდება 65-70%-მდე, ხოლო მოხუცებულობაში — 25%-მდე.

ბევრი მეცნიერი იხრება იმ აზრისკენ, რომ ახლგაზრდობის შენარჩუნების საიდუმლო ორგანიზმის ხარისხიანი წყლით და იმ რაოდენობით მომარაგებაშია, რომელიც აუცილებელია ნივიერებათა ცვლის ნორმალური პროცესისთვის.

**ყველაზე მეტი წყალი სისხლშია (92%). კუნთებში მისი ოდენობა 77%-ს აღწევს, შინაგან ორგანოებში — 87-86%-ს. ყველაზე ნაკლებ წყალს ძვლები (22%) და ცხიმოვანი ქსოვილი (30%) შეიცავს. თავის ტვინის 75% წყლისგან შედგება.**

წყალი უნივერსალური გამხსნელია, იგი ასრულებს „სატრანსპორტო სისტემის" როლს (გადააქვს მკვებავი ნივთიერებები, ანტისხეულები, ენზიმები, მეტაბოლიზმის პროდუქტები და ა.შ.), გამოაქვს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროცესის პროდუქტები და ხელს უწყობს თერმული წონასწორობის შენარჩუნებას.

## რამდენი წყალი სჭირდება ადამიანს

ორგანიზმში წყლის რაოდენობის მხოლოდ 1,5%-ით შემცირება იწვევს ძლიერ წყურვილს, ცუდ თვითშეგრძნებას, ძილიანობას, შენელებულ მოძრაობას, გულისრევას და ზოგჯერ კანის გაწითლებას.

*** თუ ორგანიზმში ტენის შემცველობა მცირდება 6-10%-ით, ამას ახლავს თავის ტკივილი, ქოშინი, შეწყვეტილია ნერწყვის გამოყოფა, გართულებულია გადაადგილების შესაძლებლობა, დარღვეულია ლოგიკური აზროვნების უნარი.**

*** წყლის დანაკლისი 11-20%-ით იწვევს კუნთების სპაზმს, ბოდვას, სმენისა და მხედველობის დაქვეითებას. ხოლო თუ ორგანიზმი კარგავს წყლის 25%-ს, ეს სიკვდილს იწვევს.**

მოხმარებული წყლის მასის ორგანიზმიდან გამოყოფილი წყლის მასასთან შეფარდებას წყლის ბალანსი ეწოდება.

* წყლის სადღეღამისო ბალანსი გარემოს, კვების, სმის რეჟიმის, ფიზიოლოგიური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორთა კვალობაზე მერყეობს. ჰაერის მაღალი ტემპერატურის პირობებში წყლის გაცემა მკვეთრად ძლიერდება — შესაძლოა, დღეში 5000-8000 მლ-ს მიაღწიოს. ორგანიზმიდან წყალი დიდი რაოდენობით გამოიყოფა დაძაბული კუნთოვანი მუშაობისა და სხვადასხვა სახის ფიზიკური დატვირთვის დროს. ამ შემთხვევაში, მარილებით გალარიბებისგან რომ დავიცვათ, ორგანიზმს წყალი უნდა მივაწოდოთ.

*** სხეულის მიერ წყლის მინიმალური ყოველდღიური მოთხოვნა 1700 მლ-ია — დაახლოებით 2 ლიტრი ან 8 ჭიქა წყალი, როგორც ამას ხშირად გვირჩევენ დიეტოლოგები, კოსმეტოლოგები და ექიმები.**

## როდის და როგორ დავლიოთ

ის, ვინც არ სვამს წყალს, საშუალებას აძლევს გადამუშავებულ ნარჩენებს, უჯრედებსა და სისხლძარღვებში დაგროვდეს, აჩქარებს სხვადასხვა დაავადების წარმოქმნას.

**სასურველია, საუზმემდე 2 ჭიქამდე წყლის დალევა. თუ მასში ლიმონის წვენს ჩააწურავთ, ამით გაციების პროფილაქტიკასაც მოახდენ. გაყინული წყლის მიღება არ არის სასურველი, რადგან ცუდად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. ცხელი წყლის მიღებაც არ არის რეკომენდებული, რადგან კბილის საფარს აზიანებს.**

ოღონდ, არ უნდა აგვერიოს სითხის მიღება წყლის მიღებაში. ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, ხელოვნური სასმელები წყალს კი შეიცავს, მაგრამ ასევე შედგება ქიმიური კომპონენტებისგან და ხელს უწყობს გაუწყლოებას.

უმეტესობა თვლის, რომ საჭირო რაოდენობით წყლის დალევა ყოველდღიურად არც ისე მარტივი საქმეა.

ზრდასრული ადამია- ▶

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უწყლოდ წარმოუდგენელია სისხლის, გულისა და სისხლძარღვების, ფილტვების, კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების ნორმალური ფუნქციობა. ახალშობილის სხეულში წყლის ოდენობა საერთო მასის დაახლოებით 80%-ს შეადგენს. ორგანიზმის ზრდის კვალდაკვალ მისი წილი მცირდება და მოწიფული ასაკისთვის 65%-მდე იკლებს, თუმცა ეს მაინც აღემატება ერთად აღებული ყველა დანარჩენი ელემენტის მასას.**

◀ ნების მხოლოდ 43% სვამს დღეში არანაკლებ 4 ჩაის ჭიქა წყალს, მაგრამ არსებობს მარტივი მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ ყოველდღიურად მეტი წყლის დალევაში.

*** ძილის წინ 1 ჩაის ჭიქა წყალი დაიდგით საწოლთან, ტუმბოზე და გაღვიძებისთანავე დალიეთ.**

*** თუ გსურთ, გაამდიდროთ წყლის გემო, დაუმატეთ ხილი და ბოსტნეულიც კი: საზამთრო, ანანასი, კენკროვნები, ციტრუსები, კიტრი ან პიტნა. ძალიან გემრიელია ჟოლოსა და ლიმონის ერთობლიობა.**

*** თუ ახალ ტანსაცმელში უფრო ენერგიულად და თავდაჯერებულად გრძნობთ თავს, იგივე გააკეთეთ წყლის ჭურჭლის მიმართაც. მაგალითად, ფიტნესისთვის აიღეთ წყლის მოდური ჭურჭელი. სახლისთვის შეარჩიეთ ყველაზე საინტერესო დოქი.**

*** დაასრულეთ დღე ფინჯანი ჩაით. მიუხედავად იმისა, რომ წყალი ჯანმრთელობის ნამდვილი ელექსირია, ბალახეული ჩაით ჰიდრატაციას დამატებითი უპირატესობები გააჩნია. ცხელ წაყლში დაუმატეთ ცოტა ლიმონი და ამგვარად იმუნური სისტემის სტიმულაციას მოახდენთ. პიტნის დამატებით მოიწესრიგებთ ძილსა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებას. გარდა ამისა, შეძლებთ წონის გაკონტროლებასა და ორგანიზმიდან ტოქსინების გამოძევებას.**

## რა არის წყურვილი

წყლის მოცულობის შემცირებისას უჯრედებში მარილთა კონცენტრაცია იმატებს, შედეგად კი ნივთიერებათა ცვლის ნორმალური პროცესი ირღვევა.

ორგანიზმებს, რომლებიც მოკლებულნი არიან წყლის სმის შესაძლებლობას, ქსოვილთაშორისი სითხე ნორმალურ პირობებთან შედარებით კონცენტრირებული აქვთ. ამის გამო უჯრედის გარეთ ოსმოსური წნევა იმატებს და წყალი უჯრედებიდან ქსოვილთაშორის სითხეში გადაინაცვლებს, ამას თან სდევს უჯრედების წყლისგან დაცლა — დეჰიდრატაცია და მათი მემბრანების შეჭმუხვნა. უჯრედების დეჰიდრატაციას აღიქვამენ სარეგულაციო სისტემის დეტექტორები, რომელთა გააქტიურებაც ორგანიზმში წყლის ბალანსის აღსადგენად მოწოდებულ რეფლექსურ სისტემას აამოქმედებს და აღმოცენდება წყურვილის შეგრძნება.

არსებობს სხვაგვარი წყურვილიც, რომელსაც სისხლის ოდენობის შემცირება განაპირობებს. ის მაშინ იჩენს თავს, როცა სისხლის პლაზმის, ანუ სისხლძარღვებში მოძრავი სითხის მოცულობა მცირდება. ასეთი რამ ხდება ბევრი სისხლის დაკარგვის, პირღებინებისა და ფაღარათის შემთხვევაში.

როცა ქსოვილებში წყლის რაოდენობა იკლებს, საკონტროლო პუნქტები მაშინვე განგაშს ტეხენ. თავის ტვინში არსებული წყურვილის ცენტრი საჭიროების შემთხვევაში უმალ აღიგზნება და განგაშის ჰორმონებს გზავნის. ეს ჰორმონები სისხლის მეშვეობით ხვდება ყელში. იქ არსებული წყურვილის ჰორმონებისადმი მგრძნობიარე უჯრედები ტვინს ატყობინებენ, რომ გვწყურია, თავის ტვინის ქერქი კი მყისიერ ბრძანებას გასცემს, რომ წყალი დავლიოთ.

## სჭირდება თუ არა წყალი ჩვილს

არსებობს მოსაზრება, რომ ჩვილი დედის რძესთან ერთად საკმარისი რაოდენობის სითხეს იღებს, მაგრამ წყალი მისთვის აუცილებელია ხელოვნური კვების დროს, ზაფხულში კი წყურვილი ბავშვმა ჩვენსავით, მოზრდილებივით, წყლით უნდა მოიკლას.

მშრალ და ცხელ ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ **ბუნებრივ კვებაზე მყოფი ჩვილები უფრო ნაკლებად განიცდიან ორგანიზმის გამოშრობას, ვიდრე ისინი, რომლებიც დედის რძესთან ერთად სხვა სითხესაც იღებენ. ჩვილი შიმშილსა და წყურვილს დედის რძით იკლავს — მისი 85-90% ხომ წყალია. ის ოპტიმალური რაოდენობით შეიცავს ყველა საჭირო მინერალურ ნივთიერებას, რომელთა ბალანსის დარღვევასაც გამოშრობამდე მივყავართ.**

სიცოცხლის პირველ თვეებში დედის რძესთან ერთად წყლის მიცემა სახიფათოც კია — შესაძლოა, ამან საკვებით დაუკმაყოფილებლობა გამოიწვიოს. ამ ასაკში ჩვილის კუჭს შეზღუდული ოდენობის საკვების მიღება შეუძლია. ეს ოდენობა სხეულის მასის 1/6-1/5-ს უდრის. ახალშობილის ნერვული სისტემის თავისებურება ისეთია, რომ წყალი მის ცრუ დაკმაყოფილებას იწვევს. გამოდის, რომ, თუ ბავშვმა 100 მლ წყალი დალია, ამავე ოდენობის რძეს ვეღარ მოწოვს. არადა, რძეზეა დამოკიდებული მისი ზრდა-განვითარება, წყალს კი განსაკუთრებული სარგებლობა ამ პერიოდში არ მოაქვს.

ახალშობილი სტერილური ნაწლავით იბადება, რომელშიც 6 თვემდე სახლდება სასარგებლო მიკროორგანიზმები. დედის რძე ხელს უწყობს ბუნებრივი მიკროფლორის საჭირო ბალანსის შენარჩუნებას, დამატებითი საკვების ან წყლის მიღებისას კი სასარგებლო და მავნე მიკროორგანიზმების წონასწორობა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ ირღვევა, ანუ ყალიბდება დისბიოზი.

**გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩვილებს, რომლებიც დედის რძესთან ერთად სხვა სითხესაც იღებენ, სამჯერ უფრო ხშირად აღენიშნებათ კუჭ-ნაწლავის ფუნქციის დარღვევა, ვიდრე მხოლოდ დედის რძეზე მყოფებს. კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: დედის რძე წოვის შედეგად გამომუშავდება, რამდენსაც მოწოვს ჩვილი, იმდენივე წარმოიქმნება შემდეგში. თუ ჩვილმა წყალი დალია, ნაკლებ რძეს მოწოვს, ამის კვალობაზე, ლაქტაციაც შემცირდება.**

ხელოვნურ და შერეულ კვებაზე მყოფ ბავშვებს, წყალი, რასაკვირველია, სჭირდებათ. ამ შემთხვევაში **პირველი 6 თვის განმავლობაში ბავშვმა უნდა მიიღოს 80-150 მლ სხეულის მასის ყოველ კილოგრამზე; 6 თვიდან 1 წლამდე — 130მლ/კგ; 1-დან 3 წლამდე - 100მლ/კგ.**



**ადამიანს შეუძლია, უჭმელად გაძლოს 6 კვირა, მაგრამ უწყლოდ — მხოლოდ 5-6 დღე. ცხოვრების განმავლობაში ერთი ადამიანი საშუალოდ 35 ტონა წყალს სვამს. ორგანიზმში წყლის რაოდენობის 2%-ით შემცირება 20%-ით ამცირებს გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას**

## იდუმალი და ამოუწურავი

წყალი უბრალო, მარტივი და ყველზე მეტად გავრცელებული ნივთიერებაა დედამიწაზე, მაგრამ, ამასთანავე, ის თავის თავში ძალიან ბევრ გამოცანას ინახავს. საუკუნეებია, მეცნიერები გამუდმებით იკვლევენ მას და სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებენ.

იუნესკოს მონაცემების მიხედვით, **დედამიწაზე არსებული წყლის მარაგიდან ყველაზე სუფთა წყალი ფინეთშია. სულ ამ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 122 ქვეყანამ.**



რომელი წყალი უფრო სწრაფად გადაიქცევა ყინულად — ცხელი თუ ცივი? ლოგიკური პასუხია ცივი, თუმცა ცდები გვიჩვენებს, რომ ყინულად ცხელი წყალი გაცილებით სწრაფად იქცევა, ვიდრე ცივი. თუ რატომ ხდება ეს, მეცნიერებს ჯერჯერობით ზუსტი პასუხი არ აქვთ.

**სასკოლო ფიზიკის კურსიდან, ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ წყალი 0 გრადუსზე იყინება, ხოლო 100 გრადუსზე დუღს, მაგრამ არსებობს ეგრეთ წოდებული ზეგადაცივებული წყალი. ეს თვისებები აქვს ძალიან სუფთა წყალს მინარევების გარეშე. გაყინვის წერტილზე უფრო მეტ დაბალ ტემპერატურაზეც კი ასეთი წყალი თხევადი რჩება.**

წყალს აქვს 3 აგრეგატული მდგომარეობა: მყარი, თხევადი და აირის, მაგრამ მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ წყალს კიდევ აქვს 5 აგრეგატული მდგომარეობა თხევად მდგომარეობაში და 15 — აირის მდგომარეობაში.

თუ განაგრძობთ სუფთა გაყინული წყლის გაყინვას, შეამჩნევთ უჩვეულო გარდაქმნებს. მინუს 120ºC-ზე, წყალი გახდება სუპერბლანტი და წელვადი, ხოლო თუ წყალს მინუს 135ºC გრადუსამდე გაავცივებთ, ის გადაიქცევა „მინისებრ წყლად“. მინისებრი წყალი მყარი ნივთიერებაა, რომელსაც ისეთივე სტრუქტურული აგებულება აქვს, როგორც მინას.

**წყალს აქვს უარყოფითი თვისებაც — ის დაავადებების ყველაზე დიდი გადამტანია. დედამიწაზე არსებული დაავადებებისა და ინფექციების 86% წყლის მეშვეობით ვრცელდება. ამ დაავადებებით ყოველწლიურად 25 მილიონამდე ადამიანი იღუპება.**

წყალი მუხტავს საკვებს ენერგიით, რომლის შემდეგაც საკვების ნაწილაკები ამ ენერგიას გადასცემენ მთელს ორგანიზმს. დამტკიცებულია, რომ საკვებს წყლის გარეშე არ გააჩნია არავითარი ენერგეტიკული ღირებულება ადამიანის ორგანიზმისთვის.

ჰიდროლოგიური ციკლი (წყლის წრებრუნვა) პლანეტაზე გამოიმუშავებს იმაზე მეტ ენერგიას, ვიდრე მთელი კაცობრიობა მისი არსებობის მანძილზე. 20 წუთის განმავლობაში ერთ ძლიერ წვიმასა და ჭექა-ქუხილს შეუძლია დედამიწაზე დაღვაროს 125 მილიონი ლიტრი წყალი.

დედამიწის წყლის მარაგის მხოლოდ 3%-ია მტკნარი და მისი უდიდესი ნაწილი მყინვარებზე მოდის.

**ადამიანს შეუძლია, უჭმელად გაძლოს 6 კვირა, მაგრამ უწყლოდ — მხოლოდ 5-6 დღე. ცხოვრების განმავლობაში ერთი ადამიანი საშუალოდ 35 ტონა წყალს სვამს. ორგანიზმში წყლის რაოდენობის 2%-ით შემცირება 20%-ით ამცირებს გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას.**

**დედამიწის მანტია (მყარი დედამიწის გარსი) შეიცავს 10-12-ჯერ მეტ წყალს, ვიდრე მსოფლიო ოკეანე.**

**მსოფლიო ოკეანე ფარავს პლანეტის დაახლოებით 71%-ს, საშუალო სიღრმით 4 კმ და შეიცავს 97,6% თავისუფალი წყლის ცნობილ მსოფლიო მარაგებს.**

**მსოფლიოში არსებული ყველა ყინულის დნობის შემთხვევაში ჩვენს პლანეტაზე წყლის დონე აიწევდა 64 მეტრით (წარმოიდგინეთ დაახლოებით 20-სართულიანი სახლი) და ხმელეთის 1/8 წყლით დაიფარებოდა.**

ზღვის წყალი კვებითი ღირებულების მქონე სუბსტანციაა. ასეთი წყლის 1 კუბური სანტიმეტრი შეიცავს 1,5 გრამ ცილას და, აგრეთვე, სხვა მკვებავ ნივთიერებებს. მეცნიერები თვლიან, რომ მხოლოდ ატლანტის ოკეანე შეიცავს იმდენ მკვებავ ნივთიერებას, რამდენსაც დედამიწაზე 20 000 წლის განმავლობაში მოწეული მოსავალი ერთად.

## წყლის მეხსიერება

დღეს უკვე დამტკიცებულია თეორია წყლის ინფორმაციული მეხსიერების შესახებ. წყლის ინფორმაციული მეხსიერება არის წყლის თვისება, აღიქვას და გადასცეს ნეგატიური ან პოზიტიური ინფორმაცია იმ მატერიის შესახებ, რომელთანაც მას ადრე ჰქონია კონტაქტი.

წყალი რეაგირებს მის ირგვლივ მყოფი ადამიანების აზრებსა და ემოციებზე, აგრეთვე, მოვლენებზე, რომლებიც ხდება საზოგადოებაში. ინფორმაციის დაგროვების შედეგად წყლის კრისტალები იცვლის ფორმას (ლამაზდება, თუ ინფორმაცია კეთილმოსურნე და დადებითია და პირიქით — მახინჯდება და ირღვევა, თუ ინფორმაცია ნეგატიური, შეურაცხმყოფელი და უარყოფითია).

დაახლოებით 200 წლის წინათ, გერმანელმა მეცნიერმა სამუელ ფრიდრიხ ჰანემანმა, მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ შენიშნა, რომ სამკურნალო მედიკამენტური ხსნარის კონცენტრაციის შემცირება არათუ ასუსტებდა, არამედ პირიქით, აძლიერებდა მისი მოქმედების ეფექტიანობას. ნივთიერებები, რომლებიც გაზავებული იყო ათი ათასჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ, ახდენდა ავადმყოფებზე უფრო ძლიერ ზემოქმედებას და ხელს უწყობდა მათ სწრაფად გამოჯანმრთელებას.

აღმოჩნდა, რომ პოტენცირების პროცესი ნივთიერებისგან გადასცემდა ინფორმაციას წყალს ან წყლისა და ეთანოლის ნაზავს, მაგრამ იმ დროს არავინ იცოდა, რომ ეს ფენომენი წარმოადგენდა წყლის მეხსიერებას.

მას შემდეგ ძალიან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ხელშესახები ძვრები ამ მიმართულებით არ შეიმჩნეოდა. წყლის მეხსიერების კვლევის საქმეში გარდამტეხი როლი ითამაშა იაპონელმა მეცნიერმა, დოქტორმა **მასარუ ემოტომ.** იგი პირველი ალაპარაკდა წყლის მეხსიერებაზე და მის სტრუქტურულ-კრისტალურ თვისებებზე. ემოტოს კვლევების საწყის მომენტად იქცა ამერიკელი ბიოქიმიკოსის — ლი ლორენცანის ნამუშევრები, რომლებზეც მეცნიერი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მუშაობდა და ამტკიცებდა, რომ წყალს შეუძლია აღიქვას, დააგროვოს და დაიმახსოვროს მისთვის გადაცემული ინფორმაცია.

დოქტორი **ლი ლორენცანი** ატარებდა ექსპერიმენტებს ბიორეზონანსული მეთოდებით და აღმოაჩინა, წყლის მიკრომოლეკულების სტრუქტურების რომელ ნაწილში იყო შესაძლებელი ინფორმაციის შენახვა.

**დოქტორმა ემოტომ უამბო და აჩვენა მსოფლიოს, რომ წყალი, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა საგნებს, აღიქვამდა ადამიანის ხმას, საუბარს, მუსიკას, ლოცვას, ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას, აუდიო და ვიდეო გამოსახულებას, სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილ ან წარმოთქმულ ტექსტს და ა.შ. და ამ ყველაფერს იმახსოვრებდა და იწერდა თავის სტრუქტურაში.**

ემოტოს თეორიით, წყლის მეხსიერება ყოვლისმომცველია, საზღვრები არ გააჩნია და იტევს ყველა იმ ინფორმაციას, რომელსაც იღებს გარე სამყაროსგან. წყლის სტრუქტურა ისეთი მოძრავი და მგრძნობიარეა, რომ რეაგირებს ექსპერიმენტის დროს ოთახში შემოსულ უცხო ადამიანზეც კი.

**ემოტომ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: აიღო წყლით სავსე ორი ჭურჭელი და ერთზე დააწერა სიტყვა „მადლობა“, ხოლო მეორეზე „შენ ყრუ ხარ“. პირველ შემთხვევაში წყალში მოხდა ლამაზი კრისტალების ფორმირება, ხოლო მეორეში ან საერთოდ არ მოხდა კრისტალიზაციის პროცესი, ან წარმოიქმნა არასასიამოვნო ფორმის კრისტალები.**

დოქტორ ემოტოს სწამდა, რომ წყალი ირეკლავს კაცობრიობის ცნობიერებას. მის ლაბორატორიაში ჩაატარეს მრავალი ექსპერიმენტი იმ მიზნით, რომ ეპოვათ სიტყვა, რომელიც ყველაზე კარგ გავლენას ახდენდა წყალზე და წმენდდა მას. შედეგად დადგინდა, რომ ეს არის არა ერთი, არამედ ორი სიტყვა: **„სიყვარული“** და **„მადლიერება“.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეცნიერებმა ალმასზე მყარ Q-ნახშირბადს მიაგნეს

**ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მკვლევარებმა, ჯეი ნარაიანის ხელმძღვანელობით, მყარი ნახშირბადის ახალი ფაზა აღმოაჩინეს, რომელსაც Q-ნახშირბადი უწოდეს. ავტორების განცხადებით, იგი განსხვავდება გრაფიტისა და ალმასისაგან.** შემუშავებულია ასევე Q-ნახშირბადის ბაზაზე ალმასის მაგვარი მასალის მიღების ტექნოლოგია ოთახის ტემპერატურასა და ატმოსფერულ წნევაზე. Q-ნახშირბადს რამდენიმე საინტერესო თვისება გააჩნია. იგი მყარი ნახშირბადის სხვა ფორმებისგან განსხვავებით ფერომაგნიტურია და სიმტკიცით ალმასს აღემატება.



# ყველაზე საბრალო ბავშვები

**ამ ბავშვების ისტორიებმა თავის დროზე მსოფლიო შეძრა. მსოფლიოს ახსოვს შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მიზეზით ბავშვები გარე სამყაროსგან იზოლირებულად გაიზარდნენ. გერმანული წარმომავლობის ლონდონელმა ფოტოგრაფმა ჯულია ფულერტონ-ბატენმა ამ ბავშვებს მიუძღვნა ფოტოპროექტი სახელწოდებით Feral Children. თუმცა ფოტოებზე ასახულია დადგმული სცენები, ამ ბავშვების ისტორიები სრულიად რეალურია.**



## კამალა და ამალა, ინდოეთი, 1920 წელი

**1920 წელს 8 წლის კამალა და 18 თვის ამალა ინდოეთის ჯუნგლებში ქრისტიანმა მისიონერმა ჯოზეფ სინგჰომ იპოვა.** გოგონები უმი ხორცისა და რძის მეტს არაფერს ჭამდნენ. ლაპარაკი არ იცოდნენ და არც ღამით ეძინათ. პატარა ამალა ერთ წელიწადში გარდაიცვალა, მისმა დამ კი კიდევ 8 წელი იცოცხლა. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვის სწავლა მოახერხა.



## ბიჭი-ლეოპარდი, ინდოეთი, 1912

**2 წლის იყო, როცა ლეოპარდმა გაიტაცა.** სამი წლის შემდეგ ლეოპარდი მონადირემ მოკლა და მისი სამი შვილიც იპოვა: ორი ლეოპარდი და ერთიც 5 წლის ბიჭუნა. ბიჭი ოჯახში დააბრუნეს. ცოტა ხანში ბავშვმა ნორმალურად სიარულიც ისწავლა და ლაპარაკიც.



## მადინა, რუსეთი, 2013

**სამი წლის მადინა დაბადებიდან ძაღლის ბუნაგში ცხოვრობდა, ძაღლთან ერთად ჭამდა ერთი ჭურჭლიდან, ოთხით დადიოდა.** არ იცოდა, რა იყო ტანსაცმელი. დედამისი, 23 წლის ანა, ძალიან გაოცდა, ინსპექტორებმა რომ ბავშვი ჩამოართვეს. დარწმუნებული იყო, რომ შვილს კარგად უვლიდა.



## ჯენი, აშშ, 1970

**როცა ჯენი სულ პატარა გახლდათ, მამამისმა რატომღაც ჩათვალა, რომ გოგონა გონებრივად ჩამორჩენილი იყო.** გოგონა მთელი დღის განმავლობაში საბავშვო უნიტაზის სავარძელზე იყო მიბმული სახლის ერთ მიყრუებულ ოთახში. ჯენიმ თითქმის 10 წელი გაატარა ამ მდგომარეობაში ისე, რომ პრაქტიკულად არ ამდგარა. 13 წლის იყო, როცა სოციალურმა სამსახურმა რაღაც იეჭვა. გოგონამ ლაპარაკი არ იცოდა და ძალიან უცნაურად გადაადგილდებოდა. მშობლებს ბავშვი ჩამოართვეს და მასზე კვლევების ჩატარება დაიწყეს. ჯენიმ სიტყვების სწავლა დაიწყო და პატარა ტექსტების კითხვასაც შეუდგა. 1974 წელს კი მისი მკურნალობის დასაფინანსებელი პროგრამა შეჩერდა და გოგონა გონებრივად ჩამორჩენილთა დაწესებულებაში მოათავსეს.



## მარინა ჩაპმენი, კოლუმბია, 1959

**მარინა 1954 წელს 5 წლის ასაკში მოიტაცეს. გამტაცებლებმა მდევრის შიშით გოგონა ჯუნგლებში მიატოვეს.** ის მაიმუნ კაპუცინებთან მოხვდა. როცა მონადირეებმა იპოვეს, გოგონას ლაპარაკი დავიწყებული ჰქონდა. ამით მპოვნელებმა ისარგებლეს და გოგონა ბორდელს მიჰყიდეს. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იხსნა ერთ-ერთმა კლიენტმა და ბოგოტაში ჩაიყვანა. ის თავის გადამრჩენელის ოჯახში ცხოვრობდა. მოგვიანებით ძიძად მუშაობდა. 1977 წლიდან ბრიტანეთში ცხოვრობს. გათხოვდა და გოგონა, ვანესა ჯეიმსი, ეყოლა. მან დედაზე წიგნი დაწერა სახელწოდებით „უსახელო გოგონა“.



## ვიქტორი, საფრანგეთი, 1797 წელი

**ეს შემთხვევა კარგად არის აღწერილი დოკუმენტებში.** 12 წლის ველური ბიჭი 1800 წელს საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში ულრან ტყეში იპოვეს. გაირკვა, რომ 7 წელიწადი ველურ ბუნებაში ცხოვრობდა. იგი პარიზში გადაიყვანეს და სიცოცხლის ბოლომდე აკვირდებოდნენ. 40 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა გამართულად ლაპარაკი მაინც ვერ ისწავლა.



## ბიჭი-ჩიტი, რუსეთი, 2008

**7 წლის ბიჭუნა ოროთახიან ბინაში დედასთან ერთად ცხოვრობდა.** უჩვეულო ის იყო, რომ ბიჭი დედას ოთახში ჰყავდა ჩაკეტილი. იმავე ოთახში ათეულობით ჩიტით სავსე გალია იყო მოთავსებული. დედა ისე ექცეოდა, როგორც თავის ერთ-ერთ ფრთოსანს. არ სცემდა, აჭმევდა, მაგრამ არასოდეს ელაპარაკებოდა, ამიტომ ბავშვმა ლაპარაკი ვერ ისწავლა, მხოლოდ გაუგებრად ბუტბუტებდა. როცა მისი არ ესმოდათ, ხელების ქნევას იწყებდა ისე, როგორც ჩიტი ფრთების აქნევისას.



## ოქსანა მალაი, უკრაინა, 1991

**8 წლის ოქსანა ძაღლსაშენში 1991 წელს იპოვეს. იქ 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.** პირველად რომ ნახეს, ძაღლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს: ოთხზე დარბოდა, კბილებს კრეჭდა, ენაგადმოგდებული სუნთქავდა, იღრინებოდა. ინტენსიურმა თერაპიამ გარკვეული სოციალური და სასაუბრო ჩვევები შესძინა, თუმცა საბოლოო რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა. ახლა გოგონა სპეციალურ კლინიკაში ცხოვრობს.



## ჯონ სებუნია, ბიჭი-მაიმუნი, უგანდა, 1991

ბიჭუნა 3 წლის იყო, როცა ტყეში გაიქცა, რადგან შემთხვევით შეესწრო, როგორ მოკლა მამამ დედამისი. 3 წლის შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა, გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ბავშვი ბრიტანელებმა იშვილეს. ბიჭუნა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა და სიმღერაშიც მიაღწია წარმატებებს.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დრეკადი მინა



**Corning Willow-ის მიერ შემუშავებული მინის ახალი თაობა Willow Glass წარმოადგენს უთხელეს, მტკიცე, ღუნვის შესაძლებლობის მქონე მინას.** იგი უკვე კარგად ცნობილი Gorilla Glass-ის შედგომი გაუმჯობესებაა და მასში შენარჩუნებულია Gorilla Glass-ის ყველა მახასიათებელი თვისება. შესაბამისად, იგი მედეგია დაკაწვრისა და დარტყმის მიმართ, აქვს კარგი გამჭვირვალობა. Willow Glass-მა კი შეიძინა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება — დრეკადობა. ქაღალდის სისქის ფირი თავისუფლად შეიძლება მოიღუნოს ძირითადი თვისებების დაკარგვის გარეშე. მისი ავტორები იმედოვნებენ, რომ იგი დიდ გამოყენებას ჰპოვებს ელექტრონიკაში, იგივე სმარტფონების წარმოებაში და შესაძლებელი იქნება დრეკადი ტელეფონებისა თუ მონიტორების დამზადება.



## სუჯიტ კუმარი,
### ბიჭი-ქათამი, ფიჯი, 1978 წელი

**სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, კუმარი ცხოველებს არ „უშვილებიათ“.** ის საქათმეში იყო ჩაკეტილი და ქათმების ქცევები შეითვისა. 8 წლისა შემთხვევით გამოიქცა საქათმიდან და გზაზე აღმოჩნდა. ხალხმა შეამჩნია და პოლიციას გადასცა. 20 წელი სუჯიტმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა. 2011 წელს ავსტრალიელმა მეწარმემ ელიზაბეტ კლეიტონმა მასზე მზრუნველობა იკისრა. კუმარი უკვე ლამის 40 წლისაა, მაგრამ ვერც ლაპარაკი ისწავლა და შეიძლება ადამიანსაც დაესხას თავს.



## შამდეო, ინდოეთი, 1972

**4 წლის ბიჭუნა ტყეში იმ დროს იპოვეს, როცა მგლის ლეკვებთან თამაშობდა.** ბავშვი სოციალურმა სამსახურმა ჩაიბარა. ბიჭი წლების შემდეგაც ვერ გადაეჩვია უმი ხორცის ჭამას, ვერც ლაპარაკი ისწავლა, თუმცა ჟესტების ენა აითვისა. შამდეო 1978 წელს დედა ტერეზას ღარიბთა სახლში გაამწესეს, სადაც 17 წლის ასაკში გარდაიცვალა.



## მარი ანჟელიკ მემი ლე ბლანი,
### საფრანგეთი, 1731 წელი

**ეს ძველი ამბავიც კარგად არის აღწერილი დოკუმენტებში.** მარიმ ტყეში 10 წელი გაატარა. ვერავინ გაარკვია, როგორ აღმოჩნდა იქ. ჭამდა ჩიტებს, ბაყაყებს, თევზებს, ფოთლებს და ხის ფესვებს. ველურ ცხოველებთან ბრძოლაც შეეძლო. უკვე 19 წლის იყო, როცა იპოვეს. ის დიდგვაროვანმა ოჯახმა შეიფარა. წერა-კითხვაც ისწავლა და გამართული ფრანგულითაც საუბარი. გარდაიცვალა 63 წლის ასაკში.

## ნასამ გალაქტიკაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი აღმოაჩინა



**მეცნიერებმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი აღმოაჩინეს ასტრონომიის ისტორიაში. ვარსკვლავი 50-ჯერ უფრო მეტ სინათლეს ასხივებს, ვიდრე ჩვენი გალაქტიკის სხვა ყველა ვარსკვლავი ერთად.**

ვარსკვლავი, რომელსაც ASAS-SN-15lh უწოდეს, 3,8 მილიარდი სინათლის წელიწადითაა დედამიწისგან დაშორებული. ის პირველად გასული წლის ზაფხულში შენიშნეს ტელესკოპების გლობალური ქსელის მიერ სუპერნოვების ავტომატური ძიებისას. მეცნიერებს ჯერ არ შეუძლიათ იმის ახსნა, რა აძლევს ვარსკვლავს ასეთ ძლიერ ენერგიას. ის ათასჯერ უფრო კაშკაშებს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური სუპერნოვა ვარსკლავი და ორჯერ აჭარბებს დღემდე არსებულ მაქსიმუმს.

ახალი აღმოჩენის შესახებ კომენტარი გააკეთა პეკინის უნივერსიტეტის მეცნიერმა სუბო დონგმა: „ახალი ვარსკვლავის შესწავლა მრავალ თეორიამდე მიგვიყვანს და ახალი კლასის სუპერნოვას აღმოგვაჩენინებს. ამ თემაზე მუშაობას მთელი ძალებით ვაპირებთ“.

## მომავლის საუკეთესო პროფესიები

**„ბიზნეს ინსაიდერმა“, აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით, მომავლის საუკეთესო სამუშაო ადგილების სია გამოაქვეყნა. საუკეთესო ოცეულში ის სამუშაო ადგილები მოხვდა, რომლებზეც ანაზღაურება დიდია და მოთხოვნა მომავალში გაიზრდება.**

პირველი ადგილი **ექთანმა** დაიკავა, რომლის საშუალო წლიური ხელფასი აშშ-ში შარშან 66 640 დოლარი იყო. ექთნის პოზიციისთვის ბაკალავრის დიპლომი საკმარისია. მეორე ადგილზე **ოპერაციული მენეჯერი** გავიდა, რომელსაც ორგანიზაციაში შესასრულებელი ოპერაციების კოორდინირება ევალება. მისი წლიური ანაზღაურება 97, 270 დოლარი იყო. ხუთეულში ასევე შევიდა **პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერის** პოზიცია, სადაც დასაქმებულს 2014 წელს, საშუალოდ, 95 510 დოლარის გამომუშავება შეეძლო; ასევე, **კომპიუტერული სისტემების ანალიტიკოსი** 82 710 დოლარის ოდენობის საშუალო წლიური ანაზღაურებით და **ქირურგი** 187 200 დოლარის საშუალო წლიური ანაზღაურებით.

ათეულში კი მოხვდა **ბუღალტერი, აუდიტორი, ინფორმაციული სისტემების მენეჯერი** და **პირადი ფინანსური მრჩეველიც.**

## მკვლელი ვირუსები



**ვირუსები ვერაგი მტრები არიან, მაგრამ ხანდახან ისინი იწვევენ ისეთ ფატალურ დაავადებებს, რომელთა შეყრის შემთხვევაში ინფიცირებული ადამიანი 24 საათის განმავლობაში კვდება.**



### დენგეს ციებ-ცხელება

**დედამიწის მოსახლეობის თითქმის 40% დენგეს ციებ-ცხელების საფრთხის ქვეშაა.** დავირუსებული კოღოს კბენის შემთხვევაში მსხვერპლის ტემპერატურა 41 გრადუსზე ადის, ეწყება კუნთების ტკივილი და შინაგანი სისხლდენა. დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე ვირუსი ანადგურებს თრომბოციტებს, რაც იწვევს სიკვდილს. ეს ვირუსი ტროპიკული კლიმატის ქვეყნებში გვხვდება და მისი განკურნებისთვის ჯერჯერობით არ არსებობს ვაქცინა.

### ებოლა

**დასავლეთ აფრიკაში 2014 წელს ებოლას ვირუსით 28 ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.** ებოლა სხეულის ფლუიდებით გადაიცემა, მაგრამ დამცავი სამოსის შიგნითაც შეიძლება შეაღწიოს. დავირუსებიდან რამდენიმე საათში ის კლავს სისხლის უჯრედებს, იწვევს შინაგან სისხლდენას და ორგანოებს თიშავს.

### ბუბონური ჭირი

**მეთოთხმეტე საუკუნეში ბუბონურმა ჭირმა 50 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.** გასულ დეკადაში 20 000-ზე მეტი შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის ამერიკაშიც.

2015 წელს ოთხი ადამიანი დაიღუპა, რომელთაც ვირუსი ძაღლებისგან გადაედოთ. კიდევ ერთი მსხვერპლი კატისგან დაავადდა. ეს ვირუსი სისხლით გადადის, მაგალითად, ნაკბენის შემთხვევაში. დაავადებულთა 60% იმავე დღეს კვდება.

### ენტეროვირუსი D68

**ეს აგრესიული ანთებითი ვირუსია, რომელიც ნერწყვით გადადის.** ვირუსი ორგანიზმის სასუნთქ ფუნქციებს აყენებს დარტყმას. ადამიანი 24 საათის განმავლობაში კვდება. ვირუსის წინააღმდეგ არ არსებობს მკურნალობის მეთოდი. 2014 წელს ამერიკაში ამ დაავადებით 700 ადამიანი გარდაიცვალა.

### ქოლერა

**სასტიკი ვირუსი იწვევს გაუწყლოებას, გულისრევას და კუჭის აშლილობას. ბაქტერია ადამიანს ერთ ღამეში კლავს.** მსოფლიოს მასშტაბით 5 მილიონი ადამიანი არის ქოლერით გარდაცვლილი. ყოველწლიურად ვირუსი 120 000 ადამიანს კლავს, მიუხედავად იმისა, რომ მასთან საბრძოლველად ვაქცინები და ანტიბიოტიკები არსებობს.



## ფეხსაცმლის ფორმის ეკლესია

**ტაივანის ჩრდილო-დასავლეთით ბროლის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ფორმის ეკლესია ააშენეს. 320 პანელისგან შემდგარი ლურჯი მინის შენობა 16 მეტრი სიმაღლისაა.** ეკლესიის ასაშენებლად 23 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ბროლის ფეხსაცმლის ფორმის ეკლესიის მშენებლობა გასული წლის ივნისში ტაივანის ლანდშაფტის პარკის ადმინისტრაციის ინიციატივით დაიწყო. სწორედ ამ პარკშია განთავსებული ეკლესია, რომელიც ახალგაზრდა გოგონას, ვონგის, ხსოვნას მიუძღვნეს. მძიმედ ავადმყოფობის გამო ახალგაზრდა გოგონას ორივე ფეხი მოჰკვეთეს, რის გამოც მისი ქორწინება ჩაიშალა, გოგონამ კი დარჩენილი ცხოვრება ეკლესიაში გაატარა.

თანამედროვე არქიტექტურის ეკლესიაში რელიგიური მსახურება არ გაიმართება. ეკლესია მხოლოდ საქორწილო ცერემონიებსა და ტურისტებს მოემსახურება.

ეკლესია ოფიციალურად 8 თებერვალს, ჩინური კალენდრით, ახალი წლის დღეს გაიხსნება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1838 წლის 8 თებერვალს ამერიკელმა მხატვარმა და ხატვის ნაციონალური აკადემიის პირველმა პრეზიდენტმა, სემუელ მორზემ (1791-1872),** რომელიც ელექტროტექნიკაში კარგად ვერ ერკვეოდა, ნიუ იორკის უნივერსიტეტში წარადგინა თავისი გამოგონება — ელექტრომექანიკური ტელეგრაფი.



*** 1834 წლის 8 თებერვალს ტობოლსკში დაიბადა რუსი მეცნიერი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი, მეტროლოგი, ჰაერნაოსანი და პედაგოგი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი მენდელეევი.** მის აღმოჩენილთა შორის უპირველესია ქიმიური ელემენტების პერიოდულობის სისტემა.

დიმიტრი მენდელეევი გარდაიცვალა 1907 წლის 2 თებერვალს.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1894 წლის 6 თებერვალს (ძვ. სტილით — 25 იანვარს) თბილისში დაიბადა თეატრისა და კინოს გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი, სკულპტორი, პედაგოგი, სსრკ-ის სახალხო არტისტი მიხეილ ჭიაურელი.**

მიხეილ ჭიაურელის გადაღებული ფილმებია: „საბა“, „ხაბარდა“, „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „ოთარაანთ ქვრივი,“ „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და სხვ.

გარდაიცვალა 1974 წლის 31 ოქტომბერს.



*** 1945 წლის 4 თებერვალს** იალტაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოების — სსრკ-ს, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის — ლიდერთა შეხვედრა, რომელიც ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის საკითხებს მიეძღვნა. კონფერენცია ჩატარდა ყირიმში, იალტაში, ლივადიის სასახლეში. ეს იყო ანტიჰიტლერული „დიდი სამეულის“ ბოლო შეხვედრა ატომური ეპოქის დაწყებამდე.

შეხვედრაზე სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ **იოსებ სტალინმა,** აშშ-ის პრეზიდენტმა **ფრანკლინ რუზველტმა** და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** განიხილეს მთავარი მიზნისკენ მიმავალი გზები. მთავარი მიზანი კი იყო ფაშისტური გერმანიის საბოლოო გადადგურება, მეორე მსოფლიო ომის დასრულება და ომის შემდეგ მსოფლიოს მოწყობა. იალტის კონფერენციაზე სტალინის ინიციატივით გადაწყდა გაეროს შექმნა, რომელშიც სრულფასოვან წევრებად უნდა მიეღოთ არა მხოლოდ სსრკ, არამედ უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო სსრკ-ს ჩართვა იაპონიასთან ომში, ამის სანაცვლოდ სსრკ-მა დაიბრუნა რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ დაკარგული სახალინი და კურილის კუნძულები.

იალტის კონფერენციას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამ კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ევროპისა და მსოფლიოს მოწყობა განსაზღვრა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.



*** 1915 წლის 3 თებერვალს ჩოხატაურში დაიბადა სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე.**

თამაშობდა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ორი წლის განმავლობაში წვრთნიდა თბილისის „დინამოს“ ბორის პაიჭაძის სახელს ატარებს საქართველოს უდიდესი ეროვნული სტადიონი.

ბორის პაიჭაძე გარდაიცვალა 1990 წლის 9 ოქტომბერს.



*** 1812 წლის 7 თებერვალს პორტსმუტში (ინგლისი) დაიბადა პოპულარული ინგლისელი მწერალი, რომლის ნოველებისა და მოთხრობების ბეჭდვა არასოდეს შეწყვეტილა, ჩარლზ დიკენსი (ჩარლზ ჯონ ჰუფემ დიკენსი).**

მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია: „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „ოლივერ ტვისტი“, „დევიდ კოპერფილდი“, „დიდი იმედები“, „მოთხრობა ორ ქალაქზე“.

ჩარლზ დიკენსი, რომელიც მსოფლიოს ლიტერატურის კლასიკოსად ითვლება, 1870 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა.



*** 12 წლის წინათ, 2004 წლის 4 თებერვალს ამუშავდა ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ (Facebook)** „ფეისბუქი“ (ინგლ. — „სახეების კატალოგი“) შექმნა იმხანად სტუდენტმა, ამერიკელმა პროგრამისტმა **მარკ ცუკერბერგმა.**

დღეს „ფეისბუქი“ უდიდესი საერთაშორისო სოციალური ქსელია, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის 500 მლნ-ზე მეტი მომხმარებელია რეგისტრირებული.



*** 1915 წლის 4 თებერვალს ლონდონში დაიბადა ბრიტანელი კომიკოსი მსახიობი, კომპოზიტორი, სცენარისტი და პროდიუსერი, რომელმაც სახელი მისტერ პიტკინის სახის შექმნით გაითქვა, სერ ნორმან ჯოზეფ უიზდომი.**

შესრულებული აქვს მთავარი როლები ფილმებში: „პაემანი ოცნებასთან“, „პიტკინი და უნივერმაღის ძარცვა“, „ხალიფა ერთი საათით“, „მისტერ პიტკინი მტრის ზურგში“, „მისტერ პიტკინი ესტრადაზე“, „პიტკინის თავგადასავალი საავადმყოფოში“ და სხვ.

გარდაიცვალა 2010 წლის 4 ოქტომბერს.



*** 1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის აეროპორტში აფრენისას კატასტროფა განიცადა ბრიტანული ავიაკომპანია British Europen Airways-ის ავიალაინერმა Airspeed AS 57-მა, რომლის ბორტზეც იმყოფებოდნენ პოპულარული ინგლისური საფეხბურთო კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები, მწვრთნელები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები.**

დაიღუპა 23 ადამიანი, სულ კი თვითმფრინავში იმყოფებოდა 44 მგზავრი.

გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასზე გამართული მატჩის შემდეგ ბელგრადიდან მანჩესტერში ბრუნდებოდა, მაგრამ საწვავის დასამატებლად მიუნხენში შეჩერდა.

აღსანიშნავია, რომ გადარჩა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი **მატ ბასბი** და რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის, სახელგანთქმული **ბობი ჩარლტონი,** რომლებმაც ამ ტრაგედიიდან 10 წლის თავზე, 1968 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სხვა ფეხბურთელებთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.



*** 1828 წლის 8 თებერვალს ქალაქ ნანტში დაიბადა ფრანგი მწერალი, სათავგადასავლო ლიტერატურის კლასიკოსი, სამეცნიეროფანტასტიკის ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჟიულ გაბრიელ ვერნი.**

ჟიულ ვერნი არის 66 რომანის, 20-ზე მეტი მოთხრობისა და 30-ზე მეტი პიესის ავტორი.

მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია:

„მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“, „დედამიწიდან მთვარეზე“, „კაპიტან გრანტის შვილები“, „80 ათასი დღე წყალქვეშ“; „საიდუმლო კუნძული“, „დედამიწის გარშემო 80 დღეში“, „15 წლის კაპიტანი“ და სხვ.

ჟიულ ვერნი გარდაიცვალა 1905 წლის 24 მარტს.



*** 1966 წლის 3 თებერვალს პირველად კაცობრიობის ისტორიაში მთვარის ზედაპირზე დაეშვა საბჭოთა ავტომატური კოსმოსური სადგური „ლუნა-9“,** რომელიც 75 საათის განმავლობაში აგროვებდა და დედამიაზე გადმოსცემდა ინფორმაციას მთვარის ზედაპირის შესახებ.

**8 თებერვალს ახალმთვარეობაა — რთული პერიოდია მგრძნობიარე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით — ქალებისა და ბავშვებისთვის. სასიკეთო პერიოდია თხის რქისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**3 - 9 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

დაძაბული პერიოდია. უნდა გააანალიზოთ თქვენი მოქმედებები და იპოვოთ მიზეზები, რომლებიც ხელს გიშლით მიზნების მიღწევაში.

სამსახურში იმუშავეთ მშვიდად, შეეცადეთ, არავის ყურადღება არ მიიპყროთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

საყვარელ ადამიანთან შეიძლება შეგექმნათ უთანხმოება — ეს გამოწვეული იქნება სიჯიუტით, რომ მხოლოდ თქვენი თვალსაზრისია მართებული. შეეცადეთ, მოძებნოთ კომპრომისული გადაწყვეტილებები.

შესაძლოა, დაგიქვეითდეთ იმუნიტეტი, ამიტომ მიიღეთ მაღალკალორიული და ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 3 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 6 თებერვალი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

თუ ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დავალების შესრულებას ახალი ცოდნა და გამოცდილება დასჭირდება, დახმარება კოლეგებს სთხოვეთ. შეეცადეთ, ყურადღება გაამახვილოთ მთავარზე, რადგან, თუ წვრილმანებზე გადაერთვებით, არ არის გამორიცხული, მხედველობიდან მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი აარიდეთ ურთიერთბრალდებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი გარდაუვალია. უთანხმოება დიპლომატიური მეთოდებით მოაგვარეთ.

გაუფრთხილდით ხელებსა და ფეხებს — მაღალია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 4 თებერვალი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის სარისკო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობა, რადგან დიდია ალბათობა, რომ თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

სამსახურში ენას კბილი დააჭირეთ — ლაპარაკი ხელფასის მომატებაზე კარგს არაფერს მოგიტანთ, პირიქით — შეიძლება უფრო დამძიმდეს თქვენი მდგომარეობა.

დაოჯახებულ ტყუპებს საყვარელი ადამიანის დაუდევარი საქციელის გამო იმედგაცრუება ელით, მაგრამ ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნით, გახსოვდეთ, — შეცდომას ყველა ადამიანი უშვებს.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი და ცხარე საკვები.

**დადებითი დღე: 5 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 7 თებერვალი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

რთულ ვითარებაში გარკვევასა და საჭირო დასკვნების გამოტანაში ინტუიცია დაგეხმარებათ. ამ პერიოდში არ ღირს ახალი პროექტის დაწყება, სჯობს, ძველი დაასრულოთ.

ყველა გადაწყვეტილება საყვარელ ადამიანთან ერთად მიიღეთ, ამას გარდა, გაითვალისწინოთ, რომ არ არის საჭირო ჩარევა ნათესავების საოჯახო საქმეებში.

კირჩხიბები, რომლებსაც გადატანილი აქვთ გულ-სისხლძარღვთა რომელიმე დაავადება, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკული პროცედურები.

**დადებითი დღე: 5 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 8 თებერვალი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთი პრობლემის წინაშე, რომლის დაძლევასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ აუცილებლად მოსაგვარებელი იქნება.

ამ პერიოდში ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ უნდა ელოდოთ, ამიტომ ფული ეკონომიურად ხარჯეთ, ვალის აღება რომ არ დაგჭირდეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. შეეცადეთ, მოუწყოთ მას სასიამოვნო სურპრიზი — ერთად წახვიდეთ სამოგზაუროდ ან შინ მოიპატიჟოთ ახლობლები სასიამოვნო საღამოს გასატარებლად.

შესაძლოა, გაგიმწვავდეთ სახსრების დაავადება, ამიტომ მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 5 თებერვალი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

თუ მუშაობას დაიზარებთ და გართობას დიდ დროს დაუთმობთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ფინანსური მდგომარეობა გაგიუარესდებათ, ამიტომ დრო ისე გაანაწილეთ, რომ არც მუშაობაში შეგეშალოთ ხელი და არც — დასვენებაში.

დაქორწინებული ქალწულების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიულად წარიმართება და შესაძლოა, ახალ, საინტერესო ეტაპზე გადავიდეს. მარტოხელა ქალწულებს კი სასიყვარულო სფეროში სიახლე არ ელით.

შესაძლოა, გაგიმწვავდეთ კანის ქრონიკული დაავადება, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 5 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 8 თებერვალი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

თუ კონსერვატიულად იაზროვნებთ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, თუმცა არც პრინციპების ღალატი ჩაგაგდებთ კარგ დღეში. ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ, რომელიც თქვენს სულიერ ფასეულობებს არ შეეწინააღმდეგება და დასახული მიზნებისკენ გზას გაგიკვლევთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ — შეუქმენით მას კომფორტული გარემო და მეტი დრო გაატარეთ ერთად.

მაღალია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და აიმაღლეთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 9 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 5 თებერვალი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

სამსახურში ლიდერის პოზიცია რომ არ დაკარგოთ, ბევრი მუშაობა მოგიწევთ. ყველამ იცის, რომ სპეციფიკური ხასიათი გაქვთ, ხართ მშრომელი და ერთგული მეუღლე, მაგრამ ბევრს აბეზრებთ თავს მოთხოვნებითა და ეჭვიანობით, რომელთა გამოც თქვენი დადებითი თვისებები იჩრდილება. თავი დაანებეთ ახლობლებისა და კოლეგების კრიტიკას და შეეცადეთ, მათ მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობა გქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ისეთი შეცდომა დაუშვათ, რომლის გამოსწორებაც ძალიან გაგიჭირდებათ.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების ვირუსული დაავადების გამწვავება. მოერიდეთ სიცივეში ყოფნას და მიიღეთ ვიტამინები.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 4 თებერვალი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თუ გსურთ, პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწიოთ, მუხლჩაუხრელად უნდა იმუშაოთ და ნაკლები დრო დაუთმოთ გართობას.

ნუ ილაპარაკებთ კოლეგებსა და მეგობრებთან ფინანსურ გეგმებზე, მათგან არც ვალის აღებაა მიზანშეწონილი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული იქნება, თქვენ კიდევ უფრო დააფასებთ მის ყურადღებასა და მზრუნველობას.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის უფროს წევრებს.

შესაძლოა, თავი შეგახსენოთ ძველმა ტრავმამ. თვითმკურნალობას ნუ დაიწყებთ, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან.

**დადებითი დღე: 6 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 8 თებერვალი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

გადალახვა წინააღმდეგობისა, რომელიც დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე წარმოიქმნება, მხოლოდ თქვენს მონდომებაზე არ იქნება დამოკიდებული, მათ დაძლევაში ახლობლები დაგეხმარებიან.

გათვალისწინება ინფორმაციისა, რომელსაც კეთილისმყოფელისგან მიიღებთ, კარიერის კიბეზე ასვლაში დაგეხმარებათ.

მარტოხელა თხის რქები გაიცნობენ ადამიანს, რომელიც მათთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმას მოისურვებს, მაგრამ ეს ურთიერთობა წარუმატებლად დასრულდება.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ყურადღება მიაქციეთ სისხლში ქოლესტერინის დონეს.

**დადებითი დღე: 3 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 9 თებერვალი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

სამსახურში, შესაძლოა, ჭორი გაგივრცელონ და რეპუტაციის შელახვას შეეცადონ. არ ღირს ამის გამო ნერვიულობა და თვალსაზრისის შეცვლა გარშემო მყოფებზე, მშვიდად იმოქმედეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

ფინანსური არასტაბილურობის მიუხედავად, დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა ოჯახის წევრებთან თბილი იქნება. მარტოხელა მერწყულების ურთიერთობა ახალგაცნობილ თაყვანისმცემელთან კი შეიძლება ქორწინებით დაგვირგვინდეს.

მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 3 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 8 თებერვალი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

დაძაბული პერიოდია. ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების შეტანის მცდელობა წარუმატებლად დასრულდება.

ფინანსურ სფეროში შეიძლება პრობლემები შეგექმნათ, ამიტომ ფული ეკონომიურად ხარჯეთ და ეძებეთ დამატებითი შემოსავლის წყაროები.

არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო, შესაძლოა, პრობლემა შეგექმნათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. მოთოკეთ ემოციები და ერთად ეძებეთ პრობლემის მოგვარების გზები.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, დაიცავით დიეტა და თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს.

**დადებითი დღე: 9 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 4 თებერვალი.**

# ვინ დადგა «დეზერტირკა» — მარჯანიშვილმა და ახმეტელმა თუ მხოლოდ მარჯანიშვილმა?

**1925 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა ახალი სპექტაკლი — „დეზერტირკა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ცნობილი ქართველი დრამატურგის, ნატალია აზიანის (1879—1943) პიესა, და რომელიც იმთავითვე მიჩნეულ იქნა დიდ წარმატებად. მას შემდეგ გავიდა 90 წელი, მაგრამ მკითხველ-მაყურებელი კვლავაც დაბნეულია, რაკი დღემდე გაურკვეველია — კოტე მარჯანიშვილმა იგი დამოუკიდებლად დადგა თუ ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელთან ერთად?**

ამ გაურკვევლობას ის გარემოება იწვევს, რომ ერთობ ავტორიტეტული გამოცემები (მათ შორის — ენციკლოპედიებიც) ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს გვთავაზობენ — ზოგი მხოლოდ კ. მარჯანიშვილს მიიჩნევს სპექტაკლის ავტორად, ზოგი კი ასაბუთებს, რომ „დეზერტირკა“ იყო მათი (მარჯანიშვილისა და ახმეტელის) ერთობლივი დადგმა, როგორც „ლამარა“, „მზეთამზე“, „გმირი“ და ა.შ.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვითარება ასეთია:

1. 1947 წ. **გ. ბუხნიკაშვილის** ნაშრომი — „კოტე მარჯანიშვილი“ (ბიოგრაფია) მხოლოდ კ. მარჯანიშვილს მიიჩნევს ავტორად.

2. 1964 წ. თეატრმცოდნე **ვ. კიკნაძის** წიგნი — „სანდრო ახმეტელი“ (რედაქტორი — აკ. დვალიშვილი, გვ. 109) მიიჩნევს, რომ „დეზერტირკა“ არის მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმა.

3. 1964 წ. მოსკოვში გამოცემული **„ტეატრალნაია ენციკლოპედია“** (ტ. III, გვ. 685, ავტ. — **ე. გუგუშვილი**) კვლავ აღიარებს კ. მარჯანიშვილის ერთპიროვნულ ავტორობას.

4. 1975 წ. ამასვე იმეორებს პირველი ქართული ენციკლოპედია **ირაკლი აბაშიძის** რედაქტორობით („ქსე“, ტ.1, ნ. აზიანისადმი მიძღვნილი სტატია, ავტ. — ს. ხუციშვილი).

5. 1981 წ. გამოქვეყნდა თეატრმცოდნე **ეთერ დავითაიას** უაღრესად საინტერესო მონოგრაფია — „მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმები“, რომელშიც, მოკლედ რომ ითქვას, სათანადო ფაქტებითა და თანამედროვეთა გამოკითხვით დატკიცებულია, რომ „დეზერტიკა“ მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმაა.

6. 1997 წ. ენციკლოპედია „საქართველო“ იმეორებს, ასე ვთქვათ, თავისი წინამორბედის („ქსე“) აზრს, რომ „დეზერტირკას“ ერთპიროვნული ავტორი კ. მარჯანიშვილია.

7. 2014 წ. „ქართული დრამატურგიის ისტორიიის“ I ტომი — ისევ შეტრიალდა „ჩარხი“ — ნ. აზიანისადმი მიძღვნილ სტატიაში (ავტორი — **თ. ქუთათელაძე**) „დეზერტირკას“ ერთპიროვნულ ავტორად მხოლოდ კ. მარჯანიშვილია მოხსენიებული. არადა, ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ. წიგნის ერთ-ერთი რედაქტორია პროფ. ვ. კიკნაძე, რომელიც, როგორც ახლახან მივუთითე, რამდენჯერმე „დეზერტირკას“ ერთობლივ (მარჯანიშვილისა და ახმეტელის) დადგმად მიიჩნევს, აქ კი სრულიად საწინააღმდეგო აზრს უჭერს მხარს...

8. 2015 წ. ცნობილი თეატრმცოდნე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი — **ნ. გურაბანიძე** ახალ წიგნში („რეჟისორი გიზო ჟორდანია“) ნამეტან „კომპრომისულ“ გზას ირჩევს — ჯერ წერს, მარჯანიშვილმა დადგაო (გვ. 46), მერე კი — ორივემო (გვ. 70). ასეთია, თუ შეიძლება ითქვას, „ძალთა განლაგება“ აღნიშნულ საკითხზე (ამთავითვე ვითხოვ პატიებას, თუ ვინმეს მნიშვნელოვანი ნაშრომი გამომრჩა) და, ცხადია, რომ ასეთი შეუთანხმებლობა, მართლაც, აბნევს მკითხველ-მაყურებელს. საჭიროა, ერთხელ და სამუდამოდ, კატეგორიულად ითქვას: ქ-ნ ეთ. დავითაიას ხსენებული შესანიშნავი მონოგრაფიის შემდეგ, საკითხი სწორედ ამ ავტორის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და, საერთოდ, მეტი ყურადღებაა საჭირო კოლეგების კვლევა-ძიებებისადმი.

ჩემდა თავად კი ერთ რამეს დავუმატებ:

რუსთაველის თეატრის მუზეუმში მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მომაწოდეს, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გაოცებული დავრჩი — ზემოთ არაერთხელ ხსენებულმა გამოცდილმა მკვლევარებმა, როგორ მოხდა, რომ ამ უპირველეს დოკუმენტს არ მიაქციეს ყურადღება — იგულისხმება ე.წ. წარმოდგენის დღიური, რომელშიც უაღრესი დოკუმენტური სიზუსტითაა აღწერილი, თუ როდის, სად ჩატარდა სპექტაკლი, რომელ საათზე დაიწყო იგი და რომელზე (წუთების მინიშნებით) დამთავრდა, ვინ არის სპექტაკლის რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი, მორიგე რეჟისორი, მსახიობები და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ტრადიციულად სპექტაკლის დამთავრებისთანავე იწერება მისი ნამდვილი ისტორია ერთობ დამახასიათებელი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.

ახმეტელის დოკუმენტების კრებულში ორი ასეთი დოკუმენტი (1925 წ. 19 დეკემბრისა და 1926 წ. 31 იანვრის დღიური) კი არის მოტანილი და აქაც ნათქვამია, „დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელისა“, მაგრამ, რაც მთავარია, არაა დღიური პრემიერისა, ანუ იმ დღისა, როცა არსებითად დაიბადა სპექტაკლი — ეს ხომ უპირველესი დოკუმენტია (გნებავთ, სულაც „მეტრიკა“, ანუ „მეტრიკული ამონაწერი“ დავარქვათ), რაც ამ სპექტაკლზე შეიქმნა და შეიქმნა იმთავითვე, როგორც კი მისი პირველივე წარმოდგენა დამთავრდა.





ამასთანავე, ეს დოკუმენტი, თუნდაც მისი დასაწყისი, აუცილებლად უნდა წარედგინათ მკითხველისთვის. აბა, კარგად დააკვირდით, რას არ ნახავთ აქ, ვიმეორებ, „დეზერტირკას“, როგორც სპექტაკლის, უპირველეს დოკუმენტში: რომელ რიცხვში ჩატარდა იგი, სად, რა დღე იყო 10 დეკემბერი, რომელ საათზე, ვიმეორებ, წუთების მინიშნებით, დაიწყო, რომელ საათზე (ისევ წუთებში) დამთავრდა, მორიგე რეჟისორი ვინაა, მოკარნახე — ვინ? მერე მხატვარი, დირიჟორი და ვინ რომელი როლი შეასრულა, რომელი ორკესტრი უკრავდა, ვისი დირიჟორობით და მისთ. რაც მთავარია, ყოველი სპექტაკლის დღიურის დასაწყისშივე მითითებულია, რომ დადგმა ეკუთვნით კ. მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელს.

აი, ამ ისტორიული, ჭეშმარიტად უნიკალური დღიურის დასაწყისი: *(იხ. ფოტო).*

31 იანვარს „დეზერტირკას“ მეთორმეტე წარმოდგენა იყო, 23 თებერვალს — მე-19, 30 მარტს — 26-ე, 10 აპრილს — 28-ე, შემდეგ თეატრი წავიდა გასტროლებზე, რომლის დროსაც „დეზერტირკა“ 20-ჯერ წარმოადგინეს და ყველა ამ სპექტაკლის დამთავრებისთანავე იწერებოდა ზემოხსენებული დღიური ე.ი., **პირველ სეზონში სულ 48-ჯერ ითამაშეს „დეზერტირკა“ და, შესაბამისად, 48-ჯერ დაიწერა, რომ დადგმა ეკუთვნოდა კ. მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელს.** ასე გაგრძელდა მომდევნო სეზონებშიც და ამაზე მეტი **დოკუმენტი** რა უნდა იყოს, მე და ჩემმა ღმერთმა!

ერთი სიტყვაც თარიღის დასაზუსტებლად და დავამთავროთ — „დეზერტირკა“ დაიდგა 1925 წლის არა 26 დეკემბერს, როგორც, სამწუხაროდ, „ქართული დრამატურგიის ისტორიის“ I ტომშია (გვ. 264), არამედ 10 დეკემბერს.

**გოგი დოლიძე,**
**პროფესორი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე მცენარეული პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი, გლომელურონეფრიტი. ქრონიკული ბუასილის ყველა ფორმა, ყურებში შუილი და ხმაური,ჰაიმორიტი, გაციებითი ასთმა, კოქსართროზი, ართროზი, ქრ. ხოლეცისტიტი. ბ–ჰეპატიტი, პროსტატა, ადენომა, შარდის ბუშტის ანთება, საკვერცხის კისტა, კისტომა, ფრონტიტი და სხვა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## ს ი ა ხ ლ ე !
## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)
მის: აღმაშენებლის 154, «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!



**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894